

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №4

საქმის წარმოების შეწყვეტა

საძიებელი:

1. საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო
2. საქმის წარმოების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციისას დაუშვებელი უფლებამონაცვლების გამო
3. კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე
4. მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

1. საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-1558-1513(კს-08)

9 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე,

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 1 ივლისს ა. ბ-ოვმა სასარჩელო განცხადებით მიმართა მარნეულის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – მარნეულის რაიონის გამგეობისა და მიწის მართვის სამსახურის მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითა ფ. ზ-ოვზე. მოსარჩელემ მოითხოვა: მარნეულის რაიონის გამგეობის 2002 წლის 31 დეკემბრის 115/1 დადგენილების ბათილად ცნობა; ყველა სარეგისტრაციო დოკუმენტის გაუქმება და მისი, როგორც მესაკუთრის, უფლების აღდგენა სადავო 80 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

2003 წლის 18 ივლისს ფ. ზ-ოვმა სასარჩელო განცხადებით, ხოლო მოგვიანებით, დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა მარნეულის რაიონულ სასამართლოს. მოსარჩელემ მოითხოვა კონკრეტული დოკუმენტების, მათ შორის, მარნეულის რაიონის გამგეობის 1999 წლის 22 ნოემბრის 111/25 დადგენილების, ასევე, მათგან გამომდინარე შედეგების, სიყალბის დადგენა და მათი საგამომიებო ორგანოებისათვის გადაცემა; ა. ბ-ოვისათვის 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიყიდვის თაობაზე მარნეულის საკადასტრო რეესტრის 1999 წლის 27 დეკემბრის 1133/99 ჩანაწერის გაუქმება; მის მიერ კანონის სრული დაცვით შეძენილი 80 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მისთვის გადაცემა; თავის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის – 500 ლარის თავის სასარგებლოდ ა. ბ-ოვისთვის დაკისრება.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ბ-ოვის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ა. ბ-ოვს საკუთრებაში გადაეცა ქ. მარნეულში, ... ქუჩაზე, სარაიონთაშორისო საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც მას საკუთრებაში გადაეცემული ჰქონდა 1999 წლის 27 დეკემბერს; ა. ბ-ოვს უარი ეთქვა მარნეულის რაიონის გამგეობის 2002 წლის 31 დეკემბრის დადგენილების გაუქმებაზე; ფ. ზ-ოვს საკუთრებაში გადაეცა 80 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქ. მარნეულში, ... ქუჩაზე, სარაიონთაშორისო საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ბ-ოვის 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის გვერდით, ქ. მარნეულის მხარეს; ფ. ზ-ოვს მარნეულის რაიონის გამგეობის 1999 წლის 22 ნოემბრის 111/25 დადგენილების ყალბად ცნობისა და მისგან გამომდინარე ყველა შედეგის გაუქმების შესახებ დამოუკიდებელ სარჩელზე უარი ეთქვა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. ბ-ოვმა, მარნეულის რაიონის გამგეობამ და მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველომ. ა. ბ-ოვმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო განცხადება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველომ და მარნეულის რაიონის გამგეობამ მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ა. ბ-ოვისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 იანვრის განჩინებით ა. ბ-ოვის, მარნეულის რაიონის გამგეობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის (მარნეულის მიწის მართვის სამმართველოს) სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ბ-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ფ. ზ-ოვის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა – გაუქმდა ა. ბ-ოვის სახელზე 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 1999 წლის 27 დეკემბრის 1133/99 ჩანაწერი და ფ. ზ-ოვს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა 80 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ფ. ზ-ოვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის მოტივით უარის თქმა, ასევე, 2003 წლის 20 დეკემბრის აუქციონის შედეგების, მარნეულის რაიონის გამგეობის 2002 წლის 31 დეკემბრის 115/1 დადგენილების მისგან გამომდინარე შედეგებით ბათილად ცნობა და 2003 წლის 10 იანვარს ფ. ზ-ოვზე გაცემული 131829 საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის გაუქმება.

2007 წლის 21 ნოემბერს ა. ბ-ოვმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მიუთითა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა გაერკვა სადავო საკითხში და წერილობით განუმარტა მას, რომ მის მიმართ იმავე გამგეობას არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა, ისევე, როგორც მას ხსენებული გამგეობის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა ა. ბ-ოვმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე და მოითხოვა მისი განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე ა. ბ-ოვმა დაადასტურა, რომ მან განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარესთან – მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურთან მას სადავო არაფერი ჰქონდა, რის გამოც მან უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ა. ბ-ოვის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამ კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილებოდა იმ წესების დაცვით, რაც დადგენილი იყო პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ხოლო 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად – მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმისას, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარზე უარი წარმოადგენდა და სასამართლო წყვეტდა საქმის წარმოებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ა. ბ-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინებით ა. ბ-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივრის ავტორის ყურადღება მიაქცია საპროცესო სამართალწარმოების პრინციპებზე და განმარტა, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეფუძნებოდა მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპს, რაც ნიშნავდა იმას, რომ მხარეები თავისუფლად განკარგავდნენ თავიანთ მატერიალურ და საპროცესო უფლებებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვის აქტი იყო და ამდენად, რა მოტივითაც არ უნდა ყოფილიყო განპირობებული მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, აღნიშნულს ყოველთვის უკავშირდებოდა სასამართლოს მხრიდან საქმის წარმოების შეწყვეტა. საქმეში წარმოდგენილი იყო ა. ბ-ოვის განცხადება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მან უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე. აღნიშნული მოთხოვნა მისი მხრიდან დადასტურებული იყო ასევე სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე. კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ განცხადება დაწერილი იყო მის მიერ. რაც შეეხებოდა კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი აჩქარდა და ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ფ. ზ-ოვის მოთხოვნაზე, აღნიშნული ვერ იქნებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინების გაუქმების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მან შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლოს საპროცესო ნორმები არ დაურღვევია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებდა იმ წესების დაცვით, რაც დადგენილი იყო პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო ამავე კოდექსის 378-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, მხარეს ერთმეოდა უფლება, კვლავ გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. ამდენად, მითითებული მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმას კანონმდებელი უკავშირებდა გარკვეულ შედეგს – აპელანტს ერთმეოდა უფლება, კვლავ გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. ამასთან, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის ანალოგიით, წყვეტდა სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოებას, რაც მოცემულ შემთხვევაში სრულად იყო დაცული. ყო-

ველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებაში წარმოდგენილი არ იყო სამართლებრივი საფუძველი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე განჩინების გაუქმების მოტივი.

2008 წლის 14 აგვისტოს ა. ბ-ოვმა განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

განმცხადებლის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2007 წლის 26 ნოემბრის** განჩინებით შეწყდა მის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება იმ მოტივით, რომ, თითქოს იგი აღარ ასაჩივრებდა მარნეულის რაიონული სასამართლოს **2005 წლის 18 ივლისის** გადაწყვეტილებას, რაც იყო უსაფუძვლო და უკანონო, რადგან მას ასეთი განცხადებით თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის არასოდეს მიუმართავს და მისთვის იმჟამად გახდა ცნობილი, რომ საქმეში არსებობდა მისი სახელით დაწერილი განცხადებები საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული განცხადებები შედგენილი იყო არა ა. ბ-ოვის, არამედ, მისი ყოფილი წარმომადგენლის – ნ. ს-შვილის მიერ, რომელმაც შეადგინა ხსენებული განცხადებები და მისი სახელით, მის მაგივრად აწერდა მათზე ხელს მაშინ, როდესაც ა. ბ-ოვს ნ. ს-შვილზე მინდობილობა გაცემული ჰქონდა **6 თვის ვადით, 2007 წლის 27 ნოემბრამდე**. აქედან გამომდინარე, ნ. ს-შვილს კანონით აღარ ჰქონდა უფლებამოსილება, ა. ბ-ოვის სახელით ემოქმედა და მიეღო რაიმე გადაწყვეტილება. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია კანონი, კერძოდ, არ შეამოწმა, თუ რამდენად იყო ა. ბ-ოვის ყოფილი რწმუნებული ნ. ს-შვილი უფლებამოსილი, მისი სახელით ემოქმედა.

განმცხადებლის მტკიცებით, ზემოხსენებული განჩინება მან საკასაციო წესით გაასაჩივრა, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება ზემოთ მითითებულ გარემოებას და უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2007 წლის 26 ნოემბრის** განჩინება. ა. ბ-ოვმა არ იცოდა ქართული ენა და მისთვის საქმის მთლიანად გადათარგმნის შემდეგ გახდა ცნობილი, თუ რა მოტივით არ იქნა განხილული მისი სააპელაციო საჩივარი და დაადგინა, რომ ნ. ს-შვილს მისი სახელით შესაბამისი გამგეობის წერილების საფუძველზე ჰქონდა დაწერილი განცხადებები ა. ბ-ოვის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამდენად, ხსენებული განცხადებები შედგენილი იყო არასათანადო პირის მიერ და ამ განცხადებების ტექსტი და მათზე ხელმოწერები არ იყო ა. ბ-ოვისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2007 წლის 26 ნოემბრის** განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008 წლის 3 ოქტომბრის** განჩინებით ა. ბ-ოვის განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **421-ე** მუხლზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (**422-ე** მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (**423-ე** მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განმცხადებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არსებული საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განცხადება შედგენილი იყო არა მისი, არამედ მისი მარწმუნებლის მიერ და მასზე ხელიც მის ნაცვლად მოწერილი ჰქონდა მის მარწმუნებელს – ნ. ს-შვილს, რომელსაც ამ დროისათვის უკვე გასული ჰქონდა წარმომადგენლობის უფლებამოსილების ვადა.

სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული არ გაიზიარა, ვინაიდან დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ბ-ოვი თავად დაესწრო თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ **2007 წლის 26 ნოემბრის** სასამართლო სხდომას და ამავე სხდომაზე პირადად დააფიქსირა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ხსენებულ სხდომას ესწრებოდა თარჯიმანი. ასევე დადგენილი იყო, რომ აღნიშნულ სასამართლო სხდომის ოქმზე აპელანტის მიერ შენიშვნები არ ყოფილა შეტანილი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, განცხადებაში მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **422-ე** და **423-ე** მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **429-ე** მუხლზე, რომლის თანახმად, თუ არ არსებობდა განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლოს თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დაეტოვებინა, რაც შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2008 წლის 3 ოქტომბრის** განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ა. ბ-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი განცხადების დაშვებისა და ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით განხილვის სააპელაციო სასამართლოსთვის დავალება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება უსაფუძვლო და უკანონოა. ა. ბ-ოვის ყოფილმა წარმომადგენელმა ნ. ს-შვილმა შეცდომაში შეიყვანა ა. ბ-ოვი, რადგან განუმარტა, რომ, ვინაიდან შესაბამის გამგეობას არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა მის მიმართ და თანახმა იყო, სადავო მიწის ნაკვეთი მისთვის გადაეცა, ამიტომ აზრი აღარ ჰქონდა სასამართლოში საქმის განხილვას, ურჩია საქმის წარმოების შეწყვეტა და ამის შესახებ არაერთხელ მიმართა სასამართლოს განცხადებით. ა. ბ-ოვმაც დაუჯერა ნ. ს-შვილს და ამიტომ სასამართლო სხდომაზე იგი დაეთანხმა საქმის წარმოების შეწყვეტას. სასამართლომ ა. ბ-ოვს არ განუმარტა, რომ მის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა ნიშნავდა მარნეულის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას და შესაბამის გამგეობას არ ექნებოდა არავითარი უფლება, ხსენებული გადაწყვეტილების გვერდის ავლით გადაეცა ა. ბ-ოვისთვის სადავო მიწის ნაკვეთი. სააპელაციო სასამართლომ არ გაარკვია, ჰქონდა თუ არა ა. ბ-ოვს რაიმე პრეტენზია შესაბამისი გამგეობის მიმართ, ვინაიდან იმავე გამგეობას ა. ბ-ოვის მიმართ აღარ ჰქონდა რაიმე პრეტენზია, რაც ჩანდა მის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან. ა. ბ-ოვმაც განაცხადა, რომ მას შესაბამისი გამგეობის მიმართ არ ჰქონდა არავითარი პრეტენზია. ასე გადაუთარგმნა მას თარჯიმანმა ქართულიდან რუსულ ენაზე. თარჯიმანი ა. ბ-ოვს უთარგმნიდა რუსულად და არა აზერბაიჯანულად, ა. ბ-ოვმა კი რუსული ენა კარგად არ იცოდა, რითაც დაირღვა მისი უფლებები.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, მისმა ყოფილმა წარმომადგენელმა და სასამართლომ იგი შეცდომაში შეიყვანეს და შეაწყვეტინეს საქმის წარმოება, რასაც წარმომადგენელიც ადასტურებს თავისი განცხადებით. ა. ბ-ოვი არ მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას, რადგან იგი მის წინააღმდეგ იყო გამოტანილი და მას სადავო მიწის ნაკვეთის დაბრუნება უნდოდა. ა. ბ-ოვს მისმა ყოფილმა წარმომადგენელმა განუცხადა, რომ გამგეობა უბრუნებდა ა. ბ-ოვს მიწის ნაკვეთს და საჭირო არ იყო საჩივარი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია, საქმის განხილვაში მონაწილეობდა თარჯიმანი, მაგრამ იგი უთარგმნიდა მას რუსულ ენაზე, რომელიც ა. ბ-ოვმა კარგად არ იცის და არა მისთვის გასაგებ აზერბაიჯანულ ენაზე. მან მაშინვე გასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება. მიუხედავად ა. ბ-ოვის განცხადებისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს მაინც უნდა განეხილა მისი საჩივარი, ვინაიდან მარნეულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის დარღვევით იყო გამოტანილი. აღნიშნულს სააპელაციო საჩივარში ადასტურებდა ა. ბ-ოვი, რომელიც შეცდომაში შეიყვანეს და მიიღეს ხსენებული განჩინება, რითაც დაირღვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა. მის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა ნ. ს-შვილის განცხადება, რომლითაც იგი აღიარებს ა. ბ-ოვის შეცდომაში შეყვანას, ასევე – მინდობილობის ასლი, რომლითაც დასტურდება, რომ ნ. ს-შვილს უფლება არ ჰქონდა, ა. ბ-ოვის სახელით ემოქმედა, რაც წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას და იგი აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 422-ე და 423-ე მუხლების მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეეძლო, დაეკმაყოფილებინა ა. ბ-ოვის მოთხოვნა და მისი განცხადება, დაშვების შემდეგ, ხსენებული კოდექსის 430-ე მუხლის საფუძველზე, განეხილა ზეპირი მოსმენით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განჩინებით ა. ბ-ოვის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ა. ბ-ოვის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ა. ბ-ოვი თავად დაესწრო თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ 2007 წლის 26 ნოემბრის სასამართლო სხდომას და ამავე სხდომაზე პირადად დააფიქსირა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო ხსენებულ სხდომას ესწრებოდა თარჯიმანიც და ასევე დადგენილი იყო, რომ აღნიშნულ სასამართლო სხდომის ოქმზე აპელანტის მიერ შენიშვნები არ ყოფილა შეტანილი, რის გამოც განსახილველ შემთხვევაში განცხადებაში მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა ა. ბ-ოვმა გამოავლინა ნება თავის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რაც გამოიხატა 2007 წლის 21 ნოემბერს მის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის ამ მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართვასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე ხსენებული მოთხოვნის დადასტურებაში, კერძოდ, მან განცხადებით მიმართა სასამართლოს, უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის სხდომას ესწრებოდა თარჯიმანი მ. კ-ძე, ამასთან, სასამართლომ განუმარტა მხარეს თარჯიმნის მიმართ აცილების უფლება, ხოლო მ. კ-ძის მიმართ ა. ბ-ოვს აცილება არ განუცხადებია და არ მოუთხოვია მისთვის აზერბაიჯანული ენის მცოდნე თარჯიმნის გამოძახება. შესაბამისად, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ, ვინაიდან ა. ბ-ოვმა პირადად პირდაპირ მოითხოვა თავის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა, უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორის აპელირება იმაზე, რომ ა. ბ-ოვის ყოფილმა წარმომადგენელმა ნ. ს-შვილმა შეცდომაში შეიყვანა ა. ბ-ოვი, ხოლო თარჯიმანი ა. ბ-ოვს უთარგმნიდა რუსულად და არა აზერბაიჯანულად, ა. ბ-ოვმა კი რუსული ენა კარგად არ იცოდა, რითაც დაირღვა მისი უფლებები.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მისი ყოფილი წარმომადგენელი ნ. ს-შვილიც ადასტურებს თავისი განცხადებით, რომ მან და სასამართლომ იგი შეცდომაში შეიყვანეს და შეაწყვეტინეს საქმის წარმოება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა. ბ-ოვმა თავის 2008 წლის 14 აგვისტოს განცხადებას დაურთო ნ. ს-შვილის განცხადება, რომლითაც ნ. ს-შვილი არ ადასტურებს ა. ბ-ოვის შეცდომაში შეყვანას და უფრო მეტიც, იგი მიუთითებს, რომ მას არ გააჩნდა უფლება-მოსილება, ემოქმედა ა. ბ-ოვის სახელით.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან მაშინვე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინება. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ა. ბ-ოვის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინებაზე წარდგენილი კერძო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დამტკიცებულია ის გარემოებები, რომ საქმეში წარმოდგენილია ა. ბ-ოვის განცხადება, რომლითაც დასტურდება, რომ მან უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე, ხოლო აღნიშნული მოთხოვნა მისი მხრიდან ასევე დადასტურებული იყო სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, კერძო საჩივრის ავტორი კი სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ განცხადება დაწერილი იყო მის მიერ. ამასთან, საკასაციო სასამართლომ იმავე განჩინებაში მიუთითა, რომ მან შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლოს საპროცესო ნორმები არ დაურღვევია, ხოლო სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის ანალოგიით წყვეტდა სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოებას, რაც მოცემულ შემთხვევაში, სრულად იყო დაცული და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებაში წარმოდგენილი არ იყო სამართლებრივი საფუძველი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე განჩინების გაუქმების მოტივი. ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით პირდაპირ არის დამტკიცებული ა. ბ-ოვის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტისა და, შესაბამისად, იმავე კერძო საჩივრით გასაჩივრებული იმავე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინების კანონიერება, რის გამოც ა. ბ-ოვის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერება სამართლებრივად დავას ვეღარ დაექვემდებარება, რადგან ა. ბ-ოვს არ მიუთითებია რაიმე ისეთ ახალ გარემოებაზე ან მტკიცებულებაზე, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო საქმის წარმოების განახლების საფუძველი, მით უმეტეს, რომ ა. ბ-ოვი ამ შემთხვევაში სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ განცხადების მის მიერ დაწერას, რაც მას საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებული, კანონიერ ძალაში შესული განჩინების მიხედვით, სადავოდ არ გაუხდია, ანუ ა. ბ-ოვის მიერ წარმოდგენილი კერძო საჩივარი ეფუძნება მხოლოდ აღნიშნული გარემოების – სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ განცხადების მის მიერ და-

წერის. ასევე, სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის თავის მიერ დაყენების უარყოფას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ა. ბ-ოვის მიერ წარმოდგენილი კერძო საჩივარი, ფაქტობრივად, წარმოდგენს იმავე მხარეებს შორის იმავე საფუძველსა და იმავე განჩინებაზე შემოტანილ კერძო საჩივარს, რის თაობაზეც მას ერთხელ უკვე ჰქონდა შემოტანილი საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივარი და იმავე შემოტანილი კერძო საჩივარი საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა 2008 წლის 26 მარტის განჩინებით. ამდენად, ა. ბ-ოვის მიერ იმავე წარმოდგენილ კერძო საჩივარსა და ამავე წარმოდგენილ განცხადებასა და კერძო საჩივარზე, როგორც მომჩივანი სუბიექტი, ისე გასაჩივრებული განჩინება ერთი და იგივეა შესაბამისად, ა. ბ-ოვი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინება. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებაზე წარმოდგენილ კერძო საჩივარში ა. ბ-ოვს არ მიუთითებია რაიმე ისეთ საფუძველზე, რომელიც დააფუძნებდა მისი ამ კერძო საჩივრის დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების იურიდიული საფუძველი, რის გამოც ხსენებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ბ-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-1455-1413(კ-08)

12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 11 აპრილს ზ. ც-ანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა პრივატიზაციის ხელშეკრულებაში მითითებული უძრავ ქონებაზე – საცხოვრებელ 30 კვ.მ-ზე, დამხმარე 29 კვ.მ-ისა და 5 კვ.მ სარდაფს, სულ სასარგებლო 55.15 კვ.მ-ზე საკუთრების უფლების დადგენა და მოპასუხის დავალდებულება საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, მან 1992 წლის 03 დეკემბერს ბინას გაუკეთა პრივატიზაცია თავისი დედის – თ. ქ-ძის სახელზე. აღნიშნული საცხოვრებელი ბინა შედგება 2 ოთახისაგან და მდებარეობს ... ქ. 112-ში. აღნიშნული ქონება მემკვიდრეობით მიიღო 1999 წელს. ტექნიკურ-პრივატიზაციის ბიუროს მიერ 1995 წლის 30 სექტემბერს გაცემულ ცნობა-დახასიათებაში არის შეცდომა და არ შეეხებამება პრივატიზაციის ხელშეკრულებას. კერძოდ, გათვალისწინებული არ არის საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული შეცდომის შესწორების მიზნით მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრს, თუმცა საჯარო რეესტრმა შესწორება არ განახორციელა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა, მოპასუხეს დავალდებოდა უზუსტო ჩანაწერის შესწორება და თავის საკუთრებაში არსებული ფართის სათანადო რეგისტრაციაში გატარება.

მოპასუხე იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ც-ანის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა. სარჩელის დაუკმაყოფილებლობის მოტივად სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

საქმეში წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობით ცალსახადაა განსაზღვრული, რომ სამკვიდრო ქონება, რომელზეც გაცემულია მოწმობა, არის ლიტ «ა» ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის 30/162, მეტიც, მითითებული სამკვიდრო მოწმობა ეყრდნობა თბილისის მე-2 სანოტარო კატორის მიერ 1992 წლის 3 დეკემბერს რეესტრში 125-2311 გაფორმებულ პრივატიზაციის ხელშეკრულებას და ტექნიურის მიერ 1999 წლის 30 სექტემბერს გაცემულ ცნობა-დახასიათებას.

სასამართლომ, ასევე, მხედვალობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ზ. ც-ანი საჯარო რეესტრში ... ქ. 12-ში შესაკუთრედ დარეგისტრირებულია 1999 წლის 30 სექტემბერს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, რომელიც საქმის განხილვის მომენტისათვის ძალაშია. ამასთან, სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია ნოტარიუს თ. ჯ-ულის 2005 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება, რომლითაც ზ. ც-ანს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანაზე და რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზ. ც-ანის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ც-ანმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. ც-ანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დეველა, გამოეცა დასაბუთებული ადმინისტრაციული აქტი ზ. ც-ანის 2005 წლის 28 ნოემბრის 1ც-261 განცხადებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებით:

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ 1992 წლის 3 დეკემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულებით მოსარჩელის დედას – თ. ქ-ძეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა თბილისში, ... ქ. 112-ში მდებარე ბინა. იმ დროს მოქმედი მანკიერი პრაქტიკის შედეგად, თბილისის მერიის ტექ.ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების შესაბამისად, ხსენებულ ბინაზე თ. ქ-ძის საკუთრება აღრიცხული იქნა არა რეალური ფართის (როგორც ეს ხსენებული პრივატიზაციის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული), არამედ, წილობრივი მონაწილეობის მიხედვით.

აღნიშნულში არც თ. ქ-ძეს და არც მის მემკვიდრეს – ზ. ც-ანს ბრალი არ მიუძღვით. ამ უკანასკნელს გააჩნია სრულიად ლეგიტიმური მოთხოვნა პრივატიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად მოხდეს მისი კუთვნილი რეალური ფართის საჯარო რეესტრში აღრიცხვა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2005 წლის 6 დეკემბრის პასუხი (ადმინისტრაციული აქტი), რომლითაც ზ. ც-ანს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იყო უკანონო. ადმინისტრაციული ორგანო აღნიშნულ დასკვნამდე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის გარეშე მივიდა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული ორგანოს განმარტება იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებები შევიდოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი მას წარუდგენდა დამხმარე 29 კვ.მ-სა და 5 კვ.მ სარდაფზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. საჯარო რეესტრის სამსახურს ყურადღება არ გაუმახვილებია იმ გარემოებაზე, რომ საკუთრების დამადასტურებელი საბუთი ზ. ც-ანის მიერ წარდგენილი იყო, კერძოდ, თ. ქ-ძესა და ადმინისტრაციულ მმართველობით ორგანოს წარმომადგენელს შორის დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ სამკვიდრო მოწმობაში ხსენებული უძრავი ქონება არა რეალური ფართის მიხედვით, არამედ წილობრივი მონაწილეობის მიხედვით იქნა მითითებული, საჯარო რეესტრის წინამორბედი (ასევე საჯარო რეესტრის ფუნქციის მქონე) დაწესებულების მანკიერი პრაქტიკის შედეგი იყო, რომლის გაცემული ცნობა-დახასიათებითაც ხელმძღვანელობდა ნოტარიუსი სამკვიდრო მოწმობის გაცემისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა დავალებოდა ზ. ც-ანის 2005 წლის 28 ნოემბრის 1ც-261 განცხადებასთან დაკავშირებით დასაბუთებული ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე ზ. ც-ანმა უარი თქვა სარჩელზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზ. ც-ანის შუამდგომლობის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მისი შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა შეწყდეს საქმის წარმოება ზ. ც-ანის სარჩელზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ზ. ც-ანმა უარი განაცხადა რა სარჩელზე, გამოხატა ნება თავისი საპროცესო უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე მხარის ნების შეუზღუდავი გამოვლენაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლოს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია მხარეებისათვის იმაზე მითითება, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო პალატა, ასევე ყურადღებას მიიქცევს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელზე უარს აცხადებს ფიზიკური პირი ზ. ც-ანი, რის გამოც, სასამართლო ვერ გამოიყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის დებულებებს და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ც-ანის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება. ამასთან, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 მაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარს, ვინაიდან მოსარჩელე ზ. ც-ანმა უარი განაცხადა სასარჩელო განცხადებაზე და შეწყდა საქმის წარმოება, შესაბამისად აღარ არსებობს დავის საგანი, რომლის მიმართაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ც-ანის განცხადება სარჩელზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 მაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებები;
3. ზ. ც-ანის სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება;
4. მოსარჩელეს განემარტოს, რომ დაუშვებელია სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

¹ ბს-171-165(კ-09)

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

განიხილა ს. ხ-ვას წარმომადგენლის – ა. ბ-იას 13.03.09წ. განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.11.08წ. გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ გამოარკვია:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.11.08წ. გადაწყვეტილებით ს. ხ-ვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 06.06.08წ. გადაწყვეტილება და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ხ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ხ-ვამ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 12.02.09წ. განჩინებით, კასატორ ს. ხ-ვას დაევალა ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი დაზუსტებული საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მხარეცაა საქმეში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი.

ს. ხ-ვას წარმომადგენელმა ა. ბ-იამ 13.03.09. განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კასატორის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა ს. ხ-ვამ საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე მუხლის, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ს. ხ-ვას საკასაციო საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 372-ე, 378-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ხ-ვას წარმომადგენლის – ა. ბ-იას განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. ს. ხ-ვას საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო;
3. ძალაში დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.11.08წ. გადაწყვეტილება;
4. მხარეებს განემართოს, რომ სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე

უარის თქმის გამო

განჩინება

¹ ბს-779-7-(ა-09)

25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

განიხილა მ. კ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 17.02.09წ. განჩინებაზე წარმოდგენილ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ გამოარკვია:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.09.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.03.08წ. გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს 24.09.08წ. გადაწყვეტილება 25.11.08წ. საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-ძემ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 11.12.08წ. განჩინებით მ. კ-ძეს ხარვეზის შესავსებად – სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად მიეცა ვადა ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 17.02.09წ. განჩინებით მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.09.08წ. გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად, ვინაიდან ხარვეზის შესახებ განჩინების კასატორისთვის ჩაბარების შესახებ უზენაეს სასამართლოში შემოსული დასტურიდან (ფ. 1119) ირკვეოდა, რომ ხარვეზის შესახებ განჩინების შემცველი საფოსტო გზავნილი ადრესატს 17.01.09წ. ჩაჰბარდა, ხარვეზის გამოსწორების ბოლო ვადა იყო 26.01.09წ. მიუხედავად ამისა, მ. კ-ძის მიერ ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, არც ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების თხოვნით მიუმართავს საკასაციო პალატისთვის, რაც მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად იქნა მიჩნეული.

მ. კ-ძემ 02.03.09წ. შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც 23.01.09წ. მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გათვალისწინებით მისი საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 12.03.09წ. განჩინებით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. კ-ძის შუამდგომლობა თავისი შინაარსით გამომდინარეობდა სსსკ-ის 423-ე მუხლიდან, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რადგან მ. კ-ძეს განცხადებაზე არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რის გამოც მ. კ-ძეს დაევა ხარვეზის შესახებ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე ბაჟის – 100 ლარის გადახდის ქვითარი.

მ. კ-ძემ 23.03.09წ. განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე და მოითხოვა მის მიერ საკასაციო საჩივარზე 23.01.09წ. გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მ. კ-ძის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე შეწყდეს საქმის წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე-432-ე მუხლები საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის საკითხებს ეხება. ხსენებული კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახ-

ლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე განცხადების საკითხის გადაწყვეტა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონის ანალოგიის წესით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით უნდა მოხდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რის შესაბამისადაც მხარე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მოცემულ შემთხვევაში მ. კ-მემ განცხადებაზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული, მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე მუხლის, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მ. კ-მის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, განცხადებაზე უარის თქმის გამო.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მ. კ-მის მიერ წარმოდგენილ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებას თან ერთვის 23.01.09წ. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. საკასაციო საჩივარი კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟის ქვითარის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის გამო დატოვებულია განუხილველად, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. კ-მეს სრულად უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე, 272-ე, 372-ე, 378-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ-მის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. მ. კ-მის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე შეწყდეს საქმის წარმოება, განმცხადებლის მიერ განცხადებაზე უარის თქმის გამო;
3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.
4. მ. კ-მეს დაუბრუნდეს მის მიერ 23.01.09წ. (საიდენტ. კოდი 01001029404) საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საკასაციო საჩივარზე უარის გამო

განჩინება

1ბს-1369-1327(კ-08)

16 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგამე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 27 დეკემბერს შპს «...-მა» სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2007 წლის 5 ნოემბრის 101-22/639 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე, ... სკოლის მიმდებარედ 2700 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით შპს «...-ის» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2007 წლის 5 ნოემბრის 101-22/639 ბრძანება და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს დაევა ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე, ... სკოლის მიმდებარედ 2700 კვ.მ მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოსარჩელეზე გაცემა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «...-მა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 20 ნოემბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ შპს «...-ის» საკასაციო საჩივარს თან არ ეერთოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, ამასთან, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ იყო გათავისუფლებული საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების და არც «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული განჩინებით კასატორ შპს «...-ს» დაევა, ხარვეზის შესახებ იმავე განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და განუხილველი დარჩებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს «...-ის» საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

შპს «...-მა» საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას მიმართა განცხადებით, რომლითაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე და ითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შპს «...-ის» განცხადებას საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი (თავი XLIX – საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში) შეიცავს, ანუ თუ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ნორმები განსხვავებულ დებულებებს არ ითვალისწინებს. იმავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში (თავი XVI – საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში) მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, უნდა შეწყდეს მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან შპს «...-მა» უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 399-ე, 372-ე, 378-ე მუხლებით, 49-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...-ის» განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე შეწყდეს საკასაციო წარმოება;
3. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება;
4. შპს «...-ს» განემართოს, რომ მას აღარ აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით კვლავ გასაჩივრების უფლება;
5. შპს «...-ს» დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-629-601(კ-08)

20 მაისი, 2009 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

29.08.06წ, შპს «...» სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ 13.02.06წ. გაცემული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე შპს «...» საკუთრებაში გადაეცა თბილისში, ... ქ. 14-ში მდებარე 1... აბანოს შენობა. უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, რომელმაც მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა იმის გამო, რომ წარდგენილის საბუთებით არ დგინდებოდა დასარეგისტრირებელი შენობის ფართი. შპს «...» განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს აბანოს შენობის ფართის დასადგენად, რომელსაც არ აღმოაჩნდა ფართის დამდგენი საბუთი. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის

10.06.53წ. ¹² ოქმში მითითებული იყო, რომ აბანოს შენობა-ნაგებობა განლაგებულია **1 500 კვ. მ** მიწის ნაკვეთზე. შენობის ფართი აღნიშნულ ოქმშიც არ იყო მითითებული. მოსარჩელემ მოპასუხისათვის ქ. თბილისი, ... ქ. ¹⁴-ში მდებარე ¹... აბანოს შენობის და მიმდებარე მიწის ნაკვეთის შპს «...» სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **15.03.07წ.** გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ქ. თბილისში, ... ქ. ¹⁴-ში მდებარე ¹... აბანოს შენობისა და შენობის ქვეშ განთავსებული მიწის ნაკვეთის შპს «...» სახელზე დარეგისტრირება საკადასტრო აზომვივითი ნახაზით დადგენილი ფართობის მითითებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა მიმდებარე მიწის ნაკვეთის საკუთრებად დარეგისტრირების დავალდებულებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **10.03.08.** გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შპს «...» სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ **28.12.95წ.** სახელმწიფო საწარმო «...» შრომით კოლექტივს იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. ¹⁴-ში მდებარე აბანო. გაფორმებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი. ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული არ ყოფილა შენობის ფართი. ხელშეკრულებაში ცვილელებში არ ყოფილა შეტანილი. **13.02.06წ.** თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ გაიცა საკუთრების მოწმობა, რომელშიც აღინიშნა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. ¹⁴-ში მდებარე ¹... აბანო საკუთრებაში გადაეცა შპს «...». თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემების თანახმად, ... ქ. ¹⁴-ში ¹... აბანო აღრიცხული არ იყო. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს **07.02.07წ.** **12-14 156** წერილის თანახმად, ქ. თბილისში ... ქ. ¹⁴-ში მდებარე ¹... აბანოს პრივატიზაცია განხორციელდა სრულად შპს «...» მიერ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ «უძრავი ნივთების რეგისტრაციის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდება უფლების დამადასტურებელი საბუთებისა და საკადასტრო ინფორმაციის საფუძველზე, ამავ კანონის **24-ე** მუხლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია არსებითი წინააღმდეგობის არსებობა სარეგისტრაციოდ წარდგენილ უფლებასა და საჯარო რეესტრში უკვე რეგისტრირებულ უფლებებზე მდგომარეობას შორის, რაც შეუძლებელს ხდის რეგისტრაციას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური მონაცემების ბიუროს არქივის მონაცემებით, ... ქ. ¹⁻⁴-ში რეგისტრირებული იყო ¹... საშუალო სკოლა. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ **28.12.95წ.** იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ განისაზღვრა ქ. თბილისში, ... ქ. ¹⁴-ში მდებარე ¹... აბანოს მდებარეობის მიწის ნაკვეთის სამართლებრივი სტატუსი შპს «...» სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ... ქ. ¹⁴-ში მდებარე ¹... აბანო წარმოადგენდა მის ქვეშ არსებული მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს. საქმის მასალებში არ იყო დაცული რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადგინდებოდა, რომ სადავო შენობის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი საკუთრებაში ჰქონდა მოსარჩელეს გადაცემული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **10.03.08.** გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «...». **15.05.09წ.** შპს «...» დირექტორმა მ. ს-ელმა სასარჩელო განცხადებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. ¹⁴-ში მდებარე ¹... აბანო საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა შპს «...» სახელზე, რის გამოც შპს «...» უარს ამბობს სასარჩელო განცხადებაზე. განმცხადებელმა მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა შპს «...» დირექტორის მ. ს-ელის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რის შესაბამისადაც მხარე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამდენად, მოსარჩელემ, შპს «...» დირექტორმა მ. ს-ელმა განაცხადა რა უარი სარჩელზე, გამოხატა შპს «...» ნება საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც საკადრებულაა სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ვინაიდან სასკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმის განცხადებაზე.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება. სსკ-ის 49.2 მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება, ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» დირექტორის მ. ს-ელის განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.03.08წ. გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.03.07წ. გადაწყვეტილება და შპს «...» და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს შორის არსებულ დავაზე საქმის წარმოება შეწყდეს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო;
3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება;
4. შპს «...» დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

18ს-1225-1187(2კ-08)

21 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 6 აგვისტოს ი/მ «ზ. კ-მემ» სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ როგორც ინდემწარმე, სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა ქ. ზესტაფონში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, რეგისტრაციაში გატარდა დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი 1074921. საგადასახადო კოდექსის 249-ე მუხლის შესაბამისად 2007 წლის იანვარში საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა დეკემბრის დღე-ს გადამხდელის ყოველთვიური დეკლარაცია, ასევე, ანგარიშ-ფაქტურების მესამე პირები, რომლითაც მიღებული ჰქონდა საქონელი. აღსანიშნავია, რომ მითითებულ-

ლი საქონელი არ იყო რეალიზებული დღგ-ს რეგისტრაციამდე, ანუ ნაშთად იყო დარჩენილი, თუმცა ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით მას გადახდილი ჰქონდა დღგ მიმწოდებლისათვის, შესაბამისად, მის მიერ გადახდილი დღგ უნდა ჩათვლილიყო გადახდილად. მიუხედავად ამისა, მოპასუხე მხარემ აღუდგინა გადასახდელად **18335,61** ლარის დღგ-ს გადასახადი შემდეგ ანგარიშ-ფაქტურებზე: სერია ბზ **70 '070773**, ბზ **70 '79789**, ბზ **70 '080904**, ბზ **70 '077829**, ბზ **70 '077787**, ბზ **70 '077774**. ასევე დაარიცხა ჯარიმის თანხა **64174,03** ლარი.

აღნიშნულის გამო, მოსარჩელემ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, საიდანაც **2007** წლის **18** ივნისს მიიღო წერილი **116-01/10/4338**, რომლითაც ეცნობა მისი საჩივრის არდაკმაყოფილების შესახებ. **2007** წლის **22** ივნისს ასევე მიმართა შესაგებლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოს, რომლის **2007** წლის **29** ივლისს გადაწყვეტილებით მისი საჩივრი კვლავ არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის **221**-ე მუხლით დღგ-ს ვალდებულება წარმოიშობა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის ვალდებულების დღიდან, ე.ი. მის შემთხვევაში **8** დეკემბრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის **247**-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ე» პუნქტით დღგ-ს ჩათვლა არ წარმოებს იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე რომლებიც არ არის წარმოდგენილი მყიდველის მიერ დღგ-ს საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს **45** დღისა. მის შემთხვევაში საანგარიშო პერიოდი იწყება **2006** წლის **8** დეკემბრიდან და მოიცავს პერიოდს **2006** წლის **31** დეკემბრის ჩათვლით, ხოლო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები ჩათვლის მისაღებად წარადგინა **2007** წლის **15** იანვრისთვის, ე.ი. ანგარიშ-ფაქტურების წარდგენის **45**-დღიანი ვადა არ დაურღვევია.

საგადასახადო ინსპექციაში წარსადგენი დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციის დანართი «ბ-ს» მე-4 სტრიქონი პირდაპირ ითვალისწინებს დღგ-ს რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის გადამხდელთან არსებული საქონლის, მომსახურების ნაშთზე ჩათვლის მიღებას, რის საფუძველზეც მას საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები დაცული აქვს და მის მიმართ წამოყენებული პრეტენზიები არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის **10022166** და **1002162** სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობასა და მოპასუხის დავალდებულებას, ჩამოეწერა მასზე დარიცხული დღგ – **18335,61** ლარი და ჯარიმის სახით დარიცხული თანხა, სულ – **64174,03** ლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **2007** წლის **20** ნოემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **2008** წლის **11** მარტის გადაწყვეტილებით ი/მ «ზ. კ-ძის» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ი/მ «ზ. კ-ძეს» უარი ეთქვა მასზე გადასახდელად დარიცხული დღგ-ს – **18335,61** ლარის ჩამოწერაზე და საქართველოს საგადასახადო კოდექსის **132**-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობაზე; ბათილად იქნა ცნობილი **2007** წლის **10** აპრილის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, მოსარჩელეზე, სსკ-ის **138**-ე მუხლის საფუძველზე ჯარიმის – **55006,83** ლარის დაკისრების შესახებ, ამ ოქმის საფუძველზე გამოცემულ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის **107/442** ბრძანებასთან და საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის **221**-ე მუხლის **1**-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად პირი ვალდებულია, გატარდეს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციაში, თუ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი **12** კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება **100000** ლარს; მან ამ მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს **2** სამუშაო დღისა საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის **247**-ე მუხლის **1**-ლი ნაწილის თანახმად, დღგ-ს ჩათვლის უფლება აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის «ე» პუნქტის თანახმად, დღგ-ს ჩათვლა არ წარმოებს იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც არ არის წარმოდგენილი მყიდველის (ჩათვლის მიმღების) მიერ დღგ-ს საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს **45** დღისა, ხოლო ამავე კოდექსის **250**-ე მუხლით, დღგ-ს საანგარიშო პერიოდად ითვლება კალენდარული თვე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში ინდემწარმე ზ. კ-ძის მოსაზრებით, საგადასახადო ორგანო ვალდებული იყო, ჩაეთვალა მისთვის დღგ-ს თანხა, რომელიც გადაუხადა **2006** წლის ოქტომბერში მიმწოდებელს საქონლის შეძენისათვის, ვინაიდან ეს საქონელი რეალიზებული არ ჰქონდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის მომენტისათვის. ამ მოსაზრებას მოსარჩელე და მისი წარმომადგენლები ამყარებენ დეკლარაციის ფორმაზე, კერძოდ, დანართ «ბ»-ზე, რომლის სათაურია: «თანხა, რომლითაც მცირდება ბიუჯეტში შესატანი დღგ». დანართის მეოთხე პუნქტით ასეთი თანხა არის: «დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის გადამხდელთან არსებული საქონლის მომსახურების ნაშთებზე» ჩასათვლელი დღგ და სწორედ ამ გრაფაში აქვს მითითებული ინდემწარმე ზ. კ-ძეს სადავო **18335.61** ლარი.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოსაზრება, რადგან **2007** წლის იანვარში, ანუ მოსარჩელის მიერ საგადასახადო დეკლარაციით წარდგენის მომენტისათვის მოქმედებდა საქართველოს

ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 3 თებერვლის 157 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია «დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ», რომლის მეორე მუხლის «გ» პუნქტში განმარტებულია დეკლარაციის მითითებული გრაფის შევსების წესი, კერძოდ, მე-4 სტრიქონზე აისახება დღგ-ის თანხა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის გადამხდელთან არსებული საქონლის/მომსახურების ნაშთზე საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ე» პუნქტით დადგენილი შეზღუდვების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის 45-დღიანი ვადის) გათვალისწინებით.

ამდენად, სასამართლოს განმარტებით, ამ დანართში მითითებული შედგავთები ვრცელდება არა ყველა საქონლის ნაშთზე, რომელიც შესაძლებელია მეწარმეს შეძენილი აქვს წლების და თუნდაც თვეების წინ, არამედ მხოლოდ იმ საქონელის ნაშთზე, რომელთა ანგარიშ-ფაქტურები საგადასახადო ორგანოში წარდგენილია კანონით დადგენილ 45-დღიან ვადაში.

ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა იმ სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 132-ე მუხლის საფუძველზე დაეკისრა ჯარიმა, რადგან ეს მუხლი გადასახადის გადამხდელის მიმართ სანქციებს ითვალისწინებს საგადასახადო დეკლარაციაში ან/და გაანგარიშებებში გადასახადის შემცირებისას. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ მის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციით არასწორად მოითხოვა ბიუჯეტში შესატანი დღგ-ს თანხის შემცირება 18335.61 ლარით, რაც, როგორც სასამართლომ უკვე აღნიშნა, უკანონოა, შესაბამისად დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამო შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის შესახებ.

რაც შეეხება ინდემწარმე ზ. კ-ძის მოთხოვნას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 138-ე მუხლის საფუძველზე შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, ამ მუხლის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოში არასწორი მონაცემების შემცველი დოკუმენტების წარდგენა, რაც იძლევა გადახდილი გადასახადის მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლის ან დაბრუნების საფუძველს – იწვევს დაჯარიმებას ჩასათვლელი ან დასაბრუნებელი თანხის 300 პროცენტის ოდენობით.

ინდემწარმე ზ. კ-ძემ საგადასახადო ორგანოში წარადგინა ანგარიშ-ფაქტურები, რომლებიც არასწორ მონაცემებს არ შეიცავდა, რაც სადავოდ არ გაუხდია მოპასუხე მხარესაც. მოსარჩელემ შეცდომით ჩათვლა, რომ ამ ანგარიშ-ფაქტურებით შექმლო ჩათვლის მიღება და ამიტომ შეიტანა იგი დეკლარაციაში, ანუ მას ყალბი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები არც ჰქონია და არც ასეთი დოკუმენტების საშუალებით არ უცდია მიეღო დღგ-ს ჩათვლა, შესაბამისად, მის მიმართ საგადასახადო ორგანოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 138-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს, შიდა ინსტრუქციებს და მეთოდურ მითითებებს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ხელმძღვანელობენ ასეთი ბრძანებებით, შიდა ინსტრუქციებით და მეთოდური მითითებებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2007 წლის 12 დეკემბრის ბრძანების 17892 მე-10 მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 138-ე მუხლით ფინანსური სანქციის გამოყენებისათვის აუცილებელ საფუძველად კანონმდებლის მიერ გამოკვეთილია არასწორი მონაცემების შემცველი დოკუმენტი, კერძოდ, ფიქტიური გარიგების ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და საბაჟო დეკლარაცია, ან ჩათვლის მისღებად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტი, რომელიც გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი მოთხოვნის განხილვის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მხრიდან სსკ-ის 71-ე მუხლის თანახმად, შეიძლება საფუძველად დაედოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ჩათვლას ან უკან დაბრუნებას.

ამდენად, მითითებულ ბრძანებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 138-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი აქვს გადამხდელის მიერ წინასწარი განზრახვით ყალბი ან ფიქტიური გარიგების ამსახველი ანგარიშ-ფაქტურის წარდგენისას, რასაც ინდ/მეწარმე ზ. კ-ძის შემთხვევაში არ მომხდარა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ), ი/მ «ზ. კ-ძემ» და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

აპელანტები – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური სააპელაციო საჩივრებში მითითებდნენ, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 138-ე მუხლი, რომელიც იმპერატიულად ადგენს, რომ თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოში არას-

წორი მონაცემების შემცველ დოკუმენტს წარადგენს, რომელიც იძლევა გადახდილი გადასახადის მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლას ან დაბრუნებას, იწვევს დაჯარიმებას ჩასათვლელი ან დასაბრუნებელი თანხის 300% ოდენობით. სწორედ ასეთი ფაქტი მოხდა ინდემწარმე «ზ. კ-ძის» მხრიდან, მან 2007 წლის იანვარში საგადასახადო ინსპექციაში ჩასათვლელად წარადგინა 2006 წლის ოქტომბრის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები დღგ-ს ჩათვლის მიღების მიზნით. ამდენად, საგადასახადო ინსპექციის მიერ სავსებით კანონიერად იქნა გამოყენებული საგადასახადო კოდექსის 138-ე მუხლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტები ითხოვდნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

აპელანტი – ი/მ «ზ. კ-ძე» სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ დეკლარაციის წარდგენა უნდა მომხდარიყო სასაქონლო ოპერაციის განხორციელებიდან 45 დღის განმავლობაში, რადგანაც საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით დადგენილია, რომ 45-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან და არა სასაქონლო ოპერაციის განხორციელებიდან, ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დღგ-ს დეკლარაციების წარდგენა შესაბამის საგადასახადო ორგანოში შესაძლებელია მხოლოდ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ და დაუშვებელია მათი წარდგენა არარეგისტრირებული პირის მიერ. სასამართლოსთვის ასევე ცნობილია, რომ განხორციელებულ სასაქონლო ოპერაციებზე დღგ-ს გადამხდელად ითვლება საქონლის (მომსახურების) მიმწოდებელი და არა მისი შემმენი, რის გამოც დაუშვებელია არასათანადო გადამხდელზე გადასახადების დარიცხვა. სასამართლოსთვის ასევე ცნობილია, რომ საქონლის მიმწოდებელი წარადგენს დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურებს და შესაბამის დეკლარაციებს საგადასახადო კონტროლის განხორციელების მიზნით, მასვე ერიცხება შესაბამისი სასაქონლო ოპერაციიდან წარმოშობილი დღგ და თუ აღნიშნული თანხა ასევე გადასახდელად დაერიცხება საქონლის მომსახურების შემმენსაც, საქმე გვექნება ორმაგ დაბეგრასთან, ერთი სასაქონლო ოპერაციიდან წარმოშობილი ერთი და იმავე გადასახადის ერთდროულად ორი პირისათვის დაკისრება დაუშვებელია მოქმედი საგადასახადო კოდექსით. ასევე, სასამართლოს მხრიდან არ იქნა სწორად დაცული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 და მე-9 ნაწილები. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებელი ნაწილით პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგება მის ინტერესებს და აღნიშნული არ შეიძლება დამკვიდრებულ იქნეს სასამართლო პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ი/მ «ზ. კ-ძის», საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრისა (საგადასახადო ინსპექციის) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი/მ «ზ. კ-ძის» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 26 თებერვლის 11542 საგადასახადო მოთხოვნა ი/მ «ზ. კ-ძის» მიმართ დღგ-ს თანხის – 18 335, 61 ლარის დარიცხვის თაობაზე. ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 1002162 სამართალდარღვევის ოქმის (სანქციის სახით 55006,83 ლარის დაკისრების თაობაზე), მის საფუძველზე გამოცემული 107.442 ბრძანების, 10022166 სამართალდარღვევის ოქმისა (სანქციის სახით ჯარიმის 4583,9 ლარის დაკისრების თაობაზე) და მის საფუძველზე გამოცემული 107/443 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში ი/მ «ზ. კ-ძის» სარჩელთან დაკავშირებით შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

კასატორები – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საკასაციო საჩივრებით ითხოვდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 26 თებერვლის საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობის ნაწილში გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩნეული ინდემწარმე «ზ. კ-ძის» საკასაციო საჩივარი.

2009 წლის 19 მაისს ი/მ «ზ. კ-ძემ» განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა სასარჩელო განცხადებაზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კასატორ – ინდემწარმე «ზ. კ-ძის» შუამდგომლობის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მისი შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა შეწყდეს საქმის წარმოება ინდემწარმე «ზ. კ-ძის» სარჩელზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ – ინდემწარმე «ზ. კ-ძემ» უარი განაცხადა რა სარჩელზე, გამოხატა ნება თავისი საპროცესო უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე მხარის ნების შეუზღუდავი გამოვლენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლოს ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია მხარეებისათვის იმაზე მითითება, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდემწარმე «ზ. კ-ძის» შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება, ამასთან უნდა გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ინდემწარმე «ზ. კ-ძის» განცხადება სარჩელზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება და ინდემწარმე «ზ. კ-ძის» სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება;
3. მოსარჩელეს განემარტოს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

18ს-182-176(კ-09)

27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ს-შვილმა და ი. პ-ოვმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვეს: მიუღებელი სახელფასო დავალიანების – 644,20 ლარისა და სოცანარიცხის – 201,15 ლარის, სულ – 845,35 ლარის გ. ს-შვილის სასარგებლოდ ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება; მიუღებელი სახელფასო დავალიანების – 1140,42 ლარისა და სოცანარიცხის – 349,40 ლარის, სულ – 1489,82 ლარის ი. პ-ოვის სასარგებლოდ ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ს-შვილისა და ი. პ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გ. ს-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 845,35 ლარის და ი. პ-ოვის სასარგებლოდ – 1489,82 ლარის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2009 წლის 12 თებერვლის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

2009 წლის 25 მაისს გ. ს-შვილმა და ი. პ-ოვმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას მიმართეს განცხადებებით, რომლებითაც, დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, უარი განაცხადეს სარჩელზე და ითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, გ. ს-შვილისა და ი. პ-ოვის განცხადებებს სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადებები უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის (დისპოზიციურობის პრინციპი) პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის (დისპოზიციურობის პრინციპი) მე-2 ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული (სამოქალაქო) სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე – მხარე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამდენად, მოსარჩელეებმა – გ. ს-შვილმა და ი. პ-ოვმა სარჩელზე უარის თქმით გამოხატეს საკუთარი ნება თავიანთი საპროცესო უფლებების განსაკარგავად, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ს-შვილისა და ი. პ-ოვის განცხადებები სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შეხებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განჩინება და გ. ს-შვილს და ი. პ-ოვსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის არსებულ დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება მოსარჩელეთა მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო;
3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-312-302(კს-09)

27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჩ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მიუღებელი სახელფასო დავალიანების – 1761,45 ლარის მის სასარგებლოდ ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გ. ჩ-მის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 1761,45 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

2009 წლის 25 მაისს გ. ჩ-მემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას მიმართა განცხადებით, რომლითაც, დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად უარი განაცხადა სარჩელზე და ითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, გ. ჩ-ძის განცხადებას სარჩელ- ზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქარ- თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის (დისპოზიციურობის პრინციპი) პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართვე- ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის (დისპოზიციურობის პრინციპი) მე-2 ნაწილის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული (სამოქალაქო) სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციუ- რობის პრინციპზე – მხარე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამდენად, მოსარჩელემ – გ. ჩ-ძემ სარჩელზე უარის თქმით გამოხატა საკუთარი ნება თავისი საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ- ველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწი- ლით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ჩ-ძის განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილ- დეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინება და გ. ჩ-ძესა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის არსე- ბულ დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო;
3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, არ დაიშვება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

18ს-324-314(კს-09)

27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. თ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მო- პასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოით- ხოვა მიუღებელი სახელფასო დავალიანების – 1095,12 ლარის მის სასარგებლოდ ანაზღაურების მოპასუხი- სათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გა- დაწყვეტილებით ნ. თ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნ. თ-მის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 1095,12 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

2009 წლის 25 მაისს ნ. თ-მემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას მიმართა განცხადებით, რომლითაც, დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, უარი განაცხადა სარჩელზე და ითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, ნ. თ-მის განცხადებას სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის (დისპოზიციურობის პრინციპი) პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის (დისპოზიციურობის პრინციპი) მე-2 ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული (სამოქალაქო) სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე – მხარე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამდენად, მოსარჩელემ – ნ. თ-მემ სარჩელზე უარის თქმით გამოხატა საკუთარი ნება თავისი საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. თ-მის განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინება ნ. თ-მისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის არსებულ დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, არ დაიშვება;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე
უარის თქმის გამო**

განჩინება

18ს-352-337(კს-09)

27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 ოქტომბერს ნ. ვ-ოვამ და ნ. ჩ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოპასუხისათვის ნ. ვ-ოვას სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 450,18 ლარისა და სოცანარიცხების – 137,78 ლარის, ხოლო ნ. ჩ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 541,20 ლარისა და სოცანარიცხების – 169,77 ლარის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ვ-ოვასა და ნ. ჩ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელე ნ. ვ-ოვას სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 450,18 ლარის, ასევე, სოცანარიცხების – 137,78 ლარის ანაზღაურება, ხოლო ნ. ჩ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 541,20 ლარისა და სოცანარიცხების – 169,77 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 მარტის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

2009 წლის 25 მაისს ნ. ვ-ოვამ და ნ. ჩ-შვილმა განცხადებებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, რომლებითაც უარი თქვეს სარჩელზე და საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვეს.

განცხადების ავტორთა განმარტებით, «საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული იყო გარკვეული თანხა ლიკვიდირებული მიწის მართვის დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების სახელფასო დავალიანების დასაფარავად, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 26 იანვრის 111 §18 ბრძანებით შეიქმნა კომისია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ყოფილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა სასარგებლოდ არსებული კრედიტორული დავალიანების რეალობის დადგენის მიზნით. ხსენებულმა კომისიამ დაადგინა ნ. ვ-ოვასა და ნ. ჩ-შვილის სასარგებლოდ არსებული სახელფასო დავალიანებების ოდენობა, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა მოითხოვა მომსახურე ბანკის რეკვიზიტები და ანგარიშის ნომერი, რომლებზეც ჩაირიცხებოდა მათთვის სახელფასო დავალიანება.

ამდენად, განცხადების ავტორებმა აღნიშნეს, რომ, აღარ არსებობდა სასამართლოში საქმის წარმოების გაგრძელების სამართლებრივი საფუძვლები, ვინაიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მზად იყო სა-

ხელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით მოეხდინა მათი სახელფასო დავალიანების გასტუმრება, ხოლო დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, მოსარჩელებს უფლება ჰქონდათ, თავად განეკარგათ თავიანთი საპროცესო უფლებები და მიეღოთ გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ვ-ოვამ და ნ. ჩ-შვილმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო მოსარჩელების – ნ. ვ-ოვასა და ნ. ჩ-შვილის განცხადებებს სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადებები უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელებმა ნ. ვ-ოვამ და ნ. ჩ-შვილმა სარჩელზე უარის თქმით მოახდინეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ვ-ოვასა და ნ. ჩ-შვილის განცხადებები სარჩელზე უარი თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. მოსარჩელებს – ნ. ვ-ოვას, ნ. ჩ-შვილსა და მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება;
3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება;
4. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმოვრედ მიმართვა იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-1612-1566(კ-08)

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 20 მაისს ბ. ლ-ტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და ნ. წ-ძის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. ქობულეთში, ... ქუჩის 1...-ში საკუთრებაში გააჩნდა სახლთმფლობელობა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო მეუღლის პაპის – ა. წ-ძისგან. ამ ქონების ნაწილი კომუნისტური მმართველობის დროს ჩამოერთვათ და აშენდა «...» მაღაზია, რომლის დანგრევის შემდეგ, აღნიშნული 170 კვ.მ მიწის ნაკვეთი არავის შემოუღობავს და არც არავის სარგებლობაში გადასულა. 2006 წლიდან მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა უშედეგოდ. მოგვიანებით კი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 5 მარტის 110004 საკუთრების მოწმობით მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა სადავო მიწის ნაკვეთის ნ. წ-ძის მიერ დაკანონების ფაქტი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ნ. წ-ძეს დაუკანონა როგორც თვითნებურად დაკავებული, რითაც მოსარჩელეს შეეზღუდა უფლება, აუქციონის წესით შეესყიდა სადავო მიწის ნაკვეთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2008 წლის 5 მარტს გაცემული 110004 საკუთრების მოწმობისა და მის საფუძველზე საჯარო რეესტრის მიერ 2008 წლის 31 მარტს განხორციელებული რეგისტრაციის, რომლითაც ნ. წ-ძეს გადაეცა ქ. ქობულეთში, ... ქ. 1...-ს მიმდებარედ 170 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ბათილად ცნობა მოითხოვა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით ბ. ლ-ტის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 5 მარტის 110004 საკუთრების უფლების მოწმობა 170 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. ქობულეთში, ... ქუჩის 1...-ს მიმდებარედ) და საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 31 მარტის 120/12/06/341 ჩანაწერი.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. წ-ძემ სააპელაციო წესით გასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ნ. წ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ ნ. წ-ძემ განცხადებით მიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა მიწის ნაკვეთზე, როგორც თვითნებურად დაკავებულზე, საკუთრების უფლების აღიარება. ნ. წ-ძემ მოთხოვნას საფუძველად დაუდო მოწმეთა ჩვენებები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ «ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად შესაძლებელი იყო თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, თუ ამ მოთხოვნის მომენტისთვის აღნიშნულ მიწის ნაკვეთს სახელმწიფო არ განკარგავდა. იმავე კანონის, მე-5 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დასადასტურებლად ნ. წ-ძეს, გარდა მოწმეთა ჩვენებებისა, უნდა წარმოედგინა თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად, დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები. ზემოაღნიშნული დოკუმენტების წარდგენა ნიშნავდა მის დასაშვებად ცნობას და იმპერატიულად არ ავალებდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაეკმაყოფილებინა განცხადება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითებები, რომ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით შეიძლება დადასტურებულიყო მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტი და რომ ბ. ლ-ტი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო საქმეზე დაინტერესებულ პირად, რადგან მას არაერთხელ მიუმართავს სათანადო ორგანოებისთვის სადავო მიწის ნაკვეთის შესყიდვის მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. წ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება არ იყო იურიდიულად დასაბუთებული, რის გამოც მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელი იყო, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო შეეფასებინა საქმეში არსებული მტკიცებულებები და განესაზღვრა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებები იყო დასადგენი. სააპელაციო სასამართლომ კი ისე გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი მტკიცებულებები, რომ არ შეამოწმა მათი საფუძვლიანობა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ნ. წ-ძემ ვერ დაადასტურა სადავო მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი, რაც კასატორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ საქმეში იყო მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი 2006 წლიდან მის სარგებლობაში იყო, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარებოდა ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც დაკავებული იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტებით, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო სახელმწიფო ქონება, რომლის ბედიც საკუთრების აღიარების კომისიას არ გაურკვევია. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ «ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტებით დაკავებულ მიწის ნაკვეთზე და არა იმ ნაკვეთზე რომელიც ადრე იყო დაკავებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტებით. საქმეში წარმოდგენილი იყო ქობულეთის რაიონის გამგეობის 2003 წლის 6 ივნისის წერილი, საიდანაც ირკვეოდა, რომ 2002 წლის 10 ივნისის რაიონის გამგეობის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების 113 დადგენილებით სადავო მიწის ნაკვეთზე მდებარე მაღაზია ჩამოწერილ იქნა ქობულეთის «...» ბალანსიდან, რის შემდეგაც მიწის ნაკვეთი დარჩა მმართველობის ადგილობრივი ორგანოს განკარგულებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. წ-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2009 წლის 19 მარტამდე განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 19 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით ნ. წ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 28 მაისს, 12.00 საათზე.

2009 წლის 28 მაისის საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელე ბ. ლ-ტმა უარი თქვა სარჩელზე და საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა, რასაც მხარეებიც დაეთანხმნენ, მათ შორის კასატორი ნ. წ-ძე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო მოსარჩელე ბ. ღ-ტის შუამდგომლობას სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ბ. ღ-ტმა სარჩელზე უარის თქმით მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ღ-ტის შუამდგომლობა სარჩელზე უარი თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. მოსარჩელე ბ. ღ-ტსა და მოპასუხეებს – ნ. წ-ძეს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურს შორის დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება;
3. გაუქმდეს ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინება;
4. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის
წარმოების შეწყვეტა**

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

07.10.08წ. მ. დ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მუშაობდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტში ... თანამდებობაზე. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მისაღები დარჩა ხელფასი – **1155.06** ლარი. მ. დ-მემ აღნიშნული თანხის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **12.11.08წ.** გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისრა მ. დ-მის სასარგებლოდ **1155** ლარისა და **6** თეთრის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. სასამართლომ აღნიშნა, რომ «სახელმწიფო რეესტრის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების ღონისძიებათა თაობაზე» საქართველოს მთავრობის **09.07.04წ.** **156** დადგენილების I პუნქტის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დადგენილებით განისაზღვრა ლიკვიდაციის შემდგომ ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის ქონებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა, დეპარტამენტის უფლებამონაცვლე. დადგენილებაში აღინიშნა, რომ «სახელმწიფო რეესტრის შესახებ» კანონის თანახმად, შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელსაც გადაეცა მიწის მართვის დეპარტამენტის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, შენობები, მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და სხვა ქონება, აგრეთვე, საშტატო რიცხოვნება და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება. სასამართლომ მიუთითა, რომ უფლებამონაცვლეობის საკითხი ასევე დადასტურებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს **12.12.07წ.** განჩინებითაც. სასამართლომ მიიჩნია, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის **37-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილის საფუძველზე მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, მიეღო სახელფასო დავალიანება – **1155** ლარი და **06** თეთრი. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **08.01.09.** განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **08.01.09.** განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ».

28.05.09წ. მ. დ-მემ სასარჩელო განცხადებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ «საქართველოს **2009** წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონით გათვალისწინებულია გარკვეული თანხა ლიკვიდირებული მიწის მართვის დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების სახელფასო დავალიანების დასაფარავად. იუსტიციის სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის **26.01.09წ.** **111 §18** ბრძანებით შეიქმნა კომისია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ყოფილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა სასარგებლოდ არსებული კრედიტორული დავალიანების რეალობის დადგენის მიზნით. კომისიამ დაადგინა მის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ოდენობა და იუსტიციის სამინისტროს ეკონომიურმა დეპარტამენტმა მოითხოვა მოსამსახურე ბანკის რეკვიზიტები და ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება მისი ხელფასი. მ. დ-მემ მიუთითა, რომ იუსტიციის სამინისტრო მზადაა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით გაისტუმროს მისი სახელფასო დავალიანება. განმცხადებელმა მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა მ. დ-მის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რის შესაბამისადაც მხარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამდენად, მოსარჩელემ, მ. დ-მემ განაცხადა რა უარი სარჩელზე, გამოხატა თავისი ნება საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ვინაიდან სასკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმის განცხადებაზე.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. დ-მის განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.01.09. განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.11.08წ. გადაწყვეტილება და მ. დ-მესა და სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს» შორის არსებულ დავაზე საქმის წარმოება შეწყდეს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-283-273(კ-09)

2 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

16.10.07წ. ნ. დ-მემ, ნ. ქ-მემ, გ. ც-შვილმა, გ. ნ-მემ, ი. მ-შვილმა, თ. ს-შვილმა, მ. ა-მემ, მ. თ-მემ, ი. გ-შვილმა, მ. მ-მემ, ვ. ჭ-მემ, ნ. კ-მემ, მ. ა-მემ, გ. ბ-მემ, ო. კ-მემ, გ. შ-მემ, გ. ნ-მემ, ვ. ა-შვილმა, ბ. ჭ-მემ, ო. ა-შვილმა და მ. ა-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მათი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების და თანხის დაყოვნების ყოველი დღისათვის თანხის 0,07% გადახდის დაკისრება მოითხოვეს. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მუშაობდნენ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის საჩხერის მიწის მართვის სამმართველოში და სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მიუღებელი დარჩათ ხელფასი. ნ. დ-მე არის გარდაცვილილი სამმართველოს უფროსის რ. ქ-მის მეუღლე და აქვს სამკვიდრო მოწმობა.

სასამართლოს 04.04.08წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სააგენტოს დაევალა მოსარჩელეთა სახელფასო დავალიანების დაანგარიშება და ანაზღაურება, უარი ეთქვათ

მოსარჩელებს თანხის დაყოვნების ყოველი დღისათვის **0,07%**-ის ანაზღაურებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **28.11.08წ.** გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნ. დ-მისათვის **1133** ლარისა და **38** თეთრის, ნ. ქ-მისათვის **1001** ლარისა და **5** თეთრის, გ. ც-შვილისათვის **175** ლარისა და **20** თეთრის, გ. ნ-მისათვის **561** ლარისა და **35** თეთრის, ი. მ-შვილისათვის **207** ლარისა და **90** თეთრის, მ. ა-მისათვის **174** ლარისა და **44** თეთრის, მ. თ-მისათვის **629** ლარისა და **70** თეთრის, ო. ა-შვილისათვის **93** ლარისა და **73** თეთრის, ი. გ-შვილისათვის **559** ლარისა და **51** თეთრის, თ. ს-შვილისათვის **420** ლარისა და **69** თეთრის, მ. მ-მისათვის **142** ლარისა და **83** თეთრის, ვ. ჭ-მისათვის **197** ლარისა და **9** თეთრის, ნ. კ-მისათვის **570** ლარისა და **38** თეთრის, მ. ა-მისათვის **303** ლარისა და **61** თეთრის, გ. ბ-მისათვის **389** ლარისა და **82** თეთრის, ო. კ-მისათვის **221** ლარისა და **46** თეთრის, გ. შ-მისათვის **220** ლარისა და **97** თეთრის, გ. ნ-მისათვის **608** ლარისა და **92** თეთრის, ვ. ა-შვილისათვის **108** ლარისა და **40** თეთრის, ბ. ჭ-მისათვის **139** ლარისა და **70** თეთრის, მ. ა-შვილისათვის **293** ლარისა და **88** თეთრის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება დაეკისრა, მოსარჩელებს უარი ეთქვათ თანხის დაყოვნების ყოველი დღისათვის სახელფასო დავალიანების **0,07%**-ის ანაზღაურებაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ საჩხერის მიწის მართვის სამმართველოში და სამსახურიდან გათავისუფლებისას მიუღებელი დარჩათ ხელფასი, რომლის ოდენობასაც მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ, რის გამოც მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა განსაზღვრული თანხის გადახდა მოსარჩელეთა სასარგებლოდ. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეს სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო» წარმოადგენდა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის **09.07.04წ. 156** დადგენილებაზე, რომლის თანახმად, სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს», «სახელმწიფო რეესტრის შესახებ» კანონის თანახმად, უნდა გადაეცეს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობები, მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და სხვა ქონება, აგრეთვე, დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება. ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის განსაზღვრული საშტატო რიცხოვნებისა და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის **31.12.04წ. 1633** ბრძანებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მის ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი მთლიანად გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის, რათა ამ თანხებიდან განხორციელებულიყო სამსახურიდან გათავისუფლებულ მუშაკებთან ანგარიშსწორება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, აღნიშნული თანხა არ იყო საკმარისი სახელფასო დავალიანების ასანაზღაურებლად, მაგრამ ეს გარემოება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნიდა, ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ». კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

28.05.09წ. ნ. დ-მემ, ნ. ქ-მემ, გ. ც-შვილმა, გ. ნ-მემ, ი. მ-შვილმა, თ. ს-შვილმა, მ. ა-მემ, მ. თ-მემ, ი. გ-შვილმა, მ. მ-მემ, ვ. ჭ-მემ, ნ. კ-მემ, მ. ა-მემ, გ. ბ-მემ, ო. კ-მემ, გ. ნ-მემ, ვ. ა-შვილმა, ბ. ჭ-მემ, ო. ა-შვილმა და მ. ა-შვილმა განცხადებით მიმართეს საკასაციო სასამართლოს და სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვეს. განმცხადებლებმა მიუთითეს, რომ «საქართველოს **2009** წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონით გათვალისწინებულია გარკვეული თანხა ლიკვიდირებული მიწის მართვის დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების სახელფასო დავალიანების დასაფარავად. საქართველოს იუსტიციის მინისტრის **26.01.09წ. 111 §18** ბრძანებით შეიქმნა კომისია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ყოფილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა სასარგებლოდ არსებული კრედიტორული დავალიანების რეალობის დადგენის მიზნით. კომისიამ დაადგინა მათ მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ოდენობა და იუსტიციის სამინისტროს ეკონომიურმა დეპარტამენტმა მოითხოვა მოსამსახურე ბანკის რეკვიზიტები და ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება მათი ხელფასი. იუსტიციის სამინისტრო მზადაა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით გაისტუმროს მათი სახელფასო დავალიანება. **01.06.09წ.** გ. შ-მემ მიმართა საკასაციო პალატას და სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა ნ. დ-მის, ნ. ქ-მის, გ. ც-შვილის, გ. ნ-მის, ი. მ-შვილის, თ. ს-შვილის, მ. ა-მის, მ. თ-მის, ი. გ-შვილის, მ. მ-მის, ვ. ჭ-მის, ნ. კ-მის, მ. ა-მის, გ. ბ-მის, ო. კ-მის, გ. ნ-მის, ვ. ა-შვილის, გ. შ-

მის, ბ. ჭ-მის, ო. ა-შვილის და მ. ა-შვილის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რის შესაბამისადაც მხარე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამდენად, მოსარჩელეებმა განაცხადეს რა უარი სარჩელზე, გამოხატეს თავიანთი ნება საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ვინაიდან სასკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმის განცხადებაზე.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. დ-მის, ნ. ქ-მის, გ. ც-შვილის, გ. ნ-მის, ი. მ-შვილის, თ. ს-შვილის, მ. ა-მის, მ. თ-მის, ი. გ-შვილის, მ. მ-მის, ვ. ჭ-მის, ნ. კ-მის, მ. ა-მის, გ. ბ-მის, გ. შ-მის, ო. კ-მის, გ. ნ-მის, ვ. ა-შვილის, ბ. ჭ-მის, ო. აბრამიშვილის და მ. ა-შვილის განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.08. განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.04.08წ. გადაწყვეტილება და ნ. დ-მის, ნ. ქ-მის, გ. ც-შვილის, გ. ნ-მის, ი. მ-შვილის, თ. ს-შვილის, მ. ა-მის, მ. თ-მის, ი. გ-შვილის, მ. მ-მის, ვ. ჭ-მის, ნ. კ-მის, მ. ა-მის, გ. ბ-მის, ო. კ-მის, გ. ნ-მის, ვ. ა-შვილის, გ. შ-მის, ბ. ჭ-მის, ო. ა-შვილის, მ. ა-შვილის და სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს» შორის არსებულ დავაზე საქმის წარმოება შეწყდეს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-1693-1647(კ-08)

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 9 იანვარს ვ. ც-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1997 წლის 1 აპრილიდან მუშაობდა ... რაიონის მიწის მართვის სამმართველოში მიწათმოწყობის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2004 წლის 1 სექტემბერს მიწის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შედეგად გათავისუფლდა სამსახურიდან. 2007 წლის ზაფხულში განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საიდანაც აცნობეს, რომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით უნდა მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2007 წლის 8 აგვისტოსა და 17 დეკემბრის წერილებით აცნობა, რომ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის კრედიტორული დავალიანების დაფარვა არ განეკუთვნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე, 109-ე და შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულება სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 იანვრის განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ მოპასუხედ მიუთითა ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროზე.

2008 წლის 26 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა ერთ-ერთი მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანების – 665 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ც-მის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისრა ვ. ც-მის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 665 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითება, რომ «სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების ღონისძიებათა თაობაზე» საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის 156 დადგენილებით განხორციელდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაცია და განისაზღვრა მისი ქონებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა ლიკვიდაციის შემდეგ. «სახელმწიფო რეესტრის შესახებ» 2004 წლის 1 ივნისის საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, შენობები, მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და სხვა ქონება, აგრეთვე დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება, ანუ აღნიშნული ნორმატიული აქტით შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რაც თავისთავად ნიშნავდა ლიკვიდირებული დეპარტამენტის ქონებრივი უფლებებისა და შესაბამისი ვალდებულების მასზე გადაცემას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის 11633 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მის ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი მთლიანად გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის. აღნიშნული თანხიდან უნდა განხორციელებულიყო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სამსახურიდან გათავისუფლებული მუშაკებისათვის საბოლოო ანგარიშსწორება, ვინაიდან თანხა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა. ამასთან, შემდეგი წლების დავალიანების დასაფარავად ეთხოვა ფინანსთა სამინისტროს თანხის გადაცემა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის. რამდენადაც «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ცალკე მხარჯველ დაწესებულებას. აღნიშნული დაფინანსების მისაღებად მას შეეძლო «საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ» საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, წარედგინა საბიუჯეტო განაცხადი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის, თუკი ჩათვლიდა, რომ მისი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები არ იქნებოდა საკმარისი დავალიანების დასაფარავად. აღნიშნულს ადასტურებს სახელფასო დავალიანების გადახდის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 24 ნოემბრის 104-02/12032 წერილი, რომლის მიხედვითაც ყოფილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის კრედიტორული დავალი-

ანებები, მათ შორის სახელფასო დავალიანებებიც, უნდა დაფაროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

საპედაგოგო სასამართლოს განმარტებით, «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტში (28.12.05) აღნიშნული იყო, რომ «მიწის რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის ზონის რეგისტრატურაში რეგისტრირებული უფლებები მიიჩნევა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულად. მართალია, დასახელებულ კანონში 2007 წლის 11 მაისს შეტანილ იქნა ცვლილება და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა განსხვავებული სახით, მაგრამ მუხლის ძველი რედაქცია ცხადყოფს, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება, მიწის მართვის დეპარტამენტის უფლებამონაცვლე იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. გარდა ამისა, ვინაიდან მთავრობის 156 დადგენილების საფუძველზე მოხდა მიწის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაცია და მისი ფუნქცია, რომელიც დაკავშირებული იყო უძრავი ქონების რეგისტრაციასთან, გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საპედაგოგო სასამართლოს განჩინება სპასაციო საჩივრით გაასაჩივრა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა «სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების ღონისძიებათა თაობაზე» საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის 156 დადგენილების პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციის უზრუნველყოფა დაევა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს. ამავ დამდგენილებით, მართალია, მიწის მართვის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობები, მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და სხვა ქონება, აგრეთვე, დეპარტამენტის სამტატო რიცხოვნობა და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება უნდა გადასცემოდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მაგრამ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო განთავსებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ, სააგენტოსთან გაფორმებული უზუფრუქტის ხელშეკრულებების საფუძველზე, მფლობელობაში გადაცემულ შენობებში. კასატორის განმარტებით, თანამშრომლები შეირჩა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად, რომლის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 10 სექტემბრის 1101 ბრძანებით და სააგენტო შეიქმნა ახალი, საკუთარი სამტატო რიცხოვნობით. როგორც კასატორი აღნიშნავს, «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს 2004 წლის კანონით, საბიუჯეტო დაფინანსება განსაზღვრული იყო მიწის მართვის დეპარტამენტისთვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის კი შექმნის დღიდან დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს «საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად მიღებული შემოსავლები, რაც ხმარდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. «საჯარო სამართლის იურიდიული პირის» შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, «საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია».

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა «საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – მიწის მართვის დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისიის მუშაობის შედეგებისა და დასკვნის დამტკიცების შესახებ» საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის 1633 ბრძანება, რომლის მე-7 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელფასო დავალიანება შეადგენდა 938,4 ათას ლარს და აღნიშნული სახელფასო დავალიანების დასაფარად საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ფინანსთა სამინისტროს სთხოვა თანხების გამოძებნა. ამავ მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, იუსტიციის მინისტრმა ფინანსთა სამინისტროს აგრეთვე სთხოვა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშზე დარჩენილი ნაშთის – 111,8 ათასი ლარის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემა და მანვე განსაზღვრა ამ თანხის გამოყენების მიზნობრიობა. ამავ ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს დაევალი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სალიკვიდაციო კომისიის მიერ გამოანგარიშებული, აუდიტის დასკვნით დადასტურებული და გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე კორექტირებული ნაშთების ყველა საბალანსო ანგარიშების მიხედვით სამინისტროს ნაერთ ბალანსში ასახვა. მათ შორის იყო სახელფასო დავალიანების თანხები, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საბიუჯეტო დავალიანებას და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ვალდებულებებთან არანაირი კავშირი არ გააჩნია.

კასატორი აღნიშნავდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – მიწის მართვის დეპარტამენტის ძირითად ფუნქციას არასოდეს წარმოადგენდა უძრავ ნივთებზე უფლებათა საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფუნქციები კი «სახელმწიფო რეესტრის შესახებ» საქართველოს კანონით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის 1835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის ეროვნულ-

ლი სააგენტოს დებულებით, «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით ამომწურავად არის განსაზღვრული და ძირითადად წარმოადგენს უძრავ ნივთებზე უფლებების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

როგორც კასატორი მიუთითებს, არც ერთ კანონში ან რაიმე სამართლებრივ აქტში არ არის აღნიშნული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების მიწის მართვის დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეობის საკითხი. ასევე, არაფერია ნათქვამი მიწის მართვის დეპარტამენტის უფლება-მოვალეობების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემის შესახებ. ასე რომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – მიწის მართვის დეპარტამენტის მუშაკისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

კასატორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ იუსტიციის სამინისტროს მიწის მართვის დეპარტამენტში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეები დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა და არა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ.

კასატორი მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» და 2008 წლის «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონებზე და აღნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტრო ახდენს კანონით გათვალისწინებული თანხების გამოყოფას და საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანებების გასტუმრებას. «საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ» საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განაცხადს წარუდგენენ მხარჯველი დაწესებულებების ხელმძღვანელები, ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის პოზიციის თანახმად, სახელმწიფოს ეს დავალიანება დაიფარება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, კასატორის მიუთითებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მიმართვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი საქვეუწყებო დაწესებულების საჯარო მოსამსახურისათვის საბიუჯეტო დავალიანების დასაფარად თანხების გამოყოფის შესახებ უკანონო და უშედეგოა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩნეული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

2009 წლის 28 მაისს ვ. ც-მემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა სასარჩელო განცხადებაზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ვ. ც-მის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მისი განცხადება სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა შეწყდეს საქმის წარმოება ვ. ც-მის სარჩელზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ – ვ. ც-მემ უარი განაცხადა რა სარჩელზე, გამოხატა ნება თავისი საპროცესო უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე მხარის ნების შეუზღუდავი გამოვლენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლოს ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია მხარეებისათვის იმაზე მითითება, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ც-მის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება, ამასთან, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება და თბილისის საპეალაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ც-მის განცხადება სარჩელზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება და ვ. ც-მის სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება;
3. მოსარჩელეს განემართოს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

18ს-737-702(კ-09)

29 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა და უძრავი ქონების საკუთრებაში რეგისტრაცია

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

მ. პ-მემ სარჩელი აღძრა ვანის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების – თ. პ-მისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 31 ივნისის 1310202386 მიწის (უძრავი ქონების) რეგისტრაციის გაუქმება და მიწის ნაკვეთის მ. პ-მეზე დარეგისტრირება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე წლების განმავლობაში ცხოვრობდა ვანის რ-ნის სოფ. ... დედისეულ – ე. პ-მის კომლში, ასევე ფლობდა და სარგებლობდა მიწის ნაკვეთით, როგორც საკუთარით, რომელიც მდებარეობდა მისი საცხოვრებელი სახლის მოსაზღვრედ, შესაბამისად, იხდიდა ყველა გადასახადს. 2006 წლიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფიზიკური ძალის გამოყენებითა და მუქარით დაეუფლა მისი ძმისშვილი – თ. პ-მე. 2006 წლიდან მათ შორის დავას იხილავდა სხვადასხვა სასამართლოები, თუმცა ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიღებული არ იქნა იმ მიზეზის გამო, რომ მისთვის ცნობილი არ იყო მიწის ნაკვეთის თ. პ-მის სახელზე რეგისტრაციის შესახებ. მოსარჩელემ აღნიშნული შეიტყო 2008 წლის 22 სექტემბერს.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელის განმარტებით, ის ფაქტი, რომ იგი წლების განმავლობაში ფლობდა და სარგებლობდა სადავო მიწის ნაკვეთით, დადასტურებული იყო სოფ. ... თემის რწმუნებულის 2008 წლის 19 ნოემბრის 103 ცნობით. აღნიშნული ცნობით ასევე დადასტურებული იყო მის მიერ მიწის ნაკვეთზე გადასახადების გადახდა (გადასახადის გადახდის ქვითრებით). ზემოაღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ ასევე მოწმეები, რომლებსაც სამსახურებრივად პირდაპირი შეხება ჰქონდათ ვანის რაიონში სასოფლო-სამეურნეო მიწებთან. ასევე ის ფაქტი, რომ სადავო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული იყო თ. პ-მის საკუთრებაში, დადასტურებული იყო ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. სადავო მიწის ნაკვეთი თ. პ-მეზე დარეგისტრირებული იყო უკანონოდ. მოპასუხე არასოდეს ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული მიწის ნაკვეთით, შესაბამისად, არ იხდიდა გადასახადებს და არ შეუძენია სადავო მიწის ნაკვეთი. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურმა სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოსცა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რითაც დაირღვა მოსარჩელის, როგორც სადავო მიწის მფლობელისა და მესაკუთრის კანონიერი უფლებები და მას მიადგა პირდაპირი და უშუალო ზიანი.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები მითითებული არ არის.

მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურმა რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ ვანის სარეგისტრაციო

სამსახურში თ. პ-ძის საკუთრებაში უძრავი ქონების რეგისტრაცია განხორციელდა 2006 წლის 8 ნოემბერს, 1310202386 სარეგისტრაციო ნომრით. მითითებულ პერიოდში საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის 1800 ბრძანებით დამტკიცებული «უძრავ ნივთებზე რეგისტრაციის შესახებ» ინსტრუქციის მე-20 მუხლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო პირების (ფიზიკური, კომლი) საკუთრებაში პირველადი რეგისტრაცია წარმოებდა შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში: მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ან სოფლის (დაბის ადგილობრივი მმართველობის გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე დამტკიცებული მიწის განაწილების სიით ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია ან მიწების განაწილების სია, მიწის გამოყოფის გრაფიკული დადასტურების გარეშე; კომლის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, მიუხედავად იმისა უფლების დაგადასტურებელ დოკუმენტში მხოლოდ კომლის უფროსია დაფიქსირებული თუ კომლის ყველა წევრი, საკრებულოს ცნობა კომლის შემადგენლობის შესახებ ან ამონაწერი ზონარგაყრილი (საკომლო) წიგნიდან. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული კომლის უფროსის ან კომლის რომელიმე წევრის გარდაცვალებისას, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; მარეგისტრირებელი ორგანო უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პასუხს არ აგებდა გაცხადებულ უძრავ ნივთზე უფლებისა და საკუთრების უფლების მიტოვების, ასევე ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და მათ საფუძველად წარდგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის თუ სხვა დოკუმენტის ნამდვილობაზე.

მოპასუხის განმარტებით, თ. პ-ძის უძრავი ქონების რეგისტრაცია სარეგისტრაციო სამსახურში განხორციელდა კანონის დაცვით, იგი ირიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადამხდელთა საგადასახადო სიაში – სოფ. აღნიშნულის დასადასტურებლად სარეგისტრაციო სამსახურმა მოითხოვა ცნობა, რაზეც სოფ. ... საკრებულოს მიერ გაიცა 142 ცნობა, რითაც დადასტურდა, რომ თ. პ-ძეს სოფ. ... ერიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – 0,45ჰა, რომელზეც იხდიდა გადასახადს. სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ იქნა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, 142 ცნობა, განცხადება მითითებული უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ, განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და ვანის სარეგისტრაციო სამსახურმა კანონით დადგენილ ვადაში განახორციელა უძრავი ნივთის რეგისტრაციის წესის შესაბამისად, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით მ. პ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში მ. პ-ძის სახელზე საკუთრებად მიწის ნაკვეთი საერთოდ არ ირიცხებოდა, ხოლო საგადასახადო სიით მას ეწერა ნაკვეთი 4,5ჰა, რომლიც მდებარეობდა მისი საცხოვრებელი სახლის ირგვლივ. ასევე საქმეში არსებული მასალებით დადგინდა, რომ მოსარჩელე იხდიდა მიწის გადასახადს, მაგრამ გაურკვეველი იყო აღნიშნული გადასახადი შეეხებოდა თუ არა სადავო მიწის ნაკვეთს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის გაერემოება, თუ რა სახის ზიანი მიაყენა მას სადავო მიწის ნაკვეთის თ. პ-ძის სახელზე რეგისტრაციამ. მის მიერ ვერ იქნა წარდგენილი და მითითებული იმ სახის მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებდა რაიმე სახის პირდაპირ და უშუალო ზიანს. მოსარჩელის მიერ ასევე ვერ იქნა მითითებული, თუ რა სახით წარმოადგენდა სადავო მიწის ნაკვეთის მფლობელს და მესაკუთრეს და რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო მიწის ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან ვერ იქნა დადასტურებული და დადგენილი სადავო მიწის ნაკვეთის საკუთრებად თ. პ-ძის სახელზე რეგისტრაციით მოსარჩელის მიმართ დამდგარი პირდაპირი და უშუალო ზიანი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. პ-ძემ, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც იგი ექვემდებარებოდა გაუქმებას. აპელანტის მითითებით, იგი ათეული წლების მანძილზე ფლობდა და სარგებლობდა სადავო მიწის ნაკვეთით და იხდიდა გადასახადებს, რაც დასტურდებოდა სოფ. ... თემის რწმუნებულის 103 ცნობით. ამასთან, თ. პ-ძეს არ წარუდგენია საგადასახადო სიაში აღნიშნულ ნაკვეთზე გადასახადის გადახდის შესახებ რაიმე მტკიცებულება, ხოლო საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურმა ვერ წარადგინა ის ძირითადი დოკუმენტი - 1609 საგადასახადო სია, რაც საფუძველი გახდა მისი მესაკუთრედ რეგისტრაციისა იმ მიზეზის გამო, რომ ასეთი დოკუმენტი საერთოდ არ არსებობდა, თუმცა მიწის რეგისტრაციის საფუძველად მითითებული იყო ამონაწერში.

აპელანტის მითითებით, რაიონული სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ სოფ. ... საკრებულოს მიერ გამოცემულ 142 ცნობას, რაც, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ შეიძლება გამხდარიყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების სარეგისტრაციო საფუძველი. ამასთან, აპელანტს მოპასუხის ქმედებით

მიადგა ზიანი, ვინაიდან მისი საკარმიდამო მიწა, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ფლობდა, სარგებლობდა, იხდიდა გადასახადებს და იღებდა შემოსავალს, ფიზიკური ძალის გამოყენებით და უკანონო რეგისტრაციით წაართვა თ. პ-მემ, რითაც მოსარჩელის სოციალურად დაუცველ წაართვა ძირითადი საარსებო წყარო.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის განჩინებით მ. პ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ვანის რაიონის სოფ. ... მდებარე 1726 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იყო თ. პ-მის საკუთრება. უფლების რეგისტრაცია განხორციელდა 2006 წლის 8 ნოემბერს, ხოლო უფლების დამადასტურებელი იურიდიულ დოკუმენტებს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო '609 სია და სოფ. ... საკრებულოს 2006 წლის 1 ნოემბრის 142 ცნობა. ვანის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 28 ნოემბრის 122/36-673 მიმართვით მ. პ-მეს ეცნობა, რომ ვანის რაიონის სოფ. ... მდებარე 1726 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი თ. პ-მის საკუთრებად იყო დარეგისტრირებული. 2008 წლის 8 დეკემბერს მ. პ-მემ სარჩელით მიმართა ვანის რაიონულ სასამართლოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სადავო მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად დარეგისტრირების მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვანის რაიონის სოფ. ... მდებარე 1726 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თ. პ-მის საკუთრებად დარეგისტრირება მოხდა კანონიერად, ვინაიდან 2006 წლისათვის მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის 1800 ბრძანებით დამტკიცებული «უძრავ ნივთებზე რეგისტრაციის შესახებ» ინსტრუქციის მე-20 მუხლის «ა», «ბ» და «გ» პუნქტების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო პირების (ფიზიკური, კომლი) საკუთრებაში პირველადი რეგისტრაცია წარმოებდა შემდეგი დოკუმენტების წარდგენით: მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ან სოფლის (დაბის ადგილობრივი მმართველობის გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე დამტკიცებული მიწის განაწილების სიით ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სიის ან მიწების განაწილების სიის, მიწის გამოყოფის გრაფიკული დადასტურების გარეშე; კომლის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, მიუხედავად იმისა უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მხოლოდ კომლის უფროსი იყო დაფიქსირებული თუ კომლის ყველა წევრი, საკრებულოს ცნობა კომლის შემადგენლობის შესახებ ან ამონაწერი ზონარგაყრილი (საკომლო) წიგნიდან. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული კომლის უფროსის ან კომლის რომელიმე წევრის გარდაცვალებისას, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტით, ასევე, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვანის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 1726 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თ. პ-მის საკუთრების უფლებით დარეგისტრირება განხორციელდა ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად. თ. პ-მე ირიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადამხდელთა სიაში, რაც დადასტურდა სოფ. ... საკრებულოს 2006 წლის 1 ნოემბრის 142 ცნობით, რომელშიც მითითებული იყო, რომ თ. პ-მეს ვანის რაიონის სოფ. ...-ში ირიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც იხდიდა გადასახადებს და დავალიანება არ ირიცხებოდა. ვანის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის განმარტებით, თ. პ-მემ წარადგინა 2006 წლის 7 ნოემბერს შედგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, განცხადება უძრავი ქონების დარეგისტრირების მოთხოვნით და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მ. პ-მეს სადავო უძრავი ქონების დარეგისტრირებისათვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები არც სარეგისტრაციო სამსახურში და არც სასამართლოში არ წარუდგენია, შესაბამისად, ვანის სარეგისტრაციო სამსახურმა კანონით დადგენილ ვადაში და წესით განახორციელა უძრავი ქონების 1726 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თ. პ-მის საკუთრებად დარეგისტრირება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. პ-მემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო განჩინების გამოტანის საფუძვლად უთითებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის 1800 ბრძანებას «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» მაშინ, როცა სადავო მიწის ნაკვეთზე რეგისტრაცია განხორციელდა აღნიშნული ბრძანების გამოცემამდე - 2006 წლის 18 ნოემბერს. ასევე, ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედო სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას, წარმოადგენს სოფ. ... საკრებულოს მიერ გაცემული 142 ცნობა, რომელიც ასევე გაცემულია ზემოთთქმული ბრძანების გამოცემამდე - 2006 წლის 1 ნოემბერს. აღნიშნულ ცნობაში საერთოდ არ არის მითითებული ის გარემოება, რომ თ. პ-მეს სოფ. ... ირიცხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1726 კვ.მ. მიწის

ნაკვეთი და რომ ის ამ მიწის ნაკვეთზე იხდიდა გადასახადებს. ამდენად, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ¹142 ცნობის შინაარსს და უკანონოდ დაუდო საფუძვლად სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას.

კასატორის მითითებით, მოწინააღმდეგე მხარემ ვერ წარადგინა სადავო მიწის ნაკვეთის როგორც ფაქტობრივად ფლობის, ისე მისი შესყიდვის ან მასზე გადასახადის გადახდის დოკუმენტაცია მაშინ, როცა მის მიერ წარმოდგენილია 2008 წლის 19 ნოემბრის ¹03 ცნობა, რითაც დასტურდება, რომ წლების მანძილზე, 2003 წლამდე იხდიდა გადასახადებს. გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის ¹800 ბრძანება სადავო მიწაზე თ. პ-ძის საკუთრებაში დარეგისტრირების მომენტში, მისი არ არსებობის გამო, ვერ გახდებოდა რეგისტრაციის საფუძველი, ასევე, რეგისტრაციის საფუძველი არ შეიძლება გამხდარიყო საგადასახდო სია, რამდენადაც 2004 წლიდან გაუქმდა მიწის გადასახადი, რასაც ადასტურებს სოფ. ... თემის რწმუნებული რ. გ-მე მის მიერ 2008 წლის 19 ნომერის ¹03 ცნობაში.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის განჩინებით მ. პ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «გ» პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კაცია/.

საკასაციო სასამართლომ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ მხარეებს სსკ-ის 218-ე მუხლის საფუძველზე შესთავაზა მორიგების მიღწევა მათი ახლო ნათესაური კავშირის (მამიდა-ძმიშვილი) გათვალისწინებით, რაც გაზიარებულ იქნა და შედეგად მხარეებმა წარმოადგინეს წერილობითი მორიგების აქტი, რომლის თანახმად, ერთი მხრივ, კასატორი მ. პ-მე, ადვოკატი – მ. ხ-მე, მეორე მხრივ – თ. პ-მე შეთანხმდნენ შემდეგზე, რომ ორი კვირის ვადაში თ. პ-მე თავისი ხარჯებით დაუთმობს მ. პ-ძეს მის საკუთრებაში, ვანის რაიონის სოფ. ... მ. პ-ძის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან არსებული ღობის სიგრძეზე 2 მეტრის სიგანის მიწის ნაკვეთს, კერძოდ, «ჭურისთავებიდან საქონლის სადგომის ჩათვლით». ამასთან, არ ისარგებლებს მ. პ-ძის ეზოზე გამავალი გზით. სანაცვლოდ მ. პ-მე იღებს ვალდებულებას, კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდეს თ. პ-ძესთან, მის ოჯახთან და უარს აცხადებს სარჩელზე.

მორიგების აქტი წარმოდგენილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია მ. პ-ძის, თ. პ-ძის და ადვოკატ მ. ხ-ძის მიერ, რაც ერთვის საქმეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, გაეცნო მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს და მიიჩნია, რომ მ. პ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განჩინება და ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, მხარეების შუამდგომლობა საქმის მორიგებით დასრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს, დამტკიცდეს მ. პ-ძისა და თ. პ-ძეს მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი და მოსარჩელის მ. პ-ძის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო წარმოების დროს საკასაციო პალატამ მხარეებს შესთავაზა მორიგება, რაც გაზიარებულ იქნა ამ უკანასკნელთა მიერ და წარმოდგენილ იქნა მორიგების აქტი, შემდეგი პირობებით:

«ერთი მხრივ, კასატორი მ. პ-მე, ადვოკატი – მ. ხ-მე, მეორეს მხრივ, თ. პ-მე შეთანხმდნენ შემდეგზე, რომ ორი კვირის ვადაში თ. პ-მე თავისი ხარჯებით დაუთმობს მ. პ-ძეს მის საკუთრებაში, ვანის რაიონის სოფ. ... მ. პ-ძის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან არსებული ღობის სიგრძეზე 2 მეტრის სიგანის მიწის ფართობს, კერძოდ, «ჭურისთავებიდან საქონლის სადგომის ჩათვლით». ამასთან, არ ისარგებლებს მ. პ-ძის ეზოზე გამავალი გზით. სანაცვლოდ მ. პ-მე იღებს ვალდებულებას, კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდეს თ. პ-ძესთან, მის ოჯახთან და უარს აცხადებს სარჩელზე».

მორიგების აქტი წარმოდგენილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია მ. პ-ძის, თ. პ-ძის და ადვოკატ მ. ხ-ძის მიერ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული დავა წარმოიშვა სამოქალაქო სამართალურ-თიერთობაში წამოჭრილი კონფლიქტის გამო, რაც ფიზიკურ პირებს შორის გადაიჭრა მორიგებით. ამდენად, აზრი დაკარგა ადმინისტრაციულმა სარჩელმა, რის გამოც გამოუცხადებელი ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია არ არის არსებითი, სარჩელზე მოსარჩელის მიერ უარის განცხადების გათვალისწინებით, ვინაიდან სამოქალაქო ხასიათის კონფლიქტი, როგორც ადმინისტრაციული ხასიათის კონფლიქტის გამოწვევის წინაპირობა, მოგვარებულია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ მ. პ-მემ უარი თქვა რა სარჩელზე, ამგვარად გამოხატეს ნება თავისი საპროცესო და მატერიალური უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე ფიზიკური პირების ნების შეუზღუდავი გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. პ-ძის სარჩელზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სსსკ-ის 272-ე «გ» მუხლის საფუძველზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, მოსარჩელეს მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. პ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განჩინება და ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება, მხარეების შუამდგომლობა საქმის მორიგებით დასრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს, დამტკიცდეს მ. პ-ძისა და თ. პ-ძის მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი და მოსარჩელის მ. პ-ძის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 372-ე, 390-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. პ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განჩინება და ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება;
3. დაკმაყოფილდეს მ. პ-ძისა და თ. პ-ძის შუამდგომლობა; დამტკიცდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი შემდეგი პირობებით: «ერთი მხრივ, კასატორი მ. პ-ძე, ადვოკატი – მ. ხ-ძე, მეორეს მხრივ, თ. პ-ძე შეთანხმდნენ შემდეგზე, რომ ორი კვირის ვადაში თ. პ-ძე თავისი ხარჯებით დაუთმობს მ. პ-ძეს მის საკუთრებაში, ვანის რაიონის სოფ. ... მ. პ-ძის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან არსებული ღობის სიგრძეზე 2 მეტრის სიგანის მიწის ფართობს, კერძოდ, «ჭურისთავებიდან საქონლის სადგომის ჩათვლით». ამასთან, არ ისარგებლებს მ. პ-ძის ეზოზე გამავალი გზით. სანაცვლოდ მ. პ-ძე იღებს ვალდებულებას, კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდეს თ. პ-ძესთან, მის ოჯახთან და უარს აცხადებს სარჩელზე».
4. შეწყდეს მ. პ-ძის სარჩელზე საქმის წარმოება, სარჩელზე უარის თქმის გამო;
5. მხარეებს განემარტოთ, საქმის წარმოების შეწყვეტის გამო, სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, დაუშვებელია.
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-1209-1153(კ-09)

2 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 15 ივლისს ი. ც-ძემ სარჩელით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 16 ივნისის 142 გადაწყვეტილება, ქ. ქობულეთში ... ქ. 11-ის მიმდებარედ 672 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ ავტოფარეხზე საკუთრების

უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის დავალდებულება მის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა ქ. ქობულეთში, ... ქ. 11-ის მიმდებარედ 672 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ «იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი».

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ი. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. ც-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივლისის განჩინებით ი. ც-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. ც-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2009 წლის 15 სექტემბერს ი. ც-ძემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა იმ მოტივით, რომ უარს აცხადებდა საკასაციო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

აკასაციო სასამართლო ი. ც-ძის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორმა – ი. ც-ძემ უარი განაცხადა რა საკასაციო საჩივარზე, გამოხატა ნება თავისი საპროცესო უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე მხარის ნების შეუზღუდავი გამოვლენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, თუ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ არსებული ნორმები განსხვავებულ დებულებებს არ ითვალისწინებს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ანალოგიის პრინციპის გამოყენებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და განმარტავს, რომ მითითებულ პუნქტს საფუძველად უდევს დისპოზიციურობის პრინციპი, კერძოდ, პირის შესაძლებლობა, განკარგოს საკუთარი პროცესუალური უფლებები.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, დააკმაყოფილოს ი. ც-ძის განცხადება და საკასაციო საჩივარზე შეწყვიტოს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ც-ძის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. ი. ც-ძის საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება;
3. კასატორს განემარტოს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საკასაციო საჩივარზე უარის გამო

განჩინება

ბს-1372-1311(კ-09)

19 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა თ. ხ-იას 16.10.09წ. განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.09წ. განჩინებაზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ გამოარკვია:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.09წ. განჩინებით თ. ხ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 18.03 2009წ. გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ზუგდიდის რეგისტრატურის მიერ 2005 წლის 2 აგვისტოს ქ. ზუგდიდი, ... ქ. 1167-ში მდებარე ქონებაზე შედგენილი მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი (მესაკუთრე თ. ხ-ია) – მიწის უძრავი ქონების) სარეგისტრაციო 143/35/01/102, განაცხადის რეგისტრაცია 143/05/01703.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ხ-იამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.09 განჩინების გაუქმება.

თ. ხ-იამ 2009 წლის 16 ოქტომბერს მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე და ითხოვა მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კასატორის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა თ. ხ-იამ საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე მუხლის, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე მიიჩნევს, რომ თ. ხ-იას საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, ვინაიდან კასატორმა – თ. ხ-იამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, ხოლო მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება წყდება, თ. ხ-იას მთლიანად უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 372-ე, 378-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ხ-იას განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. თ. ხ-იას საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო;
3. თ. ხ-იას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

ბს-1150-1097 (2კ-09)

21 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა:
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ვაჩაძე

განიხილა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 19.10.2009 წ. და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 20.10.2009 წ. შუამდგომლობები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.07.09წ. გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივრებზე უარის თქმის შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას 2004 წლის 19 ნოემბერს სარჩელით მიმართა შპს «...» მოპასუხეების – საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ, რომლითაც საქართველოს ეროვნულ ბანკს, შპს «...» და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის 2003 წლის 21 იანვარს დადებული «გერმანიის საკრედიტო ინსტიტუტიდან (KF) ენერგოსექტორის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხების გადაცემის შესახებ» ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესაბამისი სასესხო-სამართლებრივი და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებულად აღიარება მოითხოვა.

«საერთო სასამართლოების შესახებ» კანონის მე-15 მუხლსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საოლქო სასამართლოებსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების წარმოებაში 2005 წლის 15 ივლისამდე არსებული საქმეები განსჯადობით დაექვემდებარა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებს. განსახილველი საქმე გადაეცა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე – შპს «...» სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ – საქართველოს ეროვნულ ბანკს, შპს «...» და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის 2003 წლის 21 იანვარს დადებული «გერმანიის საკრედიტო ინსტიტუტიდან (KF) ენერგოსექტორის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხების გადაცემის შესახებ» ხელშეკრულების ბათილად ცნობის, შესაბამისი სასესხო-სამართლებრივი და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებულად აღიარების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე – შპს «...», რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას მოპასუხე – საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «...» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეროვნულ ბანკს, შპს «...» და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის 2003 წლის 21 იანვარს დადებული «გერმანიის საკრედიტო ინსტიტუტიდან (KF) ენერგოსექტორის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხების გადაცემის შესახებ» ხელშეკრულება მისი დადების მომენტიდან, ხოლო აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაბამისი სასესხო-სამართლებრივი და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები აღიარებულ იქნა არარსებულად.

ამავე გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარეებს სოლიდარულად დაეკისრათ პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში შპს-ს მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდა შპს «...» სასარგებლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბერს და 2009 წლის 20 ოქტომბერს შუამდგომლობებით მომართეს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელთაც საკასაციო საჩივრებზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვეს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 16.10.09 წ. '08-01/14051 მინდობილობით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უფლებამოსილება მიანიჭა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველს მ. კ-იანს, რათა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად წარმოადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს საერთო სასამართლოებში შპს «...» საქმეებზე. 2009 წლის 19 ოქტომბერს, მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე მ. კ-იანმა წარმოადგინა შუამდგომლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კასატორების შუამდგომლობების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივრებზე შეწყდეს საქმის წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს საპროცესო შეზღუდვა, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. კასატორებმა – საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო საჩივრებზე უარის თქმით მოახდინეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, თუჯ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ არსებული ნორმები განსხვავებულ დებულებებს არ ითვალისწინებს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ანალოგიის პრინციპის გამოყენებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 372-ე, 378-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს შუამდგომლობებში დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივრებზე შეწყდეს საქმის წარმოება, კასატორების მიერ საკასაციო საჩივრებზე უარის თქმის გამო;
3. კასატორებს განემართოს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მათ ერთმევათ უფლება, კვლავ გაასაჩივრონ იგივე გადაწყვეტილება საკასაციო წესით;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

¹ ბს-1412-1370(კ-08)

28 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე განვიხილეთ მ. პ-შვილის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.05.08წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა – უარი ეთქვა მოსარჩელე მ. პ-შვილს მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ თანხის – 6300 ლარის დაკისრების მოთხოვნაზე უსაფუძვლოების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.09.08წ. განჩინებით მ. პ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა – უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.05.08წ. გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. პ-შვილმა.

მ. პ-შვილის წარმომადგენელმა გ. ი-ურმა 26.10.09წ. სასარჩელო განცხადებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ სასამართლოში მოთხოვნა არასწორად იყო ჩამოყალიბებული, მხარის ინტერესს წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულება და არა თანხის დაკისრება. ამასთან, მოსარჩელის მიერ დაწყებულია წარმოება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, რის გამოც კასატორმა მიზანშეწონილად მიიჩნია სარჩელზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რის შესაბამისადაც მხარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. პ-შვილმა 27.06.05წ. 11-3964 სანოტარო აქტის საფუძველზე ზ. პ-შვილის სახელზე გასცა რწმუნებულება განუსაზღვრელი ვადით, რომლითაც სხვა უფლებამოსილებებთან ერთად მას მიანიჭა სარჩელზე უარის თქმის უფლება. ზ. პ-შვილი აღნიშნული რწმუნებულებით ასევე უფლებამოსილი იყო, რწმუნებულებით გათვალისწინებული დავალების შესრულებაში ჩაერთო დამხმარე პირები, რის საფუძველზეც ზ. პ-შვილმა 18.08.08წ. 11-3077 სანოტარო აქტით გ. ი-ურის სახელზე გასცა რწმუნებულება განუსაზღვრელი ვადით, რომელიც ასევე ითვალისწინებდა გ. ი-ურის მიერ სარჩელზე უარის თქმის უფლებამოსილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე გ. ი-ურმა განაცხადა რა უარი სარჩელზე, გამომხატა მ. პ-შვილის ნება საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამასთან, სასკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმის განცხადებაზე.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. პ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 01.04.08წ. 14 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 189 ლარი მთლიანად, ვინაიდან დავა განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული – სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე დავის კატეგორიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. პ-შვილის განცხადება სარჩელზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.09.08წ. განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.05.08წ. გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდეს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო;
3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება;
4. ზ. პ-შვილს დაუბრუნდეს 01.04.08წ. მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 189 ლარი, ანგარიშის 1200122900, ბანკის კოდი – 220101222, სახაზინო კოდი – 300773150.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

¹ ბს-1324-1266 (კ-09) 3 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა შპს «...» 30.10.09 წლის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.09 წლის გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ გამოარკვია:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.07.09 წლის განჩინებით შპს «...» და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.02.09 წლის გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და შპს «...».

შპს «...» საკასაციო საჩივრით ითხოვს განჩინების გაუქმებას მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელვაჩაურის რაიონის (დღეისათვის ბათუმის რეგიონალური ცენტრი) 2007 წლის 25 დეკემბრის 18120 ბრძანება და 2007 წლის 27 დეკემბრის 11755/282 საგადასახადო მოთხოვნა 5851 ლარის დარიცხვის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 15.10.09 წლის განჩინებით, შპს «...» საკასაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი – დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრისა და სრულყოფილი საკასაციო საჩივრის წარმოდგენა იმდენ ასლად, რამდენი მხარეცაა საქმეში,

შპს «...» 30.10.09 წლის განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე. განცხადების ავტორმა მიუთითა, რომ ფინანსური სიდუხჭირის გამო ვერ ახერხებდა ბაჟის გადახდას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კასატორის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა შპს «...» საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, თუ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ არსებული ნორმები განსხვავებულ დებულებებს არ ითვალისწინებს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ანალოგიის პრინციპის გამოყენებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 372-ე, 378-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. შპს «...» საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო;
3. კასატორს განემარტოს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს იგივე გადაწყვეტილება საკასაციო წესით;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე
უარის თქმის გამო**

განჩინება

18ს-1111-1067(კს-09)

4 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

**ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ც. მ-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **01.10.09წ.** განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **06.12.06წ.** გადაწყვეტილებით ც. მ-ძის სარჩელი ა. მ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა, მ. და ა. მ-ძეების სარჩელები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ც. მ-ძემ და მ. მ-ძემ.

ც. მ-ძემ **30.09.08წ.** განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც უარი განაცხადა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **06.12.06წ.** გადაწყვეტილებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარზე და მის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **01.10.08წ.** განჩინებით ც. მ-ძის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო ამ ნაწილში შეწყდა სააპელაციო წარმოება, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **06.12.06წ.** გადაწყვეტილება ც. მ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, განემარტა ც. მ-ძეს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **378-ე** მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა ართმევს უფლებას კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო წესით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **06.12.06წ.** გადაწყვეტილება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272-ე** მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად სასამართლო მხარეთა თხოვნით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ, ამ შემთხვევაში – აპელანტმა, უარი თქვა სარჩელზე, სააპელაციო საჩივარზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, ც. მ-ძე უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარზე. საქმის ზეპირი განხილვისას აპელანტმა ც. მ-ძემ, გამოიყენა სააპელაციო პალატის მიერ შემოადინებული სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის უფლება, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ ც. მ-ძის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით საქმის წარმოება შეწყვიტა.

ც. მ-ძემ **10.07.09წ.** კერძო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **01.10.08წ.** განჩინების გაუქმება და მის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ მის მიერ განცხადების დაწერა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მოწინააღმდეგე ა. მ-ძის მიერ ბოროტად იქნა გამოყენებული მისი ნდობა, რადგან სასამართლო პროცესამდე ორიოდე დღით ადრე ა. მ-ძისგან მიიღო დაპირება იმასთან დაკავშირებით, რომ, რასაც ც. მ-ძე სასამართლოში ითხოვდა, გადასცემდა სასამართლოს გარეშე. იგი დაჰპირდა, რომ თუ სასამართლოდან საქმეს გამოითხოვდა დააბრუნებდა საცხოვრებელ სახლში და სადავო ფართი, რომლითაც აქამდე სარგებლობდა, მისი საკუთრება გახდებოდა. ც. მ-ძე, მართლაც, დაბრუნდა სახლში, რაც მისი ნდობის საბაზი გახდა, ხოლო პროცესის დასრულების შემდეგ, როდესაც ა. მ-ძე მიხვდა, რომ ც. მ-ძეს სასამართლო წესით უკვე აღარ შეეძლო დავა, მეორე დღესვე დაატოვებინა სახლი. კერძო საჩივრის ავტორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საქმის შეწყვეტის თაობაზე განცხადების განხილვას იგი არ დასწრებია და აღნიშნული განცხადების თაობაზე თანხმობა არ განუცხადებია, რის გამოც არ არსებობდა განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ განცხადება მან დაწერა მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოტყუებით, ნდობის ბოროტად გამოყენებით, რის გამოც, ც. მ-ძის მოსაზრებით, არსებობს მის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე განჩინების გაუქმების ფაქტობრივი საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. მ-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **01.10.08წ.** განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **01.10.08წ.** განჩინებით ც. მ-ძის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო ამ ნაწილში შეწყდა სააპელაციო წარმოება, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **06.12.06წ.** გადაწყვეტილება ც. მ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, განემარტა ც. მ-ძეს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **378-ე** მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა ართმევს უფლებას, კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო წესით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **06.12.06წ.** გადაწყვეტილება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

ლაციო წესით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 06.12.06წ. გადაწყვეტილება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელსაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლით საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რის შესაბამისადაც მხარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამდენად, განმცხადებელმა ფიზიკურმა პირმა – ც. მ-მემ განაცხადა რა უარი სააპელაციო საჩივარზე, გამოხატა ნება თავისი საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც სავალდებულო იყო სასამართლოსათვის. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა მორიგების საფუძველზე მოხდა მის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა, რადგან მხარეთა შორის მორიგება წერილობით ფორმდება და მტკიცდება სასამართლოს მიერ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა მოტივებით, სასამართლოსთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარის მიერ წერილობითი ფორმით გამოხატულ ნებას, რომელიც ც. მ-მემ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ განცხადების წარდგენით გამოხატა. მოსარჩელე არ უარყოფს, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე განცხადება მის მიერ არის შედგენილი და ხელმოწერილი, რაც სსკ-ის მე-3 და სასკ-ის მე-3 მუხლების თანახმად, არის ც. მ-მის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. განცხადების ავტორის სასამართლო პროცესზე არ დასწრება არ წარმოადგენდა სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის გამოძრევას გარემოებას. სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ, ც. მ-მის მიერ შემდგომში სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის უარყოფა არ ქმნის საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინების გაუქმების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ც. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.10.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

18ს-1084-1040(კს-09)

5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

განხილვის საგანი: კერძო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 სექტემბერს შპს «...» სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 17 აგვისტოს '1469/16 გადაწყვეტილების დადგენილებითი ნაწილის პირველი პუნქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ შპს «...», სს «...», სს «...» და შპს «...».

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 17 აგვისტოს '1469/16 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო ნაწილთან დაკავშირებული გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს «...» სააპელაციო წესით გასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ცალ-ცალკე გასაჩივრეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ და სს «...», რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის საოქმო განჩინებით სს «...» უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სს «...».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით სს «...» უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა შპს «...».

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «...» და მისი გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ სს «...» რეორგანიზაციის შედეგად საზოგადოებას გამოეყო და მის ბაზაზე შეიქმნა საწარმო შპს «...», თუმცა სს «...» ინტერნეტ მომსახურების ბაზრის სეგმენტზე ისევ რჩებოდა ავტორიზებულ პირად და ახორციელებდა ამ სახის მომსახურებას, მას აღნიშნულ სამართალურთიერებაში არ დაუდგენია თავისი უფლებამონაცვლე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინებით შპს «...» კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დაინიშნა მისი განხილვა.

2009 წლის 4 ნოემბერს შპს «...» განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი თქვა სარჩელზე და კერძო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

განცხადების ავტორის განმარტებით, სს «...» და შპს «...» მას წარმოუდგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა შპს «...» სამართალმემკვიდრეობა. შპს «...» მითითებით, სს «...» შეუწყდა ავტორიზაციის მოწოდების მოქმედება, რის გამოც მან, როგორც საკომუნიკაციო სივრცეში მოქმედმა კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს «...», კერძო საჩივარზე უარის თქმის გამო, საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო შპს «...» განცხადებას კერძო საჩივარზე უარის თქმის გამო ამ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს მოცემულ კერძო საჩივარზე საქმის წარმოება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე (კერძო საჩივარზე). იმავე კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს «...» კერძო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რელიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა. ამასთან, ფიზიკური პირის (იურიდიული პირის) მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» განცხადება კერძო საჩივარზე უარი თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. შპს «...» კერძო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება;
3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

18ს-1431-1367(კს-09)

11 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

14.11.07წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ე. ც-აიასა და ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა დ. მ-ოვის წარმომადგენელმა და ე. ც-აიასა და ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის 27.05.98წ. პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **15.10.08წ.** გადაწყვეტილებით დ. მ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ე. ც-აიასა და ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის **27.05.98წ.** პრივატიზაციის ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ც-აიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **26.06.09წ.** სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე დ. მ-ოვის წარმომადგენელმა თ. ტ-მემ სსკ-ის **83'** მუხლის საფუძველზე იშუამდგომლა სარჩელის გამოხმობის თაობაზე. სარჩელის გამოხმობის შუამდგომლობას დაეთანხმნენ აპელანტი ე. ც-აიას წარმომადგენელი და თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **30.07.09წ.** განჩინებით დ. მ-ოვის წარმომადგენლის თ. ტ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და დ. მ-ოვის სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული სარჩელის გამოხმობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **30.07.09წ.** განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. მ-ოვის წარმომადგენელმა თ. ტ-მემ. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მხარეები მორიგდნენ, რაც მიუთითა შუამდგომლობაში და მორიგების გამო გამოხმობილი იქნა სარჩელი. მიუხედავად აღნიშნულისა, ე. ც-აიამ მორიგების პირობა არ შეასრულა. კერძო საჩივრის ავტორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **30.07.09წ.** განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა მოითხოვა.

დ. მ-ოვის წარმომადგენელმა თ. ტ-მემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა კერძო საჩივარზე და კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება მოითხოვა. განმცხადებლის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ სადავო საკითხზე.

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის **98-ე** მუხლის საფუძველზე შეამოწმა დ. მ-ოვის წარმომადგენლის – თ. ტ-ძის უფლებამოსილება და დაადგინა, რომ დ. მ-ოვის მიერ გაცემული უფლებამოსილებით თ. ტ-ძეს მინიჭებული აქვს სარჩელზე უარის თქმის უფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა დ. მ-ოვის წარმომადგენლის – თ. ტ-ძის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **420-ე** მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რის შესაბამისადაც მხარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. განსახილველ შემთხვევაში ფიზიკური პირის – დ. მ-ოვის წარმომადგენელმა თ. ტ-მემ განაცხადა რა უარი კერძო საჩივარზე, გამოხატა ნება საპროცესო უფლების განსაკარგავად, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272-ე** მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ვინაიდან სასკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს და არა ფიზიკური პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის განცხადებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და **272-ე** მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. დ. მ-ოვის წარმომადგენლის თ. ტ-ძის განცხადება კერძო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. დ. მ-ოვის წარმომადგენლის თ. ტ-ძის კერძო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდეს;
3. ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **30.07.09წ.** განჩინება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე
უარის თქმის გამო**

განჩინება

ბს-1197-1143(2კ-09)

18 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 იანვარს კ. კ-შვილმა და დ. მ-ელმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებით ითხოვდნენ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 1 ნოემბრის 112/43509 წერილის, ამავე სამსახურის 2008 წლის 19 დეკემბრის 112/79530 წერილის ბათილად ცნობასა და მათ მიერ ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში წარდგენილი პროექტისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. კ-შვილისა და დ. მ-ელის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 11 ნოემბრის 112/43509 და ამავე სამსახურის 2008 წლის 19 დეკემბრის 112/79530 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; მოპასუხე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს დაევალა მოსარჩელეთა მიერ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში წარდგენილი პროექტისა და დოკუმენტაციის საფუძველზე გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა.

კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის განჩინებებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივრები.

2009 წლის 11 ნოემბერს კ. კ-შვილმა და დ. მ-ელმა განცხადებით მიმართეს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადეს სარჩელზე და მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კ. კ-შვილისა და დ. მ-ელის შუამდგომლობის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მათი შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა შეწყდეს საქმის წარმოება კ. კ-შვილისა და დ. მ-ელის სარჩელზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელებმა – კ. კ-შვილმა და დ. მ-ელმა უარი განაცხადეს რა სარჩელზე, გამოხატეს ნება თავიანთი საპროცესო უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე მხარის ნების შეუზღუდავი გამოვლენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლოს ასევე ნიშანდობლივად მიაჩნია მხარეებისათვის იმაზე მითითება, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო პალატა, ასევე, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელზე უარს აცხადებენ ფიზიკური პირები კ. კ-შვილი და დ. მ-ელი რის გამოც, სასამართლო ვერ გამოიყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის დებულებებს და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. კ-შვილისა და დ. მ-ელის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება, ამასთან უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინება.

ხოლო რაც შეეხება ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივრებს, ვინაიდან მოსარჩელებმა: კ. კ-შვილმა და დ. მ-ელმა უარი განაცხადეს სასარჩელო განცხადებაზე და შეწყდა საქმის წარმოება, შესაბამისად აღარ არსებობს დავის საგანი, რომლის მიმართაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კ. კ-შვილისა და დ. მ-ელის განცხადება სარჩელზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინება;
3. კ. კ-შვილისა და დ. მ-ელის სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება;
4. მოსარჩელებს განემარტოთ, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საქმის წარმოების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციისას დაუშვებელი უფლებამონაცვლეობის გამო

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 1 აგვისტოს სს კ/ზ «...» (წარმომადგენელი – პ. კ-ძე) სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, სს «...» მდგომარეობის გასაუმჯობესებელი სავალდებულო ღონისძიებების გატარების შესახებ» საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 22 ივლისის ინსტრუქციით მოსარჩელეს დაევალა, უზრუნველყო შპს კ/ზ «...» «ნოსტრო» ტიპის ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრების განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში, საკუთარ საკორესპონდენტო ანგარიშზე, ეტაპობრივად – 2005 წლის 30 დეკემბრამდე. ზემოაღნიშნულის განხორციელებამდე, მოსარჩელეს აეკრძალა ყველა ტიპის სესხების გაცემა და კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშებზე ოვერდრაფტების დაშვება; საგარანტიო წერილების გაცემა, ახალი სასესხო და გარესაბალანსო ვალდებულებების აღება; ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება; თანხების განთავსება სხვა ორგანიზაციების სავალო ფასიან ქაღალდებსა და საწესდებო კაპიტალში, ან ნებისმიერ ძირითად საშუალებებში. მოსარჩელეს განემარტა, რომ ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება ჰქონდა, გამოეყენებინა «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების ჩათვლით. ხსენებული ინსტრუქციის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 22 ივლისიდან 31 დეკემბრამდე.

მოსარჩელის მტკიცებით, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო «საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლისა და «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტზე მითითებით. «საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლი ადგენდა ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციას კომერციული ბანკების საქმიანობის მიმართ. «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი კი, საქართველოს ეროვნულ ბანკს ანიჭებდა უფლებას, კომერციული ბანკების მიმართ სანქციის სახით, გამოეცა ინსტრუქცია მოთხოვნით, რომ ბანკს შეეწყვიტა და შემდგომში არ დაეშვა ესა თუ ის დარღვევა (ქმედება) და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადებში მიეღო ზომები დარღვევების (ქმედებების) აღმოსაფხვრელად. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავდა, თუ რა ჩაითვლებოდა საბანკო კანონმდებლობის დარღვევად, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საქართველოს ეროვნულ ბანკს შეეძლო გამოეყენებინა სანქციები კომერციული ბანკის მიმართ. იმავე მუხლის მე-3 პუნქტი კი განსაზღვრავდა სანქციის სახეებს, რომლებიც გამოიყენებოდა მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში. ხსენებული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქცია გულისხმობდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინსტრუქციის გამოცემას ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის აკრძალვისა და მისი აღმოფხვრის შესახებ. აღნიშნული ნორმის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება არ ჰქონდა, კომერციული ბანკისთვის აეკრძალა მართლზომიერ ქმედებათა განხორციელება. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს აეკრძალა სწორედ მართლზომიერი ქმედებების განხორციელება, მათ შორის, სესხის აღება, სესხის ან საბანკო გარანტიის გაცემა. ამდენად, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი შეზღუდვები ეწინააღმდეგებოდა «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს. ამასთან, დასახელებული ინსტრუქციით სს კ/ზ «...» ევალებოდა, რომ მას 2005 წლის ბოლომდე შპს კ/ზ «...» რიცხული ფულადი სახსრები განეთავსებინა საქართველოს ეროვნულ ბანკში, საკუთარ საკორესპონდენტო ანგარიშზე. იმავე ინსტრუქციის აღნიშნული მოთხოვნა არ ემყარებოდა სამართლის არც ერთ ნორმას და, ამდენად, იყო უკანონო. გარდა ამისა, დადგენილი გრაფიკის მიხედვით, თანხის პირველი ნაწილის (500000 აშშ დოლარის) განთავსებისათვის მოსარჩელეს მიეცა 2 სამუშაო დღე, რაც იყო არარეალური, რადგან იგი დაკავშირებული იყო შპს კ/ზ «...» არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის გადასინჯვასთან. აუკრძალა რა გარკვეული საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლება, ამით მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელეს ფაქტობრივად აღუკვეთა გარკვეული შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, რაც თავისთავად გამოიწვევდა სს კ/ზ «...» ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ემსახურებოდა სს კ/ზ «...» ფი-

ნანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 22 ივლისის ინსტრუქცია ეწინააღმდეგებოდა კანონს.

ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, სარჩელის არსებითად გადაწყვეტამდე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე უნდა შეჩერებულიყო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, რადგან მისი აღსრულება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა მოსარჩელის ინტერესებს, კერძოდ, გამოიწვევდა შემოსავლების შემცირებას და ამასთან, არსებობდა დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული აქტის კანონიერებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სს «...» მდგომარეობის გასაუმჯობესებელი სავალდებულო ღონისძიებების გატარების შესახებ» საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 22 ივლისის ინსტრუქციის ბათილად ცნობა და გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 3 აგვისტოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა სს კ/ზ «...» განცხადება საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 22 ივლისის ინსტრუქციის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით სს კ/ზ «...» წარმომადგენლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის კანონით დადგენილი წინაპირობები არ არსებობდა, რამდენადაც მისი მომზადებისა და მიღებისას დარღვეული არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესები და იგი გამოცემული იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის, როგორც კონსტიტუციური სტატუსის მქონე ორგანოსათვის, კანონმდებლის მიერ ზუსტად იქნა გაწერილი მოქმედებათა ის ფარგლები, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო ფულად-საკრედიტო სისტემის უზრუნველყოფა და ამ კუთხით ყველა შესაბამისი დაწესებულების სათანადო ფუნქციონირება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი გახდა. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ სადავო ინსტრუქციის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სს კ/ზ «...» ჩატარებული შემოწმების აქტი, რომლის შესაბამისად მოპასუხის ფინანსური მდგომარეობა შეფასებულ იქნა როგორც კრიტიკული. ამავე აქტით დადგენილ იქნა, რომ კონკრეტული ბანკის მიერ არ იყო შესრულებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნორმატიული აქტები, არსებობდა არაერთი დარღვევა და ხარვეზი, რასაც შეეძლო ზემოაღნიშნული მიზნების საწინააღმდეგო შედეგები გამოეწვია. შესაბამისად, ასეთი შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოდ არც მოსარჩელე ხდიდა და აღიარებდა სს კ/ზ «...» ზემოაღნიშნული აქტით დადგენილი დარღვევების არსებობას, მიღებულ იქნა სადავო ინსტრუქცია, მიმართული ასეთი დარღვევების აღმოსაფხვრელად და მომავალში მათი თავიდან ასაცილებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს კ/ზ «...» წარმომადგენელმა პ. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქართველოს ეროვნული ბანკი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლე სსიპ «საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოთი».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოცემული საქმის განხილვისას სსიპ «საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს» წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა განცხადება, რომელსაც დაურთო სს «...» გაკოტრებულად გამოცხადებისა და ბანკში ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის შესახებ» სსიპ «საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს» უფროსის 2008 წლის 10 ნოემბრის 1570 განკარგულება და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმის წარმოების შეწყვეტა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინებით სსიპ «საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს» წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – სს «...» მდგომარეობის გასაუმჯობესებელი სავალდებულო ღონისძიებების გატარების შესახებ» საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 22 ივლისის ინსტრუქციის ბათილად ცნობის თაობაზე სს კ/ზ «...» სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტდა საქმის წარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელი იყო უფლებამონაცვლეობა. საქმეში წარმოდგენილი იყო სს «...» გაკოტრებულად გამოცხადებისა და ბანკში ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის შესახებ» სსიპ

«საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს» უფროსის 2008 წლის 10 ნოემბრის 1570 განკარგულება, რომლითაც «საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 23 მაისის 1119 ბრძანებით დამტკიცებული «კომერციული ბანკის გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესის» და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 11 ივლისის 1159 ბრძანებით დამტკიცებული «კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის» შესაბამისად, სს «...» გამოცხადდა გაკოტრებულად და შეწყდა მისი ლიკვიდაციის პროცესი. ხსენებული განკარგულება გამოქვეყნდა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – «საკანონმდებლო მაცნეში» 2008 წლის 14 ნოემბერს და ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ «საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს» უფროსის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესული იყო კანონიერ ძალაში. დასტურდებოდა, რომ სს «...» გაკოტრებულად გამოცხადებით და მისი ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტით, მისი არსებობა დასრულდა უფლებამონაცვლეობის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, დაუშვებელი იყო რა უფლებამონაცვლეობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო და სს «...» სარჩელზე საქმის წარმოება შემწყდარიყო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს კ/ზ «...» წარმომადგენელმა პ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მოცემულ საქმეზე სარჩელის აღძვრიდან მე-5 დღეს, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების ვადის (2005 წლის 31 დეკემბრის) ამოწურვამდე, კერძოდ, 2005 წლის 5 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მიერ გამოცემულ იქნა 156 განკარგულება, რომლითაც ამ საქმეზე გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის მოტივით, სს კ/ზ «...» გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია, დაინიშნა ლიკვიდატორი, ბანკის საკორესპონდენტო ანგარიში საქართველოს ეროვნულ ბანკში გარდაიქმნა სალიკვიდაციო ანგარიშად და დაიხურა ბანკის სავალუტო ანგარიშები. სს კ/ზ «...» მიერ ასევე გასაჩივრდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2005 წლის 5 აგვისტოს 156 განკარგულება. ამასთან, ხსენებული ორი საქმის ერთმანეთთან კავშირის ხარისხისა და ხასიათის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა აღნიშნულ საქმეთა გაერთიანების შესახებ და ისინი განიხილებოდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ამჟამინდელი მდგომარეობით საქმე, რომელზეც გასაჩივრებულია «სს კ/ზ «...» ლიკვიდაციის შესახებ» საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2005 წლის 5 აგვისტოს 156 განკარგულება, იმყოფება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში – საქმე 18ს-1688-1642(კ-08).

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ, მიიჩნია რა, რომ სს კ/ზ «...» არსებობა შეწყვიტა უფლებამონაცვლის გარეშე, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი იყო, არასწორად განმარტა და გამოიყენა ხსენებული ქვეპუნქტის ნორმა და მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, იურიდიული პირის ლიკვიდაცია წარმოადგენს ისეთ სტრუქტურულ ცვლილებას, რომლის შედეგადაც იურიდიული პირი წყვეტს არსებობას სამართალმემკვიდრის გარეშე. ლიკვიდაციისაგან განსხვავებით, იურიდიული პირის რეორგანიზაცია ისეთი სახის სტრუქტურული ცვლილებაა, რომლის შედეგადაც იურიდიულ პირს რჩება სამართალმემკვიდრე – უნივერსალური უფლებამონაცვლე, რომელზედაც სრული მოცულობით გადადის უფლებრივი წინამორბედის უფლება-მოვალეობები. იურიდიული პირის ლიკვიდაცია, უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობის პირობებში, იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას, ხოლო რეორგანიზაცია – საქმის წარმოების შეჩერებას უფლებამონაცვლის დადგენამდე. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული «უფლებამონაცვლე» არ ნიშნავს სამართალმემკვიდრეს, რომელზედაც გადადის უფლებრივი წინამორბედის უფლება-მოვალეობანი (უნივერსალური უფლებამონაცვლე). ასეთი სახის უფლებამონაცვლე, რეორგანიზაციისაგან განსხვავებით, იურიდიული პირის ლიკვიდაციისას არ რჩება. ამიტომ ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული უფლებამონაცვლე შეუძლებელია გულისხმობდეს ორგანიზებულ წარმონაქმნს, რომელიც იქმნება იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლში მითითებულ უფლებამონაცვლეში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ ფიზიკურ და იურიდიულ პირს/პირებს, რომელთაც იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო, უშუალოდ წარმოემკვებათ კონკრეტული სასამართლო დავის გაგრძელების მატერიალური და საპროცესო ინტერესი. ამ შემთხვევაში ასეთ პირებს

წარმოადგენენ სს კ/ზ «...» აქციონერები, რომელთაც არ შეიძლება აღეკვეთათ მოცემული დავის გაგრძელების უფლება.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 22 ივლისის ინსტრუქცია საფუძვლად დაედო საქართველოს ეროვნული ბანკის მეორე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – 2005 წლის 5 აგვისტოს 156 განკარგულებას, რომლითაც დაიწყო სს კ/ზ «...» ლიკვიდაციის პროცესი და რომელიც ამჟამად დავის საგანს წარმოადგენს, ხოლო ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების შედეგს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამონაცვლე სსიპ «საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს» 2008 წლის 10 ნოემბრის 1570 განკარგულება, რომლითაც ლიკვიდირებულად გამოცხადდა სს კ/ზ «...» და რაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო გასაჩივრებულ განჩინებას. ამდენად, სასამართლო დავები, რომლებსაც სს კ/ზ «...» აწარმოებდა ლიკვიდირებულად მის გამოცხადებამდე, წარმოადგენს დავებს ლიკვიდაციის პროცესის მართლზომიერების თაობაზე. ასეთ ვითარებაში, მითითებულ საქმეთა წარმოების შეწყვეტა შეუძლებელს გახდის ამ ბანკის ლიკვიდაციის საფუძვლის – შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მათ შორის, მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებას და აქედან გამომდინარე – მათ გამოცემამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენას, ანუ უფლების სასამართლო წესით დაცვას. ამ შემთხვევაში, საქმის წარმოების შეწყვეტას საფუძვლად დაედო საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამონაცვლე სსიპ «საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს» ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ხსენებულ სააგენტოს მოცემულ საქმეზე გააჩნია მოწინააღმდეგე მხარის საპროცესო სტატუსი. ამდენად, გამოდის, რომ კომერციული ბანკის – სს კ/ზ «...» (მისი აქციონერების) მიერ საკუთარი მატერიალური და საპროცესო უფლებების რეალიზაცია და თვით აღნიშნული ბანკის არსებობაც კი, მთლიანად დამოკიდებულია პროცესუალურ მოწინააღმდეგეზე, სასამართლო კონტროლის თეორიული შესაძლებლობის გარეშე, რაც შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ, თითქოს, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამონაცვლე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით სს კ/ზ «...» კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა სს კ/ზ «...» წარმომადგენელ პ. კ-ძის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ს/ს «...» გაკოტრებულად გამოცხადებით და მისი ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტით არსებობა შეწყვეტა უფლებამონაცვლეობის გარეშე, რაც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი გახდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია, თუ უფლებამონაცვლეობა, მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველები (ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გასვლის შემთხვევები) გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით, რომლის თანახმად, უფლებამონაცვლეობა დასაშვებია იურიდიული პირის რეორგანიზაციის შემთხვევაში. რაც შეეხება იურიდიულ პირის ლიკვიდაციას, ასეთ შემთხვევაში, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა არ წარმოიშობა. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სს კ-ის 279-ე მუხლის თანახმად, უფლებამონაცვლეობაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ პირს/პირებს, რომელთაც იურიდიული პირის ლიკვიდაციისას უშუალოდ წარმოემობათ კონკრეტული სასამართლო დავის გაგრძელების მატერიალური და საპროცესო ინტერესი. დადგენილია, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ს/ს «...» ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი სავალდებულო ღონისძიებების გატარების შესახებ მიღებული ინსტრუქციის კანონიერება. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2005 წლის 5 აგვისტოს 156 განკარგულებით ს/ს «...» გაუუქმდა საბანკო ლიცენზია და ბანკში დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს 2008 წლის 10 ნოემბრის 1570 განკარგულებით ს/ს «...» გამოცხადდა გაკოტრებულად და შეწყდა მისი ლიკვიდაცია. განკარგულება 2008 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლობლო მაცნეში და ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. ლიკვიდაციის შეწყვეტით სრულად შეწყდა ბანკის როგორც უფლებამონაცვლეობა ასევე მისი ქმედუნარიანობა. «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» კანონის 37-ე მუხლი ადგენს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წარმართვის წესს. ეს მუხლი არ ითვალისწინებს კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას სხვა რომელიმე პირის რაიმე სახით, მათ შორის აქციონერების უფლებამონაცვლეობას (სამართალმემკვიდრეობას). რაც შეეხება სასამართლოს მიერ სამართალმემკვიდრეობის სა-

კითხის დადგენას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იურიდიული პირის ლიკვიდაციისას სხვა პირის (პირების) სამართალმემკვიდრეობის საკითხი დგება ლიკვიდირებული იურიდიული პირის საგნობრივი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ. კომერციული ბანკის გაკოტრების ფაქტი დგინება მისი ლიკვიდაციის პროცესის მსვლელობისას, როდესაც მას სალიკვიდაციო ბალანსით ერიცხება დაუფარავი მოთხოვნები, მაგრამ აღარ აქვს აქტივები ამ მოთხოვნების დასაფარავად. ბანკის გაკოტრების შემდეგ ამ სახის უფლებები თუ მოვალეობები წყდება ბანკის აქტივების სრულად ამოწურვის გამო.

საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ რაკი საქმის წარმოების შეწყვეტა მოხდა მოპასუხე მხარის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე, ბანკის მატერიალურ-საპროცესო უფლებების რეალიზაცია და თვით აღნიშნული ბანკის არსებობაც მთლიანად დამოკიდებულია პროცესულურ მოწინააღმდეგეზე. «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» კანონის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბანკის არსებობა და ლიკვიდაციის მართებულობა, დამოკიდებულია ამ პროცესის კანონშესაბამისად წარმართვაზე და არა სსიპ «საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოზე», მით უმეტეს, რომ ბანკმა სასამართლო წესით სადავო გახადა ასევე ს/ს «...» საბანკო ლიცენზიის გაუქმებისა და ბანკში ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2005 წლის 5 აგვისტოს '56 განკარგულება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნული განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე დავის უფლები-სადმი უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ, ვინაიდან დადგენილია სს «...» ლიკვიდაცია, შესაბამისად, სსკ-ის 272-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან სს «...» გაკოტრებულად გამოცხადებით და ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტით, არსებობა დასრულდა უფლებამონაცვლეობის გარეშე, რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს/ს კ.ბ «...» წარმომადგენელ კ. კ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს/ს კ.ბ «...» წარმომადგენელ კ. კ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე

განჩინება

ბს-374-359(კს-09)

6 მაისი, 2009 წ., ე. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: დადგენილების არარა აქტად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-ძემ 2005 წლის დეკემბერში სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე აჭარის ა/რ მთავრობის მიმართ და მოითხოვეს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1996 წლის 26 ნოემბრის 1229 დადგენილების არარა აქტად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი; უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განჩინებით ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება; დაკმაყოფილდა ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის სარჩელი; არარად იქნა აღიარებული აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1996 წლის 26 ნოემბრის 1229 დადგენილება ბათუმში, ... ქ. 14/6-ში მდებარე ც. ნ-ძის სახლის ათვისებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით აჭარის ა/რ მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ ქ. ბათუმის მერია, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაცია, შპს «...», და შპს «...».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება; შეწყდა საქმის წარმოება ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის სარჩელის გამო აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1996 წლის 26 ნოემბრის 1229 დადგენილების არარად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის გამო, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლომ თავისი განჩინება დააფუძნა შემდეგ გარემოებებზე:

სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის მიერ 2003 წლის 16 აპრილს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს, ქ. ბათუმის მერიის და ქ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიმართ აღძრული სარჩელით დავის საგანს წარმოადგენდა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს მიერ 2006 წლის 26 ნოემბრის 1229 დადგენილებისა და მხარეთა შორის დადებული 1996 წლის 27 დეკემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო, რაც გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2004 წლის 15 ივლისის განჩინებით. მოსარჩელები იმავე საფუძვლით ითხოვდნენ აქტების ბათილად ცნობას, რა საფუძვლითაც დააყენეს აქტის არარად ცნობის მოთხოვნა – კერძოდ, მიიჩნევენ, რომ აქტი გამოცემული იყო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევით არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტის პერიოდში საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებდა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ინსტიტუტს, რომელიც მოიცავდა ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის არარად ცნობის საფუძვლებსაც, რის გამოც ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-ძემ და მოითხოვეს სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე ინსტანციის სასამართლოში არსებითი განხილვისათვის.

კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მსჯელობა სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე საგანზე, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძვლით, რადგან ადმინისტრაციული აქტის არარად აღიარებისა და ბათილად ცნობის ინსტიტუტები ერთმანეთისაგან განსხვავდება და მათი გაიგივება დაუშვებელია. მათი აზრით, ისინი განსხვავდებიან, რო-

გორც სამართლებრივი შედეგებით, ისე შინაარსით. კერძო საჩივრის ავტორები თვლიან, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს, ვინაიდან მან ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა გააიგივა ადმინისტრაციული აქტის არარად აღიარებასთან, რითაც სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნები.

კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მეორე პუნქტსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილზე და მიაჩნიათ, რომ ადმინისტრაციული-სამართლებრივ აქტის არარად აღიარების მოთხოვნა ზემოთ მითითებულ მუხლში შევიდა 2005 წლის 24 ივნისს, რის გამოც მოცემული კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები არაა აქტთან მიმართებით მოქმედებს 2005 წლის 24 ივნისიდან და მასზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. კერძო საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ მათ უწყება სასამართლო პროცესზე გამოძახების შესახებ არ ჩაბარებიათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-ძემ 2003 წლის აპრილში სასარჩელო განცხადებით მიმართეს აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოს მოპასუხეების – აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს, ქ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურისა და ქ. ბათუმის მერიის მიმართ და მოითხოვეს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1996 წლის 26 ნოემბრის 1229 დადგენილებისა და 1996 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მოსარჩელებისათვის ცალკე-ცალკე სამ-ოთახიანი და ორ-ოთახიანი ბინების შეძენის დავალდებულება მოპასუხეებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 100.000 აშშ დოლარის მათ სასარგებლოდ გადახდის დაკისრება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის სასარჩელო განცხადების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 15 ივლისის განჩინებით ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-ძემ 2005 წლის 22 დეკემბერს კვლავ აღძრეს სარჩელი სასამართლოში მოპასუხე აჭარის ა/რ მთავრობის მიმართ და მოითხოვეს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1996 წლის 26 ნოემბრის 1229 დადგენილების არაა აქტად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელები 2003 წლის აპრილში აღძრული სარჩელით იმავე საფუძვლით ითხოვდნენ აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 1996 წლის 26 ნოემბრის 1229 დადგენილების ბათილობას, რა საფუძვლითაც 2005 წლის დეკემბერში დააყენეს იმავე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობის მოთხოვნა – კერძოდ მიიხსენებდნენ, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თავდაპირველი სარჩელის აღძრის პერიოდში ე.ი. 2003 წელს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობის ინსტიტუტს არ ითვალისწინებდა, შესაბამისად მოთხოვნა ემყარებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ა» პუნქტს, რომელიც ითვალისწინებდა ადმინისტრაციული აქტის ბათილობის პირობებს და მოიცავდა შემდგომში ამჟამად მოქმედ მე-60 მუხლში ასახულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობის საფუძვლებსაც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» პუნქტის თანახმად კი სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ზ. ხ-შვილის და ც. ნ-ძის სარჩელის თაობაზე საქმის წარმოების შეწყვეტისას სწორად იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რომლის თანახმად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე კერძო საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ ისინი 2008 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე არ მიიწვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით და მათთვის ცნობილი არ იყო სასამართლო სხდომის თაობაზე, რის გამოც საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს სხდომაზე გამოცხადება. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქმეში წარმოდგენილი სასამართლო უწყებით დასტურდება, რომ ზ. ხ-შვილსა და ც. ნ-ძეს 2008 წლის 3 ოქტომბერს მათ მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნათ სასამართლო უწყება 2008 წლის 31 ოქტომბერს 14 საათზე დანიშნული სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ; ხოლო შპს «...» შეტყობინების ბარათით გზავნილების ჩაბარების შესახებ ირკვევა, რომ ზ. ხ-შვილსა და ც. ნ-ძეს 2008 წლის 4 ოქტომბერს კურიერმა მათ მიერ მითითებულ მისამართზე ორჯერ მიაკითხა და ვერ მოახერხა სასამართლო უწყების უშუალოდ მათთვის ჩაბარება. საქმეში წარმოდგენილი სასამართლო უწყებით კი დასტურდება, რომ ზ. ხ-შვილსა და ც. ნ-ძეს მათ მიერ მითითებულ მისამართზე 2008 წლის 21 ოქტომბერს კვლავ გაეგზავნათ სასამართლო უწყება 2008 წლის 31 ოქტომბერს 14 საათზე დანიშნული სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ; ხოლო საქმეში წარმოდგენილი შპს «...» შეტყობინების ბარათში გზავნილების ჩაბარების შესახებ კურიერის მიერ 2008 წლის 22 ოქტომბერს აღნიშნულია, რომ მეზობლების განმარტებით ბინა გაქირავებულია და არ იცინა სად არიან ეს პიროვნებები .

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილი, რომლის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე, ხოლო ამავე კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩააბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის სარჩელის თაობაზე საქმის წარმოების შეწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც მათი კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. არ დაკმაყოფილდეს ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის კერძო საჩივარი;
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე

განჩინება

18ს-1058-1016(2კს-09)

2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლადე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ა. კ-შვილის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.09წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. კ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მშენებლობის და ჯარების განთავსების მთ. სამმართველოს, ვ. პ-ოვის, მესამე პირის – ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს ნოტარიუს გ. ჭყავას მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. 30.05.06წ. საოქმო განჩი-

ნებით ა. კ-შილი სსკ-ის 84-ე მუხლის საფუძველზე, საქმის შეუწყვეტლად, შეიცვალა სათანადო მოსარჩელის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროთი, ამასთან, თავდაპირველი მოსარჩელე – ა. კ-შილი, სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად, საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული.

27.07.06წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მოპასუხე ვ. პ-ოვის მიმართ, მესამე პირების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ა. კ-შილის მიმართ, მოსარჩელემ მოითხოვა ბინის პრივატიზების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ **19.02.82წ.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცა ბინის ორდერი ვ. პ-ოვის სასარგებლოდ, რომელმაც მოახდინა საცხოვრებელი ბინის, მდებარე ქ.თბილისი, ..., მე-2 მ/რ, მე-2 კვ., კორპ. 15, ბინა 122 პრივატიზაცია. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულება დადებული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან **08.12.90წ.** სსრ კავშირის დაშლასთან ერთად იურიდიულად გაუქმდა სსრკ თავდაცვის სამინისტრო, ასევე მის სისტემაში შემავალი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. შესაბამისად, სსრკ თავდაცვის სამინისტროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი და მისი საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილის სახელმმართველობა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს, რომელიც სახელმწიფოს სახელით, საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი ქონების პრივატიზაციის განხორციელებაზე იყო უფლებამოსილი.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ სასარჩელო განცხადება ხანდაზმული იყო, ვინაიდან პრივატიზაცია **17.12.92წ.** განხორციელდა. ამასთან, პრივატიზაციის კანონიერების შესახებ საკითხი ერთხელ უკვე განიხილა სასამართლომ, რომლითაც მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მესამე პირის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანი იყო, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხანდაზმულობის ვადების დაცვით მიმართა სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **12.10.06წ.** გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სარჩელით მიმართა სასამართლოს იმავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველით, რითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, უკანასკნელის სარჩელი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ხანდაზმულობის გამო არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო არა მისი სათანადო მოსარჩელედ საქმეში ჩართვისა და საქმის მასალების ჩაბარების დღიდან, არამედ იმ დღიდან, როდესაც სახელმწიფომ შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს **06.03.08წ.** გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ა. კ-შილის სააპელაციო საჩივრები, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელსა და ვ. პ-ოვის შორის **17.12.92წ.** დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი ხანდაზმული იყო და აღნიშნა, რომ საპროცესო სამართალურთიერთობაში სამინისტრო მონაწილეობდა მხარედ და არა წარმომადგენლად, შესაბამისად, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული სამინისტროების სსიპ სახელმწიფოს წარმომადგენლებად მიჩნევა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად იმ მომენტის განსაზღვრა, რომლიდანაც სახელმწიფო ორგანოსათვის (კონკრეტულ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროსათვის) ცნობილი უნდა ყოფილიყო სადავო პრივატიზაციის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი ვერ განხორციელებდა თავის უფლებას საამისოდ უფლებამოსილი მმართველობის ორგანოების გარეშე. ამდენად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის დამოუკიდებლად უნდა ათვლილიყო და მასზე გავლენას ვერ იქონიებდა თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელის შეტანის გზით, უფლების რეალიზების ფაქტი. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის, მისი სათანადო მოსარჩელედ ცნობამდე, ცნობილი იყო სადავო პრივატიზაციის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ **1995 წელს** ვ. პ-ოვის ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. სადავო პრივატიზაცია განხორციელდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **1107-ე** დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით, პრივატიზების უფლება ჰქონდა ბინის დამქირავებელ საქართველოს მოქალაქეებს, ხოლო ვ. პ-ოვი საქართველოს მოქალაქეობა **19.03.07წ.** მოიპოვა და პრივატიზაციის მომენტში არ იყო საქართველოს მოქალაქე. საქართველოს მთავრობის **23.04.92წ., 09.10.92წ.** დადგენილებების საფუძველზე სადავო ბინა წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებას და რუსეთის ფედერაციის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელს არ ჰქონდა მისი განკარგვის უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლოს **06.03.08წ.** გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ვ. პ-ოვის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით ახალი გადაწყვეტილების მიღება, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **14.01.09წ.** განჩინებით ვ. პ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **06.03.08წ.** გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **04.06.09წ.** განჩინებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **12.10.06წ.** გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება (განჩინება); შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელის გამო **17.12.92წ.** ვ. პ-ოვსა და რუსეთის ფედერაციის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელს შორის დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ მოთხოვნის იდენტური იყო, რომელზედაც არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ დავის საგნის გარდა, იდენტური იყვნენ დავის მხარეებიც, ვინაიდან სამინისტრო თვითონ არ წარმოდგენდა იურიდიულ პირს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო სახელმწიფო, რომელიც სამართალურთიერთობაში მონაწილეობდა მისი ორგანოების მეშვეობით. სამინისტროები სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდიოდნენ სახელმწიფოს სახელით, ახორციელებდნენ მმართველობას კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **04.06.09წ.** განჩინებაზე კერძო საჩივრები შეიტანეს ა. კ-შვილმა და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. ა. კ-შვილმა მიუთითა, რომ «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით სამინისტრო იყო აღმასრულებელი ორგანო, ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო მმართველობას. საპროცესო სამართალურთიერთობებში ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მონაწილეობდა როგორც მხარე და არა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კერძო საჩივარში აღნიშნა, რომ სამართალწარმოებაში სამინისტროები მონაწილეობას ღებულობდნენ კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და წარმოდგენდნენ დამოუკიდებელ საპროცესო სუბიექტებს. აგრეთვე აღნიშნა, რომ, მართალია, სახელმწიფო მატერიალურ სამოქალაქო სამართალურთიერთობაში მონაწილეობდა მისი ორგანოების მეშვეობით, თუმცა, მათ მაინც ჰქონდათ დამოუკიდებელი საპროცესო უფლებაუნარიანობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და კერძო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ-შვილის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ **15.03.2000წ.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის, მდებარე ქ.თბილისში, ... მე-2 კვ., მე-5 კორპუსში, ბინა '22-ის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს **15.01.01წ.** გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის და ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოსა (**14.05.03წ.**) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს (**20.02.04წ.**) განჩინებებით. ხსენებული სასამართლო აქტებით სარჩელი მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ თავდაცვის სამინისტროს თავისი უფლების დარღვევის შესახებ სადავო ბინის პრივატიზების ხელშეკრულების დადებისთანავე (**17.12.92წ.**) უნდა შეეტყო.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს **06.02.2000წ.** გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. პ-ოვის სარჩელი და სადავო ბინიდან გამოსახლებული იქნა ა. კ-შვილი თანმხლებ პირებთან ერთად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ დატოვებული იქნა უცვლელად და შევიდა კანონიერ ძალაში.

დაუსაბუთებელია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ თავდაცვის სამინისტროს და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დავის საფუძვლები განსხვავებულია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის ცნობილი და საქმის მასალებითაც დასტურდება, რომ **17.12.92წ.** პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოთხოვნის საფუძვლები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ მოთხოვნის მსგავსია, რომელზედაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტები. კერძო საჩივრები არ შეიცავენ რაიმე მოსაზრებას აღნიშნულის უარსაყოფად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგნის გარდა იდენტურია აგრეთვე დავის მხარეებიც. ორივე შემთხვევაში მოსარჩელეთა სამართლებრივ

მიზანს, ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების უკან დაბრუნება, ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში სადავო საცხოვრებელი ბინა აღმოჩნდებოდა არა რომელიმე სამინისტროს, არამედ, სახელმწიფოს საკუთრებაში ორივე შემთხვევაში სამინისტროები მოქმედებენ სახელმწიფოს ინტერესებში, საჯარო დაწესებულებას თავისი ინტერესი არ აქვს, ის იცავს სახელმწიფო ინტერესს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით. «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის თანახმად, სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც განსაზღვრულ სფეროში უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას. სამინისტრო არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, საჯარო სამართლის იურიდიული პირია სახელმწიფო, რომელიც სკ-ის 24-ე მუხლის მიხედვით, სამართალურთიერთობებში მონაწილეობს მისი ორგანოების მეშვეობით. ამდენად, ორივე შემთხვევაში საქართველოს თავდაცვისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფოს სახელით მოქმედებდნენ.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგადად, სამართალწარმოებაში სამინისტროები მონაწილეობას ღებულობენ კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის სხვაობა განაპირობებს ამ ორგანოთა უფლება-მოვალეობების სხვაობას, რაც იწვევს თვითეული ორგანოსათვის დამოუკიდებელი პროცესუალური სტატუსის აღიარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოები სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენენ, ისინი დამოუკიდებელი საპროცესო სუბიექტებია. სხვადასხვა სამინისტროებს განსხვავებული უფლებები და მოვალეობები აქვთ, რომლებიც ერთმანეთისაგან როგორც შინაარსით, ისე მოცულობით განსხვავდებიან. კომპეტენციების სრული დამთხვევა ზოგადი წესების მიხედვით არ უნდა მოხდეს, შესაბამისად, სამინისტროების კომპეტენციების სხვაობა განაპირობებს უფლება-მოვალეობების მოცულობასა და შინაარს შორის სხვაობას, რაც თავისთავად გულისხმობს თითოეული მათგანის დამოუკიდებელ საპროცესო სტატუსს. მართალია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მათი კომპეტენციები სადავო უძრავი ქონების მიმართ იდენტურია. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რიგი ნორმატიული აქტების საფუძველზე (მაგ. მთავრობის 23.04.92წ. 1466, 30.07.92წ. 1766, 09.10.92წ. 1984 დადგენილებები) სამხედრო ობიექტები და მათ ბალანსზე რიცხული სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტები, ძირითადი ფონდები გადავიდა საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. საქმის მასალების მიხედვით, სსკ-ის 84-ე მუხლის საფუძველზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სათანადო მოსარჩელედ ჩართვა მოტივირებულია იმით, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო ქონების მესაკუთრეს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მრავალმხრივი რეფორმების გატარების პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კომპეტენცია გარკვეული დინამიურობით ხასიათდება, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კომპეტენციის გადანაწილება არ იწვევს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტით გადაწყვეტილი საკითხის ხელახალი განხილვის შესაძლებლობას. კერძო საჩივრების ავტორთა მოსაზრებების გაზიარების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი დამოკიდებული იქნებოდა დავის საგნის – უძრავი ქონების მიმართ სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების გადანაწილებაზე, ამგვარი მიდგომა კი შედეგად გამოიწვევს პერმანენტული სამართლებრივი გაურკვევლობის მდგომარეობას, ერთიდაიგივე დავის რამოდენიმეჯერ განხილვას. აღნიშნული ფაქტობრივად უტოლდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონიერების და დასაბუთებულობის კიდევ ერთი, დამატებითი პროცედურის დაშვებას, სასამართლო აქტების გადასინჯვის დადგენილი პროცედურის შეცვლას. ვინაიდან სადავო ბინის პრივატიზაციასთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს განსახილველი დავის მიმართ არამხოლოდ პრეიუდიციული, არამედ სავალდებულო მნიშვნელობა აქვს, საკასაციო სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას კერძო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებებზე ბინის პრივატიზაციის მართლზომიერებასთან და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახედამხედველო წესით, ნორმის შეფარდების მართლზომიერების მოსაზრებებიდან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.09წ. განჩინება მიღებულია სსკ-ის შესაბამისად და კერძო საჩივრებში მითითებული გარემოებანი მისი გაუქმების საფუძველს არ ქმნის. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. კ-შვილის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა. კ-შვილის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.09წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტაზე

განჩინება

1ბს-1446-1380(კ-კს-09)

17 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 4 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ზ. მ-შვილის მიმართ.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ ზ. მ-შვილმა 2005 წლის 1 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად დაინიშნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის 11372 ბრძანებით მოპასუხე, ამავე წლის 5 მაისიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის – 14160,96 ლარის, ზიანის სახით – 4382 ლარისა და პირგასამტეხლოს – 14160,96 ლარის 0,2%-ის ოდენობის, 2006 წლის 16 მაისიდან, ყოველდღიურად დაკისრება მოითხოვა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელზე ჯარიმის თანხის – 14000 ლარის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა ჯარიმის (160,96 ლარის), ზიანის თანხისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ საფუძვლებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

18ს-481-460(კ-08)

12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 13 ივნისს ც. ქ-შვილმა, რ. ფ-შვილი-ჯ-იამ, დ. ჯ-შვილმა, ნ. დ-ძემ, ზ. ლ-ძემ, ო. პ-ურმა, ქ. შ-ძემ, ლ. ლ-ძემ, ნ. კ-შვილმა, შ. ნ-ძემ, მ. ი-ძემ, ლ. ლ-ძემ, ი. ლ-ძემ, ტ. წ-ურმა, ე. ლ-შვილმა და მ. ჩ-ანმა სასარ-

ჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქ. თბილისის მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიმართ, მესამე პირებად კი მიუთითეს საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურზე.

მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1992 წლის 9 ოქტომბრის 1983 დადგენილებით კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრების წინაშე იკისრა ვალდებულებები, მშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეულ ფასთა სხვაობის თანხა გაეცა რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე, კოოპერატივის თითოეული წევრის მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მთლიანი თანხის დაფარვის შემდეგ. ამასთან, დაუმთავრებელი კოოპერატიული სახლების მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 1993-1995 წლებში. ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებმა უმოკლეს ვადაში დაფარეს საკუთარი ბინების მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მთავრობამ 1995 წლამდე ვერ შეასრულა შესაბამისი დადგენილებით ნაკისრი ვალდებულება, ანუ არ დაასრულა კოოპერატიული სახლების მშენებლობა, სახელმწიფომ აღნიშნული ვალდებულება «სახელმწიფო ვალის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, საშინაო ვალად აღიარა. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 12 ოქტომბრის '592 ბრძანებულებით დამტკიცდა სპეციალური პროგრამა, რომლითაც განისაზღვრა საშინაო ვალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები და მექანიზმები. ხსენებული ბრძანებულებით დადგინდა, რომ მოხდებოდა საკომპენსაციო ერთჯერადი თანხის გაცემა კუთვნილი საერთო ფართის შესაბამისად საცხოვრებელი სახლის ასაშენებელ რაიონში, საერთო 1 კვ.მ-ის ღირებულების გათვალისწინებით საბაზრო ფასებში.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ კოოპერატივის წევრებზე ერთჯერადი კომპენსაციის თანხების გაცემის სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, მიეცა მათთვის სახელმწიფო და ადგილობრივი დაქვემდებარების საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონება, კერძოდ, «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, 2001-2005 წლების ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საქართველოს პრეზიდენტისათვის უნდა წარედგინა შესაბამისი წინადადებები კოოპერატივის წევრებისათვის გარკვეული საპრივატიზაციო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ და ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულებად. აღნიშნული ცვლილება შეტანილ იქნა «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, 2001-2005 წლების ჩათვლით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს საქართველოს პრეზიდენტისათვის უნდა წარედგინათ შესაბამისი წინადადებები კოოპერატივის წევრებისათვის გარკვეული საპრივატიზაციო ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული მიწის ფართობის ღირებულებად. ხსენებული კანონის შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულომ «კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და «თბილტრანსში» ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ» 2001 წლის 12 დეკემბრის '10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცა დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებზე, საკომპენსაციო თანხების გაცემის ნაცვლად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესი. დეტალურად განისაზღვრა ქ. თბილისის მერიის მიერ შესასრულებელი მოქმედებები.

მოსარჩელეთა განმარტებით, «საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-9 მუხლისა და ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის მე-18 მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს დაევალიათ, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებელი ბინების წევრების სახელმწიფო ვალის ანაზღაურების მიზნით, მათთვის დადგენილი წესით გადაეცათ სახელმწიფო ქონება და მიწის ნაკვეთები. იმავე მუხლებით განისაზღვრა კოოპერატივის წევრებისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემის პროცედურა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შესასრულებელი მოქმედებები, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის უნდა წარედგინათ სახელმწიფო ვალის ანაზღაურების მიზნით გადასაცემი სახელმწიფო ქონებისა და მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობისა და ოდენობის შესახებ ინფორმაცია, ასევე ღირებულების ჩამონათვალი, რაც, მოსარჩელეთა მტკიცებით, განხორციელდა.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის '08.38.185 დადგენილებით კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, დამტკიცდა «საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადასაცემი მიწის ფართობების ნუსხა», რომლის დანართის შე-

საბამისად, განისაზღვრა საბინაო კოოპერატივის წევრებზე გასანაწილებელი მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობა და საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას დაევალა გამოყოფილი მიწების შემდგომი გაცემის თაობაზე საკითხის მომზადება, ხოლო ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს – მიწის ფართობების საზღვრებისა და მოცულობების დადგენა.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის ¹10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ზემოხსენებული დებულების თანახმად, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების გადაცემის საკითხს წყვეტდა საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ქ. თბილისის მთავრობა საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენდა წინადადებებს, რომლებშიც უნდა ასახულიყო ინფორმაცია გადასაცემი საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების ადგილმდებარეობის, საერთო ფართისა და მისი ღირებულების, აგრეთვე საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების მიმღები პირის ან პირთა ჯგუფის რეკვიზიტების თაობაზე, ასევე, ინფორმაცია საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების მიმღები პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ არსებული სახელმწიფო ვალის ოდენობის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ზემოაღნიშნული წინადადების წარდგენის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მოპასუხესა და მყიდველს შორის 20 დღის განმავლობაში სანოტარო წესით ფორმდებოდა შესაბამისი ხელშეკრულება მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, ხოლო მყიდველის მიერ საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ გადახდა დადასტურებულად ჩაითვლებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ პირზე გაცემული შესაბამისი სახელმწიფო დავალიანების დამადასტურებელი საბუთის შემდეგ.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ქ. თბილისის მთავრობამ არ შეასრულა ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის ¹10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნები, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტს არ წარუდგინა წინადადებები მოსარჩელებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად, რის თაობაზეც მათ არაერთხელ მიმართეს სხვადასხვა უწყებას, თუმცა უშედეგოდ.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ, ვინაიდან არ სრულდებოდა «საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-9 მუხლი, ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის მე-18 პუნქტის «ა» ქვეპუნქტი, აგრეთვე, «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» და «არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» საქართველოს კანონები, საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 1 ივლისს მიღებულ იქნა ¹1879-რს დადგენილება «საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ». ხსენებული დადგენილებით საქართველოს მთავრობას დაევალა, დროულად მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები. ამასთან, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის ¹10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ზემოაღნიშნული დებულების, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის ¹08.38.185 დადგენილებისა და ქ. თბილისის პრემიერის 2003 წლის 30 ივნისის ¹624 განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციამ არაერთხელ მიმართა ქ. თბილისის მერიას და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, რათა უზრუნველყოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება. საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ანაზღაურების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტმა 2004 წლის 14 სექტემბრის ¹819-¹830 განკარგულებებით, პირდაპირი განკარგვის წესით საბინაო კოოპერატივის 35 წევრს გადასცა მიწის ნაკვეთები. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები შესრულებულ იქნა ნაწილობრივ და იმ დროისათვის ქ. თბილისის მთავრობას ევალებოდა ქ. თბილისში, ვაშლიჯვარში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ფერდობზე არსებულ მიწის ნაკვეთზე საზღვრებისა და მოცულობის დადგენა, საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირება და საქართველოს პრეზიდენტისათვის განკარგულების პროექტის წარდგენა აღნიშნული მიწის ნაკვეთის კომპენსაციის სახით მოსარჩელეთათვის გადაცემის შესახებ. ხსენებული მიწის ნაკვეთი გადანაწილდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის 15 წევრზე, რომელთაგან 7 წევრი ამ საქმეზე მოსარჩელე იყო.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის ¹10-6 გადაწყვეტილებისა და საქართველოს მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის ¹08.38.185 დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად, საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციამ 2005 წლის 22 დეკემბრის ¹ც-04/452 წერილით კვლავ მიმართა ქ. თბილისის მერიას და წარუდგინა ყველა შესაბამისი მტკიცებულება. ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის ¹05.07.124 დადგენილებით არარა აქტად იქნა აღიარებული ამავე ორგანოს მიერ 2003 წლის 5 ივნისს მიღებული ¹08.38.185 დადგენილება. აღნიშნული დადგენილებით ქ. თბილისის მთავრობამ დააკმაყოფილა საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის თხოვნა და დამტკიცდა ამ ასოციაციისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნუსხა. ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის ¹05.07.124 სადავო დადგენილების თანახმად, ამავე ორგანოს 2003 წლის 5 ივნისის ¹08.38.185 დადგენილების არარა აქტად გამოცხადე-

ბის საფუძველი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის «ბ» ქვეპუნქტი, ანუ ხსენებული აქტი გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს – ქ. თბილისის მთავრობის მიერ, რადგან პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასაცემი ობიექტების ნუსხას საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ამტკიცებდა. «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო «თბილტრანსში» ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, ამ პირთა თანხმობისას, სწორედ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტისთვის უნდა წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული მიწის ფართობების ღირებულებად. მოპასუხეს უნდა მოეძია გადასაცემი მიწის ნაკვეთები და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარედგინა წინადადებები მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ.

მოსარჩელეთა მტკიცებით, არარად გამოცხადებული ზემოაღნიშნული აქტი იყო აღმჭურველი აქტი და მას მოჰყვა სამართლებრივი შედეგები. შესაბამისი მიწის ნაკვეთები საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემული ჰქონდა 35 პირს. ამდენად, მოსარჩელებს – დაინტერესებულ მხარეებს გააჩნდათ კანონიერი ნდობა, რომ მოპასუხე გააგრძელებდა დანარჩენი 20 პირის მიმართაც იმავე მოქმედებას. ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის '08.38.185 დადგენილება იყო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული აქტი და არ არსებობდა მისი არარა აქტად გამოცხადების სამართლებრივი საფუძველები. ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ვალდებული იყო, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის '10-6 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის '18.38.185 დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად, საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენად შეემუშავებინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტები. ქ. თბილისის მთავრობის მიერ მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ზღუდავდა მოსარჩელების უფლებას და მათ აყენებდა ზიანს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მოსარჩელები ვერ იღებდნენ კუთვნილი საკომპენსაციო თანხის შესაბამის ქონებას (მიწის ნაკვეთს). ამდენად, ქ. თბილისში, ვამლიჯვარში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ფერდობზე არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით მიღება მოსარჩელეთა კანონიერ უფლებას წარმოადგენდა, რაც დადასტურებული იყო ყველა ზემოხსენებული ნორმატიული აქტითა და ფაქტობრივი გარემოებით, კერძოდ, ამ კოოპერატივის თითოეულმა წევრმა 15 წლის წინ დაფარა ბინის მთლიანი ღირებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს: ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის '05.07.124 დადგენილების ბათილად ცნობა და ამ დადგენილების მოქმედების შეჩერება; საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას დავალებოდა, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის '08.38.185 დადგენილების მე-3 პუნქტისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის '10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობისათვის წარედგინა მოსარჩელებზე პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია; ქ. თბილისის მთავრობას დავალებოდა, მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარედგინა მოსარჩელებზე მიწის ფართობების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად წინადადებები, რომლებშიც უნდა ყოფილიყო ინფორმაცია ქ. თბილისში, ...-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორიასა და ...-ის IV მ/რ-ში მოსარჩელებზე გადასაცემი მიწის ნაკვეთების საერთო ფართისა და მისი ღირებულების შესახებ, ასევე – მოსარჩელებზე გადასაცემი საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთების პრივატიზებაში მონაწილე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა რეკვიზიტები, აგრეთვე – ინფორმაცია საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთების პრივატიზებაში მონაწილე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალის (საკომპენსაციო თანხის) ოდენობის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 მაისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეზე მოპასუხეთა სიიდან ამოირიცხა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ხოლო მესამე პირთა სიიდან – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახური.

მოგვიანებით, მოსარჩელებმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და დამატებით აღნიშნეს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის '08.38.185 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცდა მიწის ნაკვეთი, მდებარე ვამლიჯვარში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორიაზე (დაახლოებით 25 ათასი კვ.მ), ხოლო იმავე დადგენილების მე-7 პუნქტით – ქ. თბილისში, ...-ის მე-4 მ/რ-ის ბოლოში არსებული მიწის ნაკვეთი (დაახლოებით 25 ათასი კვ.მ).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 3 ივლისის საოქმო განჩინებით მოსარჩელების – ლ. ლ-ძისა და მ. ჩ-ანის ნაწილში სარჩელი განუხილველი დარჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის 105.07.124 დადგენილება «კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადასაცემი მიწის ფართობების ნუსხის დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის 108.38.185 დადგენილების არარა აქტად აღიარების თაობაზე; მოპასუხეს – ქ. თბილისის მერიას დაევალა ქმედების განხორციელება – მოსარჩელებისთვის – ც. ქ-შვილისთვის, რ. ფ-შვილი-ჯ-იასთვის, დ. ჯ-შვილისთვის, ნ. დ-ძისთვის, ზ. ლ-ძისთვის, ო. პ-ურისთვის, ქ. შ-ძისთვის, ნ. კ-შვილისთვის, შ. ნ-ძისთვის, მ. ი-ძისთვის, ლ. ლ-ძისთვის, ი. ლ-ძისთვის, ტ. წ-ურისა და ე. ლ-შვილისთვის ქ. თბილისში, ვაშლიჯვარში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორიაზე 16 ათასი კვ.მ და ქ. თბილისში, ...-ის მე-4 მ/რ-ის ბოლოში 7 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით მიყიდვის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადებების მომზადება და წარდგენა, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის 110-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის გამგეობის 2005 წლის 12 მარტის სხდომის 112 ოქმით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები – ც. ქ-შვილი, რ. ფ-შვილი-ჯ-ია, დ. ჯ-შვილი, ნ. დ-ძე, ზ. ლ-ძე, ო. პ-ური, ქ. შ-ძე, ნ. კ-შვილი, შ. ნ-ძე, მ. ი-ძე, ლ. ლ-ძე, ი. ლ-ძე, ტ. წ-ური და ე. ლ-შვილი წარმოადგენდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს, რომელთაც დაადგინეს, რომ დამტკიცებულიყო ქ. თბილისში, ვაშლიჯვარში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ფერდობზე და ...-ის მე-4 მ/რ-ის ბოლოში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზებაში მონაწილე წევრთა სია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მოსარჩელები და აღნიშნული სიით დადგენილიყო თითოეული მათგანის ბინის საშუალო ფართი, მათი მდებარეობა და სახელმწიფო ვალის ოდენობა მათ მიმართ. კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საბინაო ვალის რეესტრიდან ამონაწერით დადგენილი იყო, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მიერ წამოწყებული მშენებლობა იმ დრომდე დაუმთავრებელი იყო, რომლის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი დავალიანება აღრიცხული იყო სახელმწიფო საბინაო ვალად. საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციამ 2005 წლის 23 დეკემბერს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მთავრობას და მოითხოვა განცხადებაზე დართული ნუსხების შესაბამისად, მოსარჩელებისათვის ქ. თბილისში, ნუცუბიდის მე-4 მ/რ-ის ბოლოში და ვაშლიჯვარში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის მიზნით, წინადადებების მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენა, რაც მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობამ არ დააკმაყოფილა. «სახელმწიფო ვალის შესახებ» საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო საბინაო ვალად აღიარებულ იქნა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ უდავო იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის 1592 ბრძანებულებისა, რომლითაც დამტკიცდა «კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების ეტაპობრივად დაფარვის ხელშეწყობ ღონისძიებათა განხორციელების პროგრამა» და «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს წარმოეშვათ კანონისმიერი ვალდებულება იმ პირთა წრის წინაშე, რომლებიც წარმოადგენდნენ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოშობილი ვალდებულების კრედიტორებს, ანუ პირებს, რომლებსაც იმ დრომდე გააჩნდათ მათ მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობის მიზნით გადახდილი თანხების ანაზღაურების ან მათ ნაცვლად კომპენსაციის სახით სხვა ნივთის მიღების მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის 110-6 გადაწყვეტილებით დამტკიცდა «საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობისა და მუნიციპალურ საწარმო «თბილტრანსში» ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფო ვალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესი». აღნიშნული წესის თანახმად, განისაზღვრა ამ ურთიერთობის მონაწილე პირთა წრე და მათი უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობასა და არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურს დაევალათ ყოველწლიურად, 2005 წლის ბოლომდე, საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მოძიება და მათი ნუსხის დამტკიცება, აგრეთვე, ამ ნუსხის საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადაცემა. ხსენებული წესის მე-13 მუხლით დადგინდა, რომ სახელმწიფო ქონების (მიწის) პირდაპირი ფორმით გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად, ქ. თბილისის მთავრობა საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენდა წინადადებებს.

ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის **118.38.185** დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების ნუსხა, რომელშიც მე-7 პუნქტად შეტანილ იქნა ქ. თბილისში, ...-ის მე-4 მ/რ-ის ბოლოში არსებული **25000** კვ.მ მიწის ნაკვეთი და ვაშლიჯვარში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორიაზე – **16000** კვ.მ მიწის ნაკვეთი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის **105.07.124** დადგენილებით არარა აქტად იქნა აღიარებული ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის **108.38.185** დადგენილება. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება და მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის **105.07.124** დადგენილება იყო კანონსაწინააღმდეგო და იგი ცნობილი უნდა ყოფილიყო ბათილად, რადგან ამ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არასწორად იქნა გადაწყვეტილი ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის **108.38.185** დადგენილების არარა აქტად აღიარების საკითხი – ამ დადგენილების არარა აქტად აღიარება მოხდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების დებულებათა საწინააღმდეგოდ. «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» და «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» საქართველოს კანონების მეშვეობით, საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებათა ნაწილობრივ შესრულების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა კომპეტენციების გამიჯვნა საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების სახეობათა მიხედვით – ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მთავრობის უფლებამოსილებათა ფარგლები. 2003 წლის 5 ივნისის **108.38.185** დადგენილების მიღებისას ქ. თბილისის მთავრობას არ განუხორციელებია ისეთი უფლებამოსილება, რომელიც სხვა ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა. აღნიშნული დადგენილების გამოცემისას ქ. თბილისის მთავრობა «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, წარმოადგენდა ასეთი შინაარსის გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ ყოფილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა – ქ. თბილისის მთავრობა არ შეჭრილა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებათა სფეროში.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის **105.07.124** დადგენილება ეწინააღმდეგებოდა «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტსა და «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტს, აგრეთვე, უშუალოდ იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის – საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 2001 წლის 27 დეკემბრის **11-3/915** ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლს, რომლის საფუძველზეც იგი იქნა გამოცემული, რის გამოც ხსენებული დადგენილება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან. მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობა ვალდებული იყო, ამ სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტის – საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ მოსარჩელებისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე მოპასუხესთან, უკვე წარდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, მოემზადებინა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების განკარგვის შესახებ წინადადებები წარედგინა საქართველოს პრეზიდენტისთვის. მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიერ მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნამდვილად აყენებდა პირდაპირ და უშუალო ზიანს მოსარჩელეთა უფლებას, მოეთხოვათ და მიეღოთ მათ მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის მანამდე გადახდილი თანხების ადეკვატური კომპენსაციები მიწის ნაკვეთების პირდაპირი შესყიდვის ფორმით მათთვის გადაცემის გზით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის **1592** ბრძანებულებით დადგენილი ვალდებულების შესრულების ვადის 2005 წლის დასასრულისთვის ამოწურვის გამო, მოსარჩელებს უარი უნდა თქმოდათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციამ 2005 წლის 23 დეკემბერს მიმართა განცხადებით ქ. თბილისის მთავრობას და მოითხოვა მოსარჩელებისთვის ქ. თბილისში, ...-ში, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ და ...-ის მე-4 მ/რ-ის ბოლოში არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის მიზნით წინადადებების მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენა. კანონით განსაზღვრულ ვადაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობა – საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადებათა წარუდგენლობა მოპასუხე მხარეს არ ათავისუფლებდა კანონით დაკისრებული ვალდებულებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით დამტკიცდა მორიგების აქტი ქ. თბილისის მერიასა და მოსარჩელებს – დ. ჯ-შვილს, ო. პ-ურს, ლ. ლ-ძეს, ი. ლ-ძესა და ტ. წ-ურს შორის; მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება დ. ჯ-შვილის, ო. პ-ურის, ლ. ლ-ძის, ი. ლ-ძისა და ტ. წ-ურის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის მეორე განჩინებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის '05.07.124 დადგენილება ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაში იყო შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის შესაბამისი განჩინების საფუძველზე. ხსენებული დადგენილების ბათილად ცნობის შედეგად იურიდიული ძალა მიეცა ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის '08.38.185 დადგენილებას. შესაბამისად, მითითებული დადგენილებით მოხდა მიწის ნაკვეთების მიზნობრივი გამოყოფა მისი დანართის მიხედვით. ქ. თბილისის მთავრობას დაევა საბინაო-სამშენებლო კოორპორაციის თითოეულ წევრზე გადასაცემი მიწის ფართობების სრული პაკეტების მომზადება და შესაბამისი წინადადებების დროულად წარდგენა საქართველოს პრეზიდენტისათვის. ამდენად, ქ. თბილისის მერიას კანონისმიერი ვალდებულება ეკისრებოდა, განეხორციელებინა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ქმედება და ვალდებულების შესრულებისთვის კანონით დადგენილი ვადის ამოწურვა არ შეიძლებოდა გამხდარიყო ვალდებულების შესრულებისგან მოპასუხის გათავისუფლების საფუძველი. აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი არგუმენტები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი, საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება.

კასატორის განმარტებით, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევა, რომლის შედეგადაც საქმეზე არასწორი განჩინება იქნა მიღებული. ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 14 მარტის '05.07.124 დადგენილებას, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო, თან ერთოდა გადასაცემი მიწის ნაკვეთების ნუსხა და ამ ნუსხის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული იყო მხოლოდ მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობა და მასში არ იყო მითითებული ინფორმაცია მიწის ნაკვეთების ფართობების შესახებ. საქმეშიც არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება აღნიშნული მიწის ნაკვეთების ფართობების შესახებ. გაურკვეველია, თუ რომელი მტკიცებულების საფუძველზე მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, რომ ქ. თბილისის მერიას მოსარჩელებისთვის უნდა გადაეცა ქ. თბილისში, ...-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორიაზე 16000 კვ.მ და ქ. თბილისში, ...-ძის მე-4 მ/რ-ის ბოლოში 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთები. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი – მას უნდა მიეთითებინა, თუ რომელი ფაქტები მიიჩნია დადგენილად და რომელი მტკიცებულების საფუძველზე, ანუ უნდა დაედგინა, თუ რა ფართობების მიწის ნაკვეთების გამოყოფა იყო სახეზე და რომელი მტკიცებულების მიხედვით, რაც არ გაუკეთებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით. გარდა ამისა, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 9 მოსარჩელის ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში კონკრეტულად არ მიუთითა, თუ რა ფართობების მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით უნდა წარედგინა წინადადებები ქ. თბილისის მერიას შემდგომში მათი 9 მოსარჩელისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის მიზნით, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გამოკვეთილად უნდა მიეთითებინა, თუ რას ნიშნავდა 9 მოსარჩელის სარჩელის ნაწილში გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება და კონკრეტულად, რა ფართობების მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით უნდა მოემზადებინა ქ. თბილისის მერიას წინადადებები, ასევე, არ განუსაზღვრავს, თუ მიწის ნაკვეთის რა ფართობს შეადგენდა იგი თითოეული მოსარჩელისთვის. შესაბამისად, როდესაც ქ. თბილისის მერიასთან

დავა შეწყვიტა ხუთმა მოსარჩელემ, ბუნებრივია, მათი ე.წ. «წილი» მიწის ნაკვეთების ფართობები უნდა გამოკლებოდა საერთო ფართობს და ასახულიყო სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში, რაც არ მომხდარა.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული განჩინებიდან არ ჩანს, სააპელაციო სასამართლომ ცნო თუ არა დადგენილად ის ფაქტი, რომ 9 მოსარჩელეს უნდა გადასცემოდა მიწის ნაკვეთის კონკრეტული ფართობები. ხსენებული განჩინების მიღებისას კიდევ ერთხელ დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო ნორმები, რომლის შედეგადაც საქმეზე არასწორი განჩინება იქნა მიღებული, კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის 108.38.185 დადგენილებით მიწის ნაკვეთის მიღების მოთხოვნის უფლება გააჩნდა საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას და იგი წარმოადგენდა სათანადო მოსარჩელეს, რადგან მოთხოვნის უფლება მას გააჩნდა და არა ფიზიკურ პირებს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია, თუ ვის ჰქონდა მოთხოვნის უფლება, მან კი ძალაში დატოვა ის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა იმ პირების სასარჩელო მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენდნენ არასათანადო მოსარჩელებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 28 მაისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 17 ივლისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2008 წლის 2 ოქტომბერს, 12.00 საათზე.

მოცემული საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, კერძოდ, 2009 წლის 25 თებერვალს, მოსარჩელების – ე. ლ-შვილის, ნ. კ-შვილის, მ. ი-ძის, შ. ნ-ძის, ნ. დ-ძის, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილის, ქ. შ-ძისა და ზ. ლ-ძის წარმომადგენელმა ლ. ლ-ძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა განცხადება, რომელსაც დაურთო ქ. თბილისის მერიასა და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს – ე. ლ-შვილს, ნ. კ-შვილს, მ. ი-ძეს, შ. ნ-ძეს, ნ. დ-ძეს, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილს, ქ. შ-ძესა და ზ. ლ-ძეს შორის 2009 წლის 25 თებერვალს გაფორმებული მორიგების აქტი.

2009 წლის 5 მარტს ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა და ე. ლ-შვილის, ნ. კ-შვილის, მ. ი-ძის, შ. ნ-ძის, ნ. დ-ძის, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილის, ქ. შ-ძისა და ზ. ლ-ძის წარმომადგენლებმა თ. რ-ძემ და ლ. ლ-ძემ განცხადებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელშიც მიუთითეს, რომ მათ მიერ 2009 წლის 25 თებერვალს წარმოდგენილი მორიგების აქტი შეიცავდა ხარვეზს – მასში არ იყო მითითებული იმ 3346 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა, რომელსაც ქ. თბილისის მერია მოსარჩელებს გადასცემდა სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების ავტორებმა საქმის განხილვის გადადება, 2009 წლის 25 თებერვალს დამტკიცებული მორიგების აქტის დაბრუნება მოითხოვეს და წარმოადგინეს 2009 წლის 2 მარტს გაფორმებული დაზუსტებული მორიგების აქტი. მხარეთა შორის 2009 წლის 2 მარტს გაფორმებულ მორიგების აქტში აღნიშნულია შემდეგი:

«ერთი მხრივ, ქ. თბილისის მერია, წარმოდგენილი ქ. თბილისის მერის – გ. უ-ვას სახით და მეორე მხრივ, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები, ლ-შვილი ე., კ-შვილი ნ., ი-ძე მ., ნ-ძე შ., დ-ძე ნ., ფ-შვილი-ჯ-ია რ., ქ-შვილი ც., შ-ძე ქ., ლ-ძე ზ. (შემდგომში «მოსარჩელები»), მათი წარმომადგენლების თ. რ-ძისა და ლ. ლ-ძის სახით შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. «მოსარჩელები» უარს აცხადებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებზე, კერძოდ: პირველი – ბათილად იქნეს ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან ქ. თბილისის მთავრობის 14.03.2006 წლის 105.07.124 დადგენილება «კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის გადასაცემი მიწის ფართობების ნუსხის დამტკიცების შესახებ», იმავე თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის 108.38.185 დადგენილების არარა აქტად აღიარების თაობაზე; მეორე – დაევალოს ქ. თბილისის მერიას მათთვის ქ. თბილისში, ...-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორიაზე 16000 კვ.მ-ისა და ქ. თბილისში, ...-ის მე-4 მკრ-ის ბოლოს 7000 კვ.მ მიწის ფართობების პირდაპირი წესით მიყიდვის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადებების მომზადება და წარდგენა;

2. ქ. თბილისის მერია, კისრულობს ვალდებულებას სასამართლოში მოსარჩელებთან საქმის მორიგებით დამთავრების შემდეგ, ქ. თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 3346 კვ.მ მიწის ნაკვეთის (შემდეგში – «მიწის ნაკვეთი») ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში დარეგისტრირებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, ქ. თბილისის მერია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოამზადებს და წარუდგენს წინადა-

დებებს საქართველოს მთავრობას «მიწის ნაკვეთის» «მოსარჩელეთა» საერთო საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასაცემად (თითოეული «მოსარჩელის» წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვროს დანართის შესაბამისად);

3. «მიწის ნაკვეთის» «მოსარჩელეთა» საერთო საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არაუგვიანეს ერთი თვისა, გაფორმდეს ნასყიდობის ხელშეკრულება «მოსარჩელებსა» და ქ. თბილისის მერიას შორის;

4. «მოსარჩელები» კისრულობენ ვალდებულებას, გადაიხადონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი «მიწის ნაკვეთის» ნორმატიული ღირებულება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში;

5. მოსარჩელეთა მიმართ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალი ჩაითვალოს დაფარულად, მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის დღიდან.»

დანართი: **3346** კვ.მ მიწის ნაკვეთი საერთო საკუთრებაში მოსარჩელებს გადაეცემათ სახელმწიფო ვალის პროპორციულად.

1. სსკ 651 ლ-შვილი ე. 222,3/3346
2. სსკ 645 კ-შვილი ნ. 469,6/3346
3. სსკ 645 ი-მე მ. 469,6/3346
4. სსკ 645 ნ-მე შ. 278,0/3346
5. სსკ 626 დ-მე ნ. 374,2/3346
6. სსკ 606 ფ-შვილი-ჯ-ია რ. 567,4/3346
7. სსკ 646 ქ-შვილი ც. 196,5/3346
8. სსკ 645 შ-მე ქ. 469,6/3346
9. სსკ 650 ლ-მე ზ. 299,8/3346

ქ. თბილისის მერიასა და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს – ე. ლ-შვილს, ნ. კ-შვილს, მ. ი-მეს, შ. ნ-მეს, ნ. დ-მეს, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილს, ქ. შ-მესა და ზ. ლ-მეს შორის 2009 წლის 2 მარტს გაფორმებული მორიგების აქტი ხელმოწერილია ქ. თბილისის მერიის მხრიდან ქ. თბილისის მერის – გ. უ-ვას, ხოლო ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს – ე. ლ-შვილის, ნ. კ-შვილის, მ. ი-მის, შ. ნ-მის, ნ. დ-მის, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილის, ქ. შ-მისა და ზ. ლ-მის მხრიდან მათი წარმომადგენლების – თ. რ-მისა და ლ. ლ-მის მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო ქ. თბილისის მერიასა და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს – ე. ლ-შვილს, ნ. კ-შვილს, მ. ი-მეს, შ. ნ-მეს, ნ. დ-მეს, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილს, ქ. შ-მესა და ზ. ლ-მეს შორის 2009 წლის 2 მარტს გაფორმებულ მორიგების აქტს და მიაჩნია, რომ მხარეთა შორის მორიგება უნდა დამტკიცდეს აღნიშნული აქტის მიხედვით და მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, ხოლო იმავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა ქ. თბილისის მერიასა და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს – ე. ლ-შვილს, ნ. კ-შვილს, მ. ი-მეს, შ. ნ-მეს, ნ. დ-მეს, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილს, ქ. შ-მესა და ზ. ლ-მეს შორის 2009 წლის 2 მარტს გაფორმებული მორიგების აქტი და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხსენებული მორიგების აქტი არ შეიცავს რაიმე კანონსაწინააღმდეგო დებულებას, აღნიშნული მორიგების აქტით არ ილახება სახელ-

მწიფო (საჯარო) ინტერესები და, ამდენად, შესაძლებელია დასახელებული მორიგების აქტის დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლზე და მხარეებს განუმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა და-ვაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიასა და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს – ე. ლ-შვილს, ნ. კ-შვილს, მ. ი-ძეს, შ. ნ-ძეს, ნ. დ-ძეს, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილს, ქ. შ-ძესა და ზ. ლ-ძეს შორის 2009 წლის 2 მარტს გაფორმებული მორიგების აქტის მიხედვით, მხარეთა მორიგება შემდეგი პირობებით:

1.1. «მოსარჩელები» უარს აცხადებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებზე, კერძოდ; პირველი – ბათილად იქნეს ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან ქ. თბილისის მთავრობის 14.03.2006 წლის 105.07.124 დადგენილება «კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის გადასაცემი მიწის ფართობების ნუსხის დამტკიცების შესახებ» იმავე თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის 08.38.185 დადგენილების არარა აქტად აღიარების თაობაზე; მეორე – დაევალოს ქ. თბილისის მერიას მათთვის ქ. თბილისში, ვაშლიჯვარში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორიაზე 16000 კვ.მ და ქ. თბილისში, ნუცუბიდის მე-4 მკრ-ის ბოლოს 7000 კვ.მ მიწის ფართობების პირდაპირი წესით მიყიდვის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადებების მომზადება და წარდგენა;

1.2 ქ. თბილისის მერია, კისრულობს ვალდებულებას სასამართლოში მოსარჩელებთან საქმის მორიგებით დამთავრების შემდეგ, ქ. თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 3346 კვ.მ მიწის ნაკვეთის (შემდეგში – «მიწის ნაკვეთი») ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში დარეგისტრირებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოამზადოს და წარუდგინოს წინადადებები საქართველოს მთავრობას «მიწის ნაკვეთის» «მოსარჩელეთა» საერთო საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასაცემად (თითოული «მოსარჩელის» წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვროს დანართის შესაბამისად);

1.3 «მიწის ნაკვეთის» «მოსარჩელეთა» საერთო საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არა უგვიანეს ერთი თვისა, გაფორმდეს ნასყიდობის ხელშეკრულება «მოსარჩელებსა» და ქ. თბილისის მერიას შორის;

1.4 «მოსარჩელები» კისრულობენ ვალდებულებას, გადაიხადონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი «მიწის ნაკვეთის» ნორმატიული ღირებულება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

1.5 მოსარჩელეთა მიმართ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალი ჩაითვალოს დაფარულად, მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის დღიდან.

დანართი: 3346 კვ.მ მიწის ნაკვეთი საერთო საკუთრებაში მოსარჩელებს გადაეცემათ სახელმწიფო ვალის პროპორციულად.

სსკ 651 ლ-შვილი ე. 222,3/3346

სსკ 645 კ-შვილი ნ. 469,6/3346

სსკ 645 ი-ძე მ. 469,6/3346

სსკ 645 ნ-ძე შ. 278,0/3346

სსკ 626 დ-ძე ნ. 374,2/3346

სსკ 606 ფ-შვილი-ჯ-ია რ. 567,4/3346

სსკ 646 ქ-შვილი ც. 196,5/3346

სსკ 645 შ-ძე ქ. 469,6/3346

სსკ 650 ლ-ძე ზ. 299,8/3346

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება ე. ლ-შვილის, ნ. კ-შვილის, მ. ი-ძის, შ. ნ-ძის, ნ. დ-ძის, რ. ფ-შვილი-ჯ-იას, ც. ქ-შვილის, ქ. შ-ძისა და ზ. ლ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინება;

3. მოცემულ საქმეზე შეწყდეს წარმოება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო;

4. მორიგების აქტი ძალაში შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან და მოქმედებს მხარეების მიერ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

5. მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის – მორიგების აქტის იძულებითი აღსრულების ჩათვლით);

6. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

¹ბს-487-466(კ-08)

22 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. სილაგაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამართალმემკვიდრეობა

აღწერილობითი ნაწილი:

09.03.06წ. შპს «...-მა» სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელემ ქ. ბათუმის მთავრობის **17.02.06წ.** ¹⁴⁶ დადგენილების პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და ამავე დადგენილების მე-3 ნაწილის ბათილად ცნობა და ქ. ბათუმის მთავრობისათვის ქ. ბათუმის მერიის **23.08.94წ.** ¹⁴³⁷ გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალდებულება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მთავრობა შეიჭრა მარეგისტრირებული ორგანოს ფუნქციებში და ბათილად გამოაცხადა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს **12.02.97წ.** დადგენილება, რომლითაც შპს «...» აღიარებული იქნა მრავალდარგობრივი ფირმა შპს «...-ის» სამართალმემკვიდრედ.

20.03.06წ. ქ. ბათუმის მერიამ შეგებებული სარჩელით მიმართა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ბათუმის საქალაქო სასამართლოს **28.07.05წ.** დადგენილებისა და შპს «...-ის» წესდების იმ პუნქტების გაუქმება მოითხოვა, რომლითაც შპს «...» გამოცხადდა შპს «...-ის» სამართალმემკვიდრედ. შეგებებულმა მოსარჩელემ აღნიშნა, რომ **28.07.05წ.** ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ რეგისტრაციაში გატარდა შპს «...» და იგი აღიარებული იქნა შპს «...-ის» სამართალმემკვიდრედ. შპს «...» დაფუძნებული იყო «მეწარმეთა შესახებ» **28.10.94წ.** კანონის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო «მეწარმეთა შესახებ» კანონის ამოქმედების თაობაზე **28.10.94წ.** საქართველოს პარლამენტის დადგენილების მეორე პუნქტით განისაზღვრა, რომ «მეწარმეთა შესახებ» კანონის ამოქმედებამდე კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ამ კანონის მოთხოვნის შესაბამისად ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას **1996 წლის 1 სექტემბრამდე**, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი რეგისტრაცია გაუქმებულად გამოცხადდებოდნენ. ვინაიდან მრავალდარგობრივ კომერციულ ფირმა «...-ს» ხელახალი რეგისტრაცია **1996 წლის 1 სექტემბრამდე** არ გაუვლია, იგი გამოცხადდა ლიკვიდირებულად.

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს **31.05.06წ.** გადაწყვეტილებით შპს «...-ის» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის მთავრობის **17.02.06წ.** ¹⁴⁶ დადგენილების პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი და ამავე დადგენილების მესამე ნაწილი, ბათუმის მერიას დაევა **23.08.94წ.** ¹⁴³⁷ გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ქ. ბათუმის მერიის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის მერიამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **28.02.07წ.** განჩინებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს **31.05.06წ.** გადაწყვეტილება. მითითებული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **31.10.07წ.** განჩინებით ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **28.02.07წ.** განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **20.02.08წ.** გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს **31.05.06წ.** გადაწყვეტილება, შპს «...-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის **17.02.06წ.** **146** დადგენილების პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი და ამავე დადგენილების მე-3 ნაწილი, ქ. ბათუმის მერიის შეგებულ სარჩელზე შეწყდა წარმოება მისი დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზაკ-ის მე-60 მუხლის «გ» ქვეპუნქტით განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულება შეუძლებელია მისი გამოცემისთანავე და არა ის შემთხვევები, როდესაც გარკვეული პერიოდის შემდეგ შეუძლებელი ხდება მისი ფაქტობრივი შესრულება. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ადმინისტრაციული აქტის არარა აქტად აღიარება იმ საფუძველზე, რომ შპს «...-მა» **1996 წლის 1** სექტემბრამდე არ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია. სასამართლომ მიუთითა, რომ შპს «...-მა» აღნიშნული აქტის საფუძველზე გარკვეული ქმედება, კერძოდ, ... ქ. **12-ში** არსებული ორსართულიანი ამორტიზებული შენობის დანგრევა (დემონტაჟი) განახორციელა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საწარმოს რეგისტრაცია წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანას სახელმწიფო რეესტრში. რეგისტრაცია მიზნად ისახავს სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფას, რაც ნიშნავს, რომ რეგისტრირებული ფაქტები სწორია მანამდე, სანამ არ მოხდება მათი გაუქმება. ქ. ბათუმის მთავრობა უფლებამოსილი არ იყო საწარმოს რეგისტრაცია გაუქმებულად გამოეცხადებინა და ამ მოტივით ბათილად ეცნო ქ. ბათუმის მერიის **23.08.94წ.** **1437** გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის მხრიდან აქტის გამოცემისას დარღვეული იქნა ზაკ-ის მე-13 მუხლი, დაინტერესებულ მხარეს არ მიეცა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის შესაძლებლობა. მითითებული ნორმის დაუცველობამ გამოიწვია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზაკ-ის **95-ე, 98-ე** და **99-ე** მუხლების მოთხოვნათა დარღვევა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეგებებული სარჩელი შინაარსით აღიარებით სარჩელს წარმოადგენდა და განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელი იყო მისი შეგებებული სარჩელის ფორმით განხილვა, რის გამოც შეგებებული სარჩელი არ იყო დასაშვები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **20.02.08წ.** გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შპს «...-ის» სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორის განცხადებით, ქ. ბათუმის მთავრობის **17.02.06წ.** **146** დადგენილება მიღებულია ზაკ-ით დადგენილი წესების დაცვით. მითითებული აქტის გამოცემას წინ უძღოდა ადმინისტრაციული წარმოება, **15.02.06წ.** გაიმართა მოსმენა, სადაც ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერის კაბინეტის **23.08.94წ.** **1437** გადაწყვეტილების კანონიერება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ მოსმენაზე მოწვეული იყო შპს «...-ის» დირექტორი, რომელიც მოსმენაზე გამოეცხადდა წარმომადგენელთან ერთად. კასატორმა აღნიშნა, რომ არასწორად ეთქვა უარი შეგებებული სარჩელის განხილვაზე. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შპს «...» არაუფლებამოსილი პირი ხდებოდა ქ. ბათუმის მთავრობის **17.02.06წ.** **146** დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნისათვის. ქ. ბათუმის მერის შეგებებული სარჩელის განხილვა სრულად გამორიცხავს თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებას. კასატორის აზრით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ ქ. ბათუმის მერიამ გააუქმა შპს «...-ის» რეგისტრაცია. ქ. ბათუმის მერიამ გააუქმა არა საწარმოს რეგისტრაცია, არამედ უკანონოდ მიიჩნია საწარმოთა სამართალმემკვიდრეობა. კასატორის განმარტებით, ლიკვიდირებული საწარმოს უფლებამონაცვლეობის საკითხი არ განიხილება. შპს «...» სხვა საწარმოს გაყოფის, გარდაქმნის, ნატურით გამოყოფის ან **1996 წლის 1** სექტემბრამდე ხელახალი რეგისტრაციის გავლის შედეგად არ ჩამოყალიბებულა. იგი დაფუძნდა **16.06.98წ.**, «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად, რის გამოც შპს «...» ვერ იქნება რომელიმე საწარმოს სამართალმემკვიდრე. კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის დავებზე უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან. კასატორმა აღნიშნა, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ ქ. ბათუმის მერიის მიერ სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვას და სასამართლოს მიერ აღნიშნულის ექვემდებარება საპროცესო კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **12.11.08წ.** განჩინებით ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად. **18.03.09წ.** სასამართლო სხდომაზე მხარეებმა გამოთქვეს მორიგების სურვილი, რისთვისაც განესაზღვრათ ვადა. **22.04.09წ.** სასამართლოს მხარეებმა წარმოუდგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების შესახებ.

მორიგების აქტის თანახმად, შპს «...» თანახმაა, ქ. ბათუმში, ... ქ. **1...-ში** მდებარე მის მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული **497** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს თვითმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე. შპს «...-ს» უფლება აქვს, ქ. ბათუმში, ... ქ. **1...-ში** მდებარე მის მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული **497** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თვითმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის სანაცვლოდ, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დაირეგისტრიროს ქალაქ ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე **685** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ქ. ბათუმში, ... ქ. **111-ის** მიმდებარედ არსებული **798** კვ.მ არასასოფლო-სამე-

ურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 315 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მორიგების აქტზე თანდართული აზომვითი ნახაზის მიხედვით, ხოლო დარჩენილი 482 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კვლავ რჩება თვითმართველ ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებაში. შპს «...» ვალდებულებას კისრულობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თვითმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მერიას გადასცეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი და «ჩD» დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია. მორიგების აქტის მიხედვით, ქ. ბათუმის მერიას უფლება აქვს ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე, შპს «...-ის» მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დაარეგისტრიროს თვითმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე. ქ. ბათუმის მერია თანახმა გაუქმდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიხედვით თვითმართველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 685 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და აღნიშნული მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს შპს «...-ზე», ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე შპს «...-ის» მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თვითმართველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირების სანაცვლოდ. ქ. ბათუმის მერია ვალდებულებას კისრულობს საჯარო რეესტრში თვითმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ... ქ. 11-ის მიმდებარედ არსებული 798 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაყოს ორ საკადასტრო ერთეულად, რომლის შედეგად თვითმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში აღირიცხება მხოლოდ 482 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და თანახმაა, დარჩენილი 315 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე, შპს «...-ის» მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თვითმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირების სანაცვლოდ საჯარო რეესტრში მორიგების აქტზე თანდართული აზომვითი ნახაზის მიხედვით საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს შპს «...-ზე». ქ. ბათუმის მერია ვალდებულებას კისრულობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ქ. ბათუმში, ... ქ. 11-ის მიმდებარედ არსებული 798 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 315 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში შპს «...-ის» სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით შპს «...-ს» გადასცეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი და ჩD დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია.

მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს თან დაერთო:

- ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 685,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 28.07.08წ. მომზადებული 105.24.06.001 ამონაწერის ასლი;
- ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 685,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 23.07.08წ. მომზადებული 105.24.06.001 საკადასტრო გეგმის ასლი;
- ქ. ბათუმში, ... ქ. 11-ის მიმდებარედ არსებული 798,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 29.07.08წ. მომზადებული 105.24.07.006 ამონაწერის ასლი;
- ქ. ბათუმში, ... ქ. 11-ის მიმდებარედ არსებული 798 , 0 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 29.07.08წ. მომზადებული 105.24.07.006 საკადასტრო გეგმის ასლი;
- ქ. ბათუმში, ... ქ. 120-ში მდებარე 497,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი;
- ქ. ბათუმში, ... ქ. 11-ის მიმდებარედ არსებული 798,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 315,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. აღ-

ნიშნულ ნორმათა მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ, ისევე როგორც სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის მონაწილენი, სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილეთა მსგავსად, აღჭურვილი არიან თავიანთ უფლებათა თავისუფლად განკარგვის სრული უფლებამოსილებით. მხარეთა თავისუფალ განკარგულებაშია ყველა პროცესუალური საშუალება ამ უფლებამოსილების რეალიზებისათვის: მოსარჩელის ნებაზე დამოკიდებული საქმის დაწყება ან შეწყვეტა, მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნოს ან არ ცნოს სარჩელი, საქმის მორიგებით დამთავრება მხარეთა მიერ გონივრული კომპრომისის მიღწევის უნარზეა დამოკიდებული.

საკასაციო პალატამ განიხილა მორიგების აქტის წარმოდგენილი ტექსტი, რომელსაც ხელს აწერენ საამისოდ უფლებამოსილი პირები: ქ. ბათუმის მერიის სახელით – ქ. ბათუმის მერი, ხოლო შპს «...-ის» სახელით – დირექტორი ზ. კ.-შვილი (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 28.07.05წ. დადგენილება). საკასაციო პალატის სხდომაზე გამომხატული მერიის და შპს «...-ის» წარმომადგენლებმა იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე. მერიის წარმომადგენლობის დამადასტურებელი აქტით (ქ. ბათუმის მერიის 21.04.09წ. 1271 ბრძანება), სხვა უფლებამოსილებებთან ერთად მერიის წარმომადგენელი უფლებამოსილია დასამტკიცებლად წარადგინოს მორიგების აქტი. საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველი დავის მორიგებით დამთავრება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, რის გამოც მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მხარეებმა დაადასტურეს საქმის მორიგებით დამთავრების სურვილი და განაცხადეს, რომ წარდგენილი მორიგების აქტის პირობები შეესაბამება მათ მიერ გამოვლენილ ნებას. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას, ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზეგავლენა მხარეთა ნების გამოვლინებაზე არ მომხდარა. მხარეებმა თანხმობა გამოხატეს, რომ მხარეთა მიერ წარდგენილი მორიგების აქტი დამტკიცდეს საკასაციო სასამართლოს მიერ, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება.

შპს «...-ის» და ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მორიგების აქტში აღნიშნული მიწის ნაკვეთები უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა, არ ადევს ყადაღა, არ არის რეგისტრირებული იპოთეკა ან საგადასახადო გირავნობა (აღნიშნული დასტურდება საქმეში დაცული და მორიგების აქტისათვის თანდართული დოკუმენტაციით). მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით მხარეებმა დაადასტურეს, რომ წარმოადგენენ სათანადო უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მხარეებმა დაადასტურეს აგრეთვე, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, ის, რომ მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის წარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი, როგორც მხარეთა მიერ მათი საპროცესო უფლების კანონშესაბამისი რეალიზების შედეგი, ექვემდებარება დამტკიცებას. მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება შემდეგი პირობებით:

1.1 შპს «...» თანახმაა ქ. ბათუმში, ... ქ. 120 ა-ში მდებარე მის მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს თვითმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე;

1.2 შპს «...-ს» უფლება აქვს ქ. ბათუმში, ... ქ. 120 ა-ში მდებარე 497 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თვითმართველ ქ. ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის სანაცვლოდ, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დაირეგისტრიროს: ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 685 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო მონაცემები: სარეგისტრაციო ზონა – ქ. ბათუმი; კოდი – 05, სექტორი – 24; კოდი – 24; კვარტლის ნომერი – 06; ნაკვეთის ნომერი – 001; ფართობი – 685 კვ.მ; მისამართი – ... და ... კვეთა; უფლება – საკუთრება; მესაკუთრე – ქ. ბათუმის მერია; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო; განცხადების რეგისტრაციის ნომერი – 882008228686; განცხადების რეგისტრაციის თარიღი 22.07.08წ; უფლების რეგისტრაციის თარიღი –

28.07.08წ.) და ქ. ბათუმში, ... ქ. 111-ის მიმდებარედ არსებული **798** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (სარეგისტრაციო მონაცემები: სარეგისტრაციო ზონა – ქ. ბათუმი; კოდი -**05**, სექტორი – **24**; კოდი – **24**; კვარტლის ნომერი -**07**; ნაკვეთის ნომერი – **006**; ფართობი – **798** კვ.მ; მისამართი – ... 11-ის მიმდებარედ; უფლება – საკუთრება; მესაკუთრე – ქ. ბათუმის მერია; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო; განცხადების რეგისტრაციის ¹ - **882008228700**; განცხადების რეგისტრაციის თარიღი – **22.07.08წ.** უფლების რეგისტრაციის თარიღი – **29.07.08წ.**) **315** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მორიგების აქტზე თანდართული აზომვითი ნახაზების მიხედვით, ხოლო დარჩენილი **483** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი რჩება თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებაში;

1.3 შპს «...» ვალდებულია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ განჩინების ჩაბარების დღიდან **5** სამუშაო დღის განმავლობაში ქ. ბათუმში, ... ქ. **120** ა-ში მდებარე **497** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში, თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით, ქ. ბათუმის მერიას გადასცეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი და «ჩD» დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია;

1.4 ქ. ბათუმის მერიას უფლება აქვს ქ. ბათუმში, ... ქ. **120** ა-ში მდებარე, შპს «...-ის» მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული **497** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწს ნაკვეთი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრიროს თვითმმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე;

1.5 ქ. ბათუმის მერია თანახმაა გაუქმდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიხედვით თვითმმართველ ქალაქ ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე **685** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო მონაცემები: სარეგისტრაციო ზონა – ქ. ბათუმი; კოდი – **05**, სექტორი – **24**; კოდი – **24**; კვარტლის ნომერი – **06**; ნაკვეთის ნომერი – **001**; ფართობის – **685** კვ.მ; მისამართი – ... და ... კვეთა; უფლება – საკუთრება; მესაკუთრე – ქ. ბათუმის მერია; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო; განცხადების რეგისტრაციის ნომერი – **882008228686**; განცხადების რეგისტრაციის თარიღი **22.07.08წ.**; უფლების რეგისტრაციის თარიღი – **28.07.2008წ.**) და აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ქ. ბათუმში, ... ქ. **120** ა-ში მდებარე შპს «...-ის» მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული **497,0** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირების სანაცვლოდ, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს შპს «...-ზე»;

1.6. ქ. ბათუმის მერიას ეკისრება ვალდებულება საჯარო რეესტრში თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ... ქ. ¹ 11-ის მიმდებარედ არსებული **798,0** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო მონაცემები: სარეგისტრაციო ზონა – ქ. ბათუმი; კოდი -**05**, სექტორი – **24**; კოდი – **24**; კვარტლის ნომერი – **07**; ნაკვეთის ნომერი – **006**; ფართობი – **798** კვ.მ; მისამართი – ... 11-ის მიმდებარედ; უფლება – საკუთრება; მესაკუთრე – ქ. ბათუმის მერია; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო; განცხადების რეგისტრაციის ¹ – **882008228700**; განცხადების რეგისტრაციის თარიღი – **22.07.08წ.** უფლების რეგისტრაციის თარიღი – **29.07.08წ.**) დაყოს ორ საკადასტრო ერთეულად, რომლის შედეგად თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში აღირიცხება **483,0** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დარჩენილი **315,0** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ქ. ბათუმში, ... ქ. **120** ა-ში მდებარე, შპს «...-ის» მიერ შედგენილ აზომვით ნახაზზე მითითებული **497,0** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თვითმმართველი ქ. ბათუმის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირების სანაცვლოდ, საჯარო რეესტრში წინამდებარე მორიგების აქტზე თანდართული აზომვითი ნახაზის მიხედვით საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს შპს «...-ზე»;

1.7 ქ. ბათუმის მერია ვალდებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ განჩინების ჩაბარების დღიდან **5** სამუშაო დღის განმავლობაში ქ. ბათუმში, ... ქ. 111-ის მიმდებარედ არსებული **798,0** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან **315,0** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში შპს «...-ის» სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით შპს «...-ს» გადასცეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი და «ჩD» დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია;

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **20.02.08წ.** გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;

3. ბათუმის მერიას დაუბრუნდეს შეგებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – **15** ლარი და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – **75** ლარი, ხოლო ზ. კ-შიღის დაუბრუნდეს შპს «...-ის» სასარჩელო განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – **15** ლარი ანგარიშიდან: საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – **300773150**, გადახდის დანიშნულება სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველი საქმეებისათვის, მიმღები – ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ხაზინის ერთიანი ანგარიშის **1200122900**, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – **220101222**;

4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

1ბს-37-37(2კ-09)

25 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

განხილვის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 30 იანვარს გ. ა-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 3 იანვრის 110 ოქმის ამონაწერის თანახმად, კომისიამ დაადგინა, რომ გ. ა-მის მოთხოვნა არ აკმაყოფილებდა «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულებით განსაზღვრულ პირობებს. ხსენებული კომისიის გადაწყვეტილებით გ. ა-მ არ ჩაითვალა საკუთრების უფლებასაღიარებელი მიწის ნაკვეთის არც მართლზომიერ მფლობელად, არც კანონიერ მოსარგებლედ და არც თვითნებურ დამკვეთად. შესაბამისად, მას უარი ეთქვა ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე. ამავე გადაწყვეტილებით, გ. ა-მისათვის ცნობილი გახდა, რომ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანებით გაუქმდა ქ. ბათუმის მერიასა და შპს «...» შორის 2003 წელს ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დადებული იჯარის ხელშეკრულება. ბათუმის მერიას ამ გადაწყვეტილების მიღებამდე გამართული ადმინისტრაციული წარმოებისა და შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე არ უცნობებია არც შპს «...» და არც გ. ა-მისათვის, მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა 2003 წელს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში, შეიძინა სადავო მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობები.

მოსარჩელის განმარტებით, თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა, როგორც «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონის, ისე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 3 იანვრის 110 ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მთავარ საფუძველად მითითებული იყო, თითქოს ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანების საფუძველზე საჯარო რეესტრის ჩანაწერში განხორციელდა ცვლილებები და სადავო მიწის ნაკვეთზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებზე გაუქმდა გ. ა-მის საკუთრების უფლება, რაც, მოსარჩელის განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

მოსარჩელის განმარტებით, «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კა-

ნონის მე-2 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გ. ა-მე წარმოადგენდა ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის კანონიერ მოსარგებლეს, რადგანაც მან ამ მიწის ნაკვეთზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2003 წელს, ამავდროულად მიწის ნაკვეთის მოიჯარისაგან – შპს «...». აქედან გამომდინარე, კომისიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება გ. ა-დის, როგორც კანონიერი მოსარგებლის სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 3 იანვრის 10 ოქმის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, ქ. ბათუმში, ... ქუჩის ...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მისი, როგორც კანონიერი მოსარგებლის საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე.

2008 წლის 4 თებერვალს მოსარჩელემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოპასუხეებად თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელ მუდმივმოქმედ კომისიასთან ერთად ქ. ბათუმის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური დაასახელა და დამატებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 2 თებერვალს შესრულებული ჩანაწერის ბათილად ცნობა მოითხოვა, რომლითაც სადავო მიწის ნაკვეთი აღირიცხა ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით ყადაღა დაედო ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ მიწის ნაკვეთს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ჩაება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ა-დის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში არსებული ჩანაწერი ქ. ბათუმში, ... ქუჩის ...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმის მერიის საკუთრების თაობაზე და თვითმმართველ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 3 იანვრის 10 საოქმო გადაწყვეტილება გ. ა-დის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, კომისიას დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქ. ბათუმში, ... ქუჩის ...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გ. ა-დის, როგორც კანონიერი მოსარგებლის, საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ქ. ბათუმის მერიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ა-დის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ. ბათუმში, ... ქუჩის 1...-ში მდებარე 1040 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმის მერიის საკუთრების უფლების შესახებ განხორციელებული ჩანაწერი 62,82 კვ.მ-ის ნაწილში; გ. ა-დის სარჩელი თვითმმართველ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი კომისიის 2008 წლის 3 იანვრის 10 საოქმო გადაწყვეტილების (გ. ა-დის ქ. ბათუმში, ... ქუჩის 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ) ბათილად ცნობისა და სადავო მიწის ნაკვეთზე გ. ა-დის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებულების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 2003 წლის 18 თებერვლის 17 დადგენილების საფუძველზე შპს «...» და ქ. ბათუმის მერიას შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება ქ. ბათუმში, ... ქუჩის ...-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. სადავო არ იყო, რომ იჯარის უფლება შპს «...» მოიპოვა კონკურსისა და აუქციონის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდა, რომ 2003 წლის მარტში გ. ა-მემ შპს «...» შეიძინა ქ. ბათუმში, ... ქუჩის ...-ში მდებარე სადავო მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობები (ბენზინგასამართი სადგური), რომელიც 2003 წლის მარტში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. გ. ა-მემ მიმართა თვითმმართველ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას

და მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქუჩის ...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების აღიარება. კომისიამ 2008 წლის 3 იანვრის 110 საოქმო გადაწყვეტილებით გ. ა-ძეს უარი უთხრა ქ. ბათუმში, ... ქუჩის ...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე. გ. ა-ძეს კომისიის მიერ უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ მისი მოთხოვნა არ აკმაყოფილებდა «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულებით განსაზღვრულ პირობებს. ამავე გადაწყვეტილებით გ. ა-ძე არ ჩაითვალა საკუთრების უფლებასადაღიარებელი მიწის ნაკვეთის არც მართლთალომე მფლობელად, არც კანონიერ მოსარგებლედ და არც თვითნებურად დამკავებლად იმ მოტივით, რომ, მართალია, მას 2007 წლის 1 იანვრამდე ჰქონდა მოპოვებული სადავო მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება, მაგრამ ეს უფლება გაუქმებული იყო ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 28 იანვრის 134 ბრძანებით. ადმინისტრაციულმა ორგანომ უარის თქმის საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 2003 წლის 18 თებერვლის 17 დადგენილებით შპს «...», ყოველგვარი კონკურსისა და აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქ. ...-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1040 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 2003 წლის 14 მარტის სანოტარო ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მდგარი შენობა-ნაგებობები შეძენილ იქნა გ. ა-ძის მიერ და იგი გახდა შპს «...» მიერ კანონდარღვევით მოპოვებული მიწის ნაკვეთის მოიჯარე. ხსენებული დარღვევის გამო, ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანებით, ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 2003 წლის 18 თებერვლის 17 დადგენილება და ამ დადგენილების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები. კომისიამ გ. ა-ძეს საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი განუცხადა აგრეთვე იმ საფუძველითაც, რომ კომისიის მიერ განცხადების განხილვის დროისათვის სადავო მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის საკუთრებად. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდებოდა, რომ 1040 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. ...-ში, მესაკუთრე იყო ქ. ბათუმის მერია, ხოლო შენობა-ნაგებობის, სასარგებლო ფართით 62,81 კვ.მ კი იყო გ. ა-ძის საკუთრება. რეგისტრაციის თარიღი – 2003 წლის 17 მარტი. რეგისტრაციის საფუძველი – ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანება და 2003 წლის 14 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანებით ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 2003 წლის 28 თებერვლის 17 დადგენილება შპს «...» ქ. ბათუმში, ... ქ. ...-ში (ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია) მდებარე 1040 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით ბათილად გამოცხადდა ასევე 2003 წლის 28 თებერვლის 17 დადგენილების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები. 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანების მე-5 პუნქტით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ამ ბრძანებით ბათილად ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი 1998 წლის 16 მარტის 13443 აქტით ექსპლოატაციაში იქნა მიღებული შპს «...» ბენზინგასამართი სადგური, სავაჭრო (საწარმო) ფართით – 62კვ.მ, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში. 2003 წლის 14 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს «...» მიჰყიდა გ. ა-ძეს ბენზინგასამართი სადგურის შენობა, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში, სასარგებლო ფართით 62,81 კვ.მ, მიწის ნაკვეთი 1040 კვ.მ სახელმწიფო საკუთრება იყო. 2004 წლის 25 თებერვალს შედგენილი ტექნიკური პასპორტით დასტურდებოდა, რომ ბენზინგასამართი სადგური განთავსებული იყო 1040 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივი შეფასებით მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს არ გააჩნდა გ. ა-ძის კუთვნილი 62,82 კვ.მ-ის შენობის ქვეშ მდებარე მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმის მერიის საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის «ა» პუნქტით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში იყო: თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივანები, სკვერები და ა.შ.), გარდა კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა, აგრეთვე ის მიწები, რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას. იმავე კანონის 67-ე მუხლის 1⁴ პუნქტით მიუთითა, რომ ამ კანონის 47-ე მუხლით განსაზღვრული, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ქონება (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივანები, სკვერები და ა.შ.) საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგის-

ტრიდებოდა განკარგვის მიზნით, მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, ამ კანონის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის «ბ» პუნქტით თვითმმართველი ერთეული განმარტებული იყო, როგორც დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავდა თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ჰქონდა საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ცენტრი და დამოუკიდებელი იურიდიული პირი იყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1998 წლის 16 მარტის 13443 აქტითა და 2003 წლის 14 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით ირკვეოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში იყო, მაშასადამე, იგი არ ყოფილა ქ. ბათუმის მერიის საკუთრება. ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანებით არ მიღებულია გადაწყვეტილება სადავო ნაკვეთის მერიის საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით. სარეგისტრაციო სამსახურისათვის მიმართვის შესახებ, ხსენებული ბრძანების მე-5 პუნქტით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ამ ბრძანებით ბათილად ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, რაც ვერ განაპირობებდა ქ. ბათუმის მერიის სახელზე საკუთრების რეგისტრაციას, რამდენადაც ამ ბრძანებით ბათილად გამოცხადდა მხოლოდ შპს «...» მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის შესახებ 2003 წლის 28 თებერვლის 17 დადგენილება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე სადავო მიწის ნაკვეთის ქ. ბათუმის მერიის სახელზე რეგისტრაციის საფუძველი იყო 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით არ დადგენილა ქ. ბათუმის მერიის საკუთრება, ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1040 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისად, იგი არ შეიძლება მიჩნეულიყო უფლების დამდგენ დოკუმენტად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის (2007 წლის 11 მაისის ცვლილებებამდე) მე-5 მუხლით საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდებოდა უფლების დამადასტურებელი საბუთებისა და საკადასტრო ინფორმაციის საფუძველზე. ხსენებული კანონის მე-2 მუხლის «რ» პუნქტით უფლების დამადასტურებელ საბუთად მიიჩნეოდა კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული საბუთი, რომელიც ადასტურებდა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების, სხვა სანივთო, საგარანტიო და ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებების წარმოშობას, მის გადაცემას ან მიტოვებას, აგრეთვე საკუთრების უფლებაზე რაიმე ზეგავლენის წარმოშობას, შეჩერებას, მასში ცვლილების შეტანას ან შეწყვეტას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მერიის სახელზე, ქ. ბათუმში, ... ქ. ...-ში მდებარე 1040 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება და საკრებულოს კომისიის 2008 წლის 3 იანვრის საოქმო გადაწყვეტილების მოტივაცია, რომ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანებით გ. ა-ძეს გაუუქმდა შენობაზე საკუთრების უფლება. ასეთ მითითებას 2007 წლის 26 იანვრის ბრძანება არ შეიცავდა, ხოლო ის გარემოება, რომ ქ. ბათუმის მერის ბრძანებით ბათილად გამოცხადდა 2003 წლის 28 თებერვლის 17 დადგენილების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ ნიშნავდა შენობაზე გ. ა-ძის საკუთრების უფლების ანუღირებას, რამდენადაც შპს «...» და გ. ა-ძეს შორის ბენზინგასამართი სადგურის შენობის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 17 დადგენილების საფუძველზე. ამასთან, არსებითი მნიშვნელობის მქონე იყო ის გარემოება, რომ საჯარო რეესტრში გ. ა-ძის სახელზე შენობის საკუთრების უფლების შესახებ ჩანაწერი კომისიის მიერ გ. ა-ძის განცხადების განხილვის დროისათვის გაუქმებული არ ყოფილა. ამდენად, კომისიის უარი, იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს გაუუქმდა საკუთრების უფლება, დაუსაბუთებელი იყო.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კომისიის 2008 წლის 3 იანვრის 110 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე უსაფუძლო იყო, რამდენადაც კომისიას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი ეღიარებინა გ. ა-ძის საკუთრების უფლება სადავო ნაკვეთზე იმის გათვალისწინებით, რომ ნაკვეთი ქ. ბათუმის მერიის საკუთრებას წარმოადგენდა და არა სახელმწიფო საკუთრებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში გ. ა-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამაც. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრისა და 11 მარტის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. ბათუმის მერიისა და გ. ა-ძის საკასაციო საჩივრები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 19 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით ქ. ბათუმის მერიისა და გ. ა-ძის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2009 წლის 21 მაისს, 11.30 საათზე.

მოცემული საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, კერძოდ, 2009 წლის 25 ივნისს, გ. ა-ძის წარმომადგენელმა ჟ. ჯ-ძემ და ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენელმა გ. მ-ძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინეს ქ. ბათუმის მერიისა და გ. ა-ძის შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებული მორიგების აქტი. აღნიშნულ მორიგების აქტში აღნიშნულია შემდეგი:

«საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე ¹ბს-37-37(2კ-09) ქ. ბათუმის მერიისა და გ. ა-ძის საკასაციო საჩივრების გამო, საქმეზე გ. ა-ძის სარჩელის გამო ქ. ბათუმის მერიის მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც ქ. ბათუმში, ... ქ. ¹...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმის მერიაზე. მხარეები, ერთი მხრივ – ქ. ბათუმის მერია და მეორე მხრივ – გ. ა-ძე შეთანხმდნენ და წინამდებარე მორიგების აქტი გააფორმეს შემდეგზე:

1. მხარეები საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ ¹ბს-37-37(2კ-09) ადმინისტრაციულ საქმეს დაამთავრებენ მორიგებით და გ. ა-ძე ქ. ბათუმის მერიის ანგარიშზე შეიტანს მიწის ნაკვეთის ღირებულებას, 1 კვ.მ-ზე 62 ლარს;

2. გ. ა-ძე ქ. ბათუმის მერის სასარგებლოდ სულ გადაიხდის 66000 ლარს;

3. გ. ა-ძის მიერ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის – 66000 ლარის სრულად გადახდა უნდა განხორციელდეს 2009 წლის 30 ივლისამდე;

4. გ. ა-ძე თანხის გადაირიცხვას მოახდენს ქ. ბათუმის მერიის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღები – ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ბათუმი), ანგარიში – 200122900. მიმღების ბანკის – სახელმწიფო ხაზინა. ბანკის კოდი – 220101 222. ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი – 300693390;

5. ქ. ბათუმის მერია თანახმაა გაუქმდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 26 იანვრის ¹34 ბრძანების საფუძველზე, თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმში, ... ქ. ¹...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და აღნიშნული 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე არსებულ 172,34 კვ.მ შენობა-ნაგებობებთან ერთად, ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ 66000 ლარის სრულად გადახდის შემდეგ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს გ. ა-ძეზე;

6. ქ. ბათუმში, ... ქ. ¹...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მასზე არსებულ 172,34 შენობა-ნაგებობებთან ერთად გ. ა-ძის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხოს მხოლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის – 66000 ლარის ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ სრულად გადახდის შემდეგ;

7. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის ¹14ყ/დ განჩინებით გ. ა-ძის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას ქ. ბათუმში, ... ქ. ¹...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს;

8. გ. ა-ძე ვალდებულია, წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ქ. ბათუმში, ... ქ. ¹...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ყადაღის მოხსნის ნაწილში აღსასრულებლად წარადგინოს მხოლოდ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ 66000 ლარის სრულად გადახდის შემდეგ;

9. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

10. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება ან მიმდინარე სასამართლო დავა, ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად, ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

11. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;

12. მხარეები წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს, ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს. ასევე თანხმდებიან იმაზე, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხმყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომელიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახავი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

13. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალეზელ სამართლებრივ დოკუმენტს;

14. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები თანახმანი არიან, რომ მორიგების პროცესში ერთმანეთისათვის ცნობილი კომერციული, პირადი და საქმიანი ინფორმაციები დაცული იქნება მესამე პირებზე გადაცემისაგან;

15. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე, მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეებისათვის;

16. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედებას მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ არ მომხდარა;

17. მხარეები თანახმანი არიან წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

18. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია ქ. ბათუმის მერიის ბეჭდით. მორიგების აქტის ერთი ეგზემპლარი წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს;

19. მხარეთა მიერ, ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში».

ქ. ბათუმის მერიასა და გ. ა-ძეს შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებული მორიგების აქტი ხელმოწერილია ქ. ბათუმის მერიის მხრიდან ქ. ბათუმის მერის – რ. ჩ-ძის, ხოლო გ. ა-ძის მხრიდან – თვით გ. ა-ძის მიერ და დამოწმებულია ქ. ბათუმის მერიის ბეჭდით.

მოცემული საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, კერძოდ, 2009 წლის 25 ივნისს, გ. ა-ძის წარმომადგენელმა ჟ. ჯ-ძემ შუამდგომლობა დააყენა საქართველოს უზენაეს სასამართლოში გ. ა-ძის სარჩელზე მოპასუხეების – თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმარტაციულელებელი მუდმივმოქმედი კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, იმ საფუძველით, რომ გ. ა-ძესა და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა მორიგების აქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის საოქმო განჩინებით გ. ა-ძის წარმომადგენლის – ჟ. ჯ-ძის შუამდგომლობის განხილვა და მორიგების აქტის დამტკიცება ზეპირი მოსმენის გარეშე დადგინდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო გ. ა-ძესა და ქ. ბათუმის მერიას შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებულ მორიგების აქტს და გ. ა-ძის წარმომადგენელ ჟ. ჯ-ძის შუამდგომლობას გ. ა-ძის სარჩელზე, მოპასუხეების – თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმარტაციულელებელი მუდმივმოქმედი კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიაჩნია, რომ გ. ა-ძესა და ქ. ბათუმის მერიას შორის მორიგება უნდა დამტკიცდეს აღნიშნული აქტის მიხედვით და საქმის წარმოება შეწყდეს გ. ა-ძის სარჩელის გამო მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის მიმართ მორიგების აქტის დამტკიცების გამო, ხოლო გ. ა-ძის წარმომადგენელ ჟ. ჯ-ძის შუამდგომლობა გ. ა-ძის სარჩელზე მოპასუხეების – თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმარტაციულელებელი მუდმივმოქმედი კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ უარის თქმის გამო

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს საქმის წარმოება გ. ა-ძის სარჩელის გამო მოპასუხეების – თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ სარჩელზე უარის თქმის გამო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა ქ. ბათუმის მერიასა და გ. ა-ძეს შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებული მორიგების აქტი და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხსენებული მორიგების აქტი არ შეიცავს რაიმე კანონსაწინააღმდეგო დებულებას, აღნიშნული მორიგების აქტით არ ილახება სახელმწიფო (საჯარო) ინტერესები და, ამდენად, შესაძლებელია დასახელებული მორიგების აქტის დამტკიცება და საქმის წარმოების შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე გ. ა-ძის წარმომადგენელმა ჟ. ჯ-ძემ (საქმეში წარმოდგენილია სარჩელზე უარის თქმის სპეციალური უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა) სარჩელზე მოპასუხეების – თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ უარის თქმით მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლზე და მხარეებს განუმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან გ. ა-ძეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, ამიტომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მერიასა და გ. ა-ძეს შორის 2009 წლის 22 ივნისს გაფორმებული მორიგების აქტის მიხედვით, მხარეთა მორიგება შემდეგი პირობებით:

1.1. მხარეები საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ ¹ბს-37-37(2კ-09) ადმინისტრაციულ საქმეს დაამთავრებენ მორიგებით და გ. ა-ძე ქ. ბათუმის მერიის ანგარიშზე შეიტანს მიწის ნაკვეთის ღირებულებას, 1 კვ.მ-ზე 62 ლარს;

1.2. გ. ა-ძე ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ სულ გადაიხდის 66000 ლარს;

1.3. გ. ა-ძის მიერ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის – 66000 ლარის სრულად გადახდა უნდა განხორციელდეს 2009 წლის 30 ივლისამდე;

1.4. გ. ა-ძე თანხის გადარიცხვას მოახდენს ქ. ბათუმის მერიის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღები – ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ბათუმი), ანგარიში – 200122900. მიმღების ბანკის – სახელმწიფო ხაზინა. ბანკის კოდი – 220101 222. ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი – 300693390;

1.5. ქ. ბათუმის მერია თანახმაა გაუქმდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც, ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 26 იანვრის 134 ბრძანების საფუძველზე თვითმმართველ ქ. ბათუმის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და აღნიშნული 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე არსებულ 172,34 კვ.მ შენობა-ნაგებობებთან ერთად, ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ 66000 ლარის სრულად გადახდის შემდეგ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს გ. ა-ძეზე;

1.6. ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მასზე არსებულ 172,34 შენობა-ნაგებობებთან ერთად გ. ა-ძის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხვა მოხდეს მხოლოდ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის – 66000 ლარის ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ სრულად გადახდის შემდეგ;

1.7. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის 114ყ/დ განჩინებით გ. ა-ძის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს;

1.8. გ. ა-ძე ვალდებულია, წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ქ. ბათუმში, ... ქ. 1...-ში მდებარე 1050 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ყადაღის მოხსნის ნაწილში აღსასრულებლად წარადგინოს მხოლოდ ქ. ბათუმის მერიის სასარგებლოდ 66000 ლარის სრულად გადახდის შემდეგ;

1.9. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს და აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

1.10. შეთანხმების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევის შემდგომ და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება ან მიმდინარე სასამართლო დავა, ზეგავლენას ვერ მოახდენს ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად, ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე;

1.11. მხარეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმისწარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;

1.12. მხარეები წინამდებარე შეთანხმებით ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას, იმიჯსა და ავტორიტეტს, ადასტურებენ და იღებენ ვალდებულებებს უარი თქვან ისეთ ქმედებებზე, რაც საზიანოა ერთმანეთის იმიჯისათვის და ატარებს რეპუტაციის შემლახველ ხასიათს. ასევე, თანხმდებიან იმაზე, რომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები არ განახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეურაცხმყოფელი იქნება მხარეთა საქმიანი რეპუტაციისათვის და არ მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომლებიც გამოიხატება მხარეთა იმიჯის შემლახავი ცნობების გავრცელებაში საჯაროდ თუ დახურული ფორმით;

1.13. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალზელ სამართლებრივ დოკუმენტს;

1.14. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები თანახმანი არიან, რომ მორიგების პროცესში ერთმანეთისათვის ცნობილი კომერციული, პირადი და საქმიანი ინფორმაციები დაცული იქნება მესამე პირებზე გადაცემისაგან;

1.15. წინამდებარე შეთანხმება თანაბრად, სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლელებისათვის;

1.16. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტი წარმოადგენს მხარეთა ურყევი ნების გამოხატულებას. ისინი მოქმედებენ გონივრული განსჯის საფუძველზე და რაიმე უარყოფით ზემოქმედება მხარეთა ნების გამოვლენის მიმართ არ მომხდარა;

1.17. მხარეები თანახმანი არიან წინამდებარე შეთანხმება გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მორიგების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რათა შეწყდეს სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება;

1.18. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია ქ. ბათუმის მერიის ბეჭდით. მორიგების აქტის ერთი ეგზემპლარი წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს დასამტკიცებლად, ხოლო თითო ეგზემპლარი რჩებათ მხარეებს;

1.19. მხარეთა მიერ, ამ შეთანხმების პირობები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში.

2. მოსარჩელე გ. ა-ძესა და მოპასუხე ქ. ბათუმის მერიას შორის დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო;

3. მორიგების აქტი ძალაში შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან და მოქმედებს მხარეების მიერ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

4. მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის – მორიგების აქტის იძულებითი აღსრულების ჩათვლით);

5. გ. ა-ძის წარმომადგენელ ჟ. ჯ-ძის შუამდგომლობა სარჩელზე მოპასუხეების – თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

6. მოსარჩელე გ. ა-ძესა და მოპასუხეებს – თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელ მუდმივმოქმედ კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს შორის დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება მოსარჩელის მიერ აღნიშნული მოპასუხეების მიმართ სარჩელზე უარის თქმის გამო;

7. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

8. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;

9. გ. ა-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი;

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.